



ციბეხანი

№ 24 / 29 მარტი - 4 აპრილი / 2010

დარტყმა ქართულ მაფიას **33. 38**

ინგა გრიგოლია იცვლის პროფესიას **33. 17**

კოპირიძის საქმე - უფლება, იცოდე სიმაართლე **33. 32**

მონოპოლისტი დავუტატი **33. 25**

ტესტი ტოლერანტობაზე **33. 36**

აშშ-ს ჯანდაცვის რეფორმა - დარტყმა საგაზრო ფუნდამენტალიზმს **33. 23**

ირანელუბის ევროპა **33. 30**

რაგბი, როგორც მისი სურობატი **33. 44**

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2.80 ლარი

SHUT DOWN  
GUANTANAMO

გუანტანამოდან საქართველოში

33. 20



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი

FM 105.5

გორი, ქარელი, საშური

FM 103.0

ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია

FM 104.5

ურეკი, ქობულეთი, ბათუმი

FM 101.0

ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 101.9



■ ბარაკ ობამა საუბრობს ჯანდაცვის რეფორმაზე, კოლეჯ პარკი, მერილენდი 2010


**სომარში:**

- 02 რედაქტორი
- 04 მოკლედ
- 06 ვრცლად
- 12 **ორი აზრი**  
არის თუ არა პოპულიზმი თბილისის მერობის კანდიდატის გია ჭანტურის საარჩევნო დაპირება?  
*დემურ გიორგელიძე V.S. გურამ ჩალაგაშვილი*
- 14 **თვალსაზრისი**  
მანქანები თბილისში მარჯ მალენი
- 15 **მიმოხილვა**  
2+2=5  
**პოლიტიკა**
- 17 **ჟურნალისტი იცვლის პროფესიას**
- 20 **ტერორისტის დალი**  
გუანტანამოდან საქართველოში

- საუბრები ლიბერალიზმზე**
- 23 ამერიკის ჯანდაცვის რეფორმა – დარტყმა საბაზრო ფუნდამენტალიზმს  

- ჟურნალისტური გამოძიება**
- 25 მონოპოლისტი დეპუტატი
- მეზობლები**
- 28 „პუტინი, ნადი!“
- 30 **სომხეთი**  
ირანელების ევროპა
- საზოგადოება**
- 32 უფლება, იცოდე სიმართლე
- 34 **მედია**  
გადავადებული თავისუფლება

- 36 **ეთნიკური უმცირესობები**  
ტესტი ტოლერანტობაზე
- 38 **ქართველი კრიმინალები ევროპაში**  
დარტყმა ქართულ მაფიას ავსტრიაში
- 40 **საეკლესიო მალაზიები**  
ულიცენზიო მართლმადიდებლობა
- 42 **პროფესიული დაავადებები**  
სამსახური ჯანმრთელობის ხარჯზე
- 44 **თვალსაზრისი**  
რაგბი, როგორც ომის სუროგატი  
*ირაკლი კორძაია*
- კულტურა**
- 45 **ობსერვატორია თბილისის ცენტრში**
- 46 **დალის ანგელოზები**  
წინანდლის ბაღში
- 46 **დიუმა კავკასიაში**
- 47 **ლმერთების დაისი**

- ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
  - 48 **ბიტტე შონ, დანკე შონ!**
- ბარეკანზე:**  
გუანტანამოდან საქართველოში
- 
- „ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდი „ლია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

შენსწორება "ლიბერალი №3"

სასანი  
"იბანი თვალი  
ხათილუოხისათვის"

სტატიაში ეწერა: კომისიამ არც რადიო „იმედის“ საკითხი განიხილა. ტელესიუჟეტი პირდაპირ ეთერში რადიოსადგურმაც გადასცა. საინფორმაციო სამსახურის უფროსი ეკა ეგაძე აცხადებს, რომ შეცდომა დაუშვეს, წამყვანს მართლაც ეგონა რომ ომი დაიწყო და თავი ვალდებულად ჩათვალა, გადაცემის პირდაპირ ტრანსლირება გაეკეთებინა. ეგაძის ეს განცხადება ნაკლებად დამაჯერებელია, მაგრამ ამავე დროს აბათილებს ტელეარხის არგუმენტებსაც, რომ საზოგადოების გასაფრთხილებლად არხის ხელმძღვანელებმა ყველაფერი გააკეთეს.

შესწორება: კომისიამ არც რადიო „იმედის“ საკითხი განიხილა. ტელესიუჟეტი რამდენიმე წუთით პირდაპირ ეთერში რადიოსადგურმაც გადასცა. საინფორმაციო სამსახურის უფროსი ეკა ეგაძე მომხდარზე მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს. არხის ხელმძღვანელი გიორგი არველაძე კი აცხადებს, რომ შეცდომა დაუშვეს, წამყვანს მართლაც ეგონა რომ ომი დაიწყო და თავი ვალდებულად ჩათვალა, გადაცემის პირდაპირ ტრანსლირება გაეკეთებინა. არველაძის ეს განცხადება ნაკლებად დამაჯერებელია, მაგრამ ამავე დროს აბათილებს ტელეარხის არგუმენტებსაც, რომ საზოგადოების გასაფრთხილებლად არხის ხელმძღვანელებმა ყველაფერი გააკეთეს.



„რომ განსაკუთრებით სახიფათონია ლეთისმოსავები და პატრიოტები და მორალისტის ერთადერთი თავშესაფარიც - უზნეობაა, რომ ხალხმა მარტო პირველისწერა ისწავლა ქრისტესგან, სხვა ყველაფერი, რაც ძნელია, მას შეატოვა“ ...  
ბესიკ ხარანაული „მკვდრების სიმღერა“

ერთ დროს ზვიადისტი ელიზბარ ჯაველიძე, ერთ დროს კომუნისტი რეზო ამაშუკელი, ერთ დროს კრიტიკოსი თამაზ ნივინიძე, ერთ დროს სოციალისტი და ომბუდსმენი ნანა დედარაიანი, წამებულის იმიჯმორგებელი ჟურნალისტი ირმა ინაშვილი და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი საქართველოში ახალი სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის გასაშლელად ერთიანდებიან.

მოძრაობას შეუერთდნენ ცნობილი მსახიობები და მწერლები და, ცხადია, უბრალო მოქალაქეებიც. ერთი თვის მანძილზე მათ რიგებში უკვე 5000 კაცი განეწვიანდა. მოძრაობის დამფუძნებლები პოლიტიკოსებსაც სთავაზობენ თანამშრომლობას. მთავარია, პოლიტიკოსი მართლმადიდებლობის და ქართული ტრადიციების დასაცავად და ლიბერალიზმთან საბრძოლველად იყოს მზად. ცხადია, თავკაციც ჰყავთ – მალხაზ გულაშვილი, რედაქტორი და გამომცემელი, რომლის ლუსტრაციისთვის მედვედევთან მისი ვიზიტების განხილვა სულაც არ არის საჭირო, „ჯორჯიან თაიმსის“ რამდენიმე ნომერიც საკმარისია.

პრეზენტაცია, როგორც ეგების, „ქორთიარდ მარიოტიში“ გამართეს და დაგვირდნენ, – ახალი მოძრაობის დაბადებას კიდევ უფრო ფართოდ ერთ თვეში აღვნიშნავთო.

გამოცდილი ამბავია, საქართველოში თუ პოლიტიკაში მოსვლა გინდა, მართლმადიდებლობის გადარჩენისთვის მებრძოლის მანტია უნდა მოირგო. აი, ორი წლის წინ გიორგი თარგამაძემ სცადა და მშვენივრად გამოუვიდა. დღეს საპარლამენტო უმცირესობად იწოდება და წინ კიდევ დიდი გეგმები აქვს.

მალხაზ გულაშვილმა თქვა, – ვინც არ დაგვე-

მორჩილება, ილია ჭავჭავაძეზე და ილია მეორეზე რაიმეს ცუდს იტყვის, დავსჯითო. დასასჯელთა სია, სავარაუდოდ, გაიზრდება. გულაშვილს სადამსჯელო ზომებზე ჯერ არ უსაუბრია, მაგრამ ცალ მხარეს გვერდს მართლმადიდებელი მშობლები უმშვენივრდნენ, რომელთაც დასჯის უკვე აპრობირებული მეთოდები აქვთ (გაიხსენეთ ჰელოუინის დარბევა მღვდლებისა და მრევლის მიერ), მეორე მხარეს კი – სოსო ჯაჭვლიანი, კაცი, რომელმაც დასჯის ძველქართული წესები რამდენიმე წლის წინ მხატვრულად გააცოცხლა საკუთარ ფილმში „სვანი“. (იმედი მაქვს, ეს ყველაფერი მისი მრუდე ფანტაზიის ნაყოფია, თორემ რა გამოდის, კაციჭამიები ვყოფილვართ).

ერთი შეხედვით, ახალი მოძრაობის მთავარი მოქმედი პირებიც და მათი იდეოლოგიაც ლიბერლისმომგვრელია. თუმცა, მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე.

ცხადია, ეს მოძრაობა ხელმოცარულთა და გაბოროტებულთა კიდევ ერთი მცდელობაა, გადალლილ, სოციალურად შეჭირვებულ და გაუნათლებელ მოსახლეობას ყველაზე სუსტ და მგრძობიარე ნერტილში დაარტყას და ამით სარგებელი ნახოს.

საპატრიარქოდან ჯერჯერობით არაფერი უთქვამთ მართლმადიდებლობის ახლად გამოჩეკილი დამცველების შესახებ. როგორც ჩანს, ეკლესია ისევ არ აპირებს მართლმადიდებლობის სახელით ჩვეულებრივი ფაშიზმის ქადაგების გაპროტესტებას.

წინო ბექიშვილი  
ადამიანის უფლებების და სამართლის  
განყოფილების რედაქტორი

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდიაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯავაშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / ჟურნალისტიკური გამოძიება ბესო კურტანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბექიშვილი / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი  
რედაქცია: ფოტორედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე  
ბამონტაჟი: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე /  
დისტრიბუტორი ზვიად შენგელაია  
ბამონტაჟი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
სსმპ ბამონტაჟი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიუნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.  
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
ფურცელში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.  
ბამონტაჟი: სტამბა „ფაფორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.pfavourite.ge  
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.  
www.liberali.ge



# caravan

ლიტ-სადამოაზიური კარავი


## სიასლე

13-დან 16 საათამდე  
4 განსხვავებული  
პიზნას ლუნჩ მენიუ  
ფასი: 15,99 ლარი

საუკეთესო ადგილი: განტვირთვისთვის,  
ლიტ-სადამოაზიური, კორპორატიული  
შეკრებებისთვის.

სამზარეულო: აზიურ-ევროპული  
ადგილების რაოდენობა: 90

მისამართი: ა.ფურცელაძის №10  
ტელ: 996691/874880378



# "ნაბუქო" საფხითხაშია

თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ევროპაში გაზის ტრანზიტის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებების ჩაშლა „ნაბუქოს“ პროექტს საფრთხეს უქმნის. დიალოგი აზერბაიჯანული მხარის ინიციატივით შეჩერდა, რომელიც თურქეთის მიერ სომხეთთან ურთიერთობების მოგვარების მცდელობის გამო უკმაყოფილოა.

„უკვე თვეზე მეტია, აზერბაიჯანთან მოლაპარაკებებს აღარ ვანარმოებთ. მთავარი პრობლემა პოლიტიკურია. ჯერჯერობით გაუგებარია, მიიღო თუ არა აზერბაიჯანმა თურქეთის წინადადება ევროპაში გაზის საბაზროზე დაბალ ფასში ტრანზიტის თაო-

ბაზე“, – ამბობს თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრი თანერ ილდინი. მხარეები ასევე ვერ ჩამოყალიბდნენ 2014-2016 წლებში შაჰ-დენიზის საბადოს ათვისების მეორე ფაზის თაობაზე.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში აცხადებდა, რომ გაზის საკითხზე მოლაპარაკებები თურქეთმა შეიყვანა ჩიხში. ალიევი დაიმუქრა კიდევ, რომ გაზს ირანს და რუსეთს მიჰყიდდა.

საბოლოო ჯამში, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული წინააღმდეგობა ევროპაში „ნაბუქოს“ პოზიციებს ასუსტებს, რაც რუსეთს აძლევს ხელს.

# საბჭოს ხანი ნუხი

პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახალ წევრად თავისუფლების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მელაძე აირჩია. ეს ვაკანსია იანვარში მას შემდეგ გაჩნდა, რაც საბჭოს ყოფილი წევრი ზურაბ ხარატიშვილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს.

შესარჩევი კონკურსი მაუწყებლის კიდევ ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე მიმდინარეობს. საბჭოს წევრ მამუკა ფაჩუაშვილს უფლება მოსილენების ვადა თებერვალში ამოენურა.

# ბედის ჰობესტი



ესტონეთის მედია „წყაროს დაცვის შესახებ“ წარმოდგენილ კანონ-პროექტს აპროტესტებს. პროტესტის ნიშნად, რამდენიმე გაზეთი – Postimees, Eesti Paevaleht, Ohtuleht, Eesti Ekspress და Maaleht ცარიელი ფურცლებით გამოიცა. გამომცემლების თქმით, ქვეყნის იუსტიციის მინისტრის, რეინ ლანგოს მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგაა მიმართული.

სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტი ჟურნალისტს ავად-დებულებს, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციის წყარო დაასახელოს და არ აძლევს უფლებას, ინფორმაციის ანონიმურობა დაიცავს. იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტი არ დაასახელებს წყაროს, მას ფულადი ჯარიმა და ზოგიერთ შემთხვევაში პატიმრობაც ემუქრება.

# აახოეხომაზი ჯანასა და ახაიბოხიში

ჯავასა და ახალგორში აეროდრომების მშენებლობა იგეგმება. ამის შესახებ ცნობას „ოსინფორმი“ ავრცელებს. ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი აეროდრომების აშენებაზე ტენდერი უკვე გამოაცხადა რუსეთის ფედერალურმა სახელმწიფო დაწესებულებამ „პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციის სამხრეთ დირექციამ“.

# ნაბეხის იახალეზი



ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ Amnesty international ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც ევროკავშირის წევრი ქვეყნები – ჩეხეთი და გერმანია, წამების აკრძალული იარაღების კანონდარღვევით წარმოებასა და გაყიდვებში ამხილა. 2006 წელს ევროპამ მიიღო კანონი, რითაც წამებისა და სასტიკი მოპყრობისათვის განკუთვნილი იარაღით ვაჭრობა აკრძალა. ამ ანგარიშში საქართველოც მოხვდა, რადგანაც წამების იარაღი – ელექტროშოკის დანადგარები, რომლებიც 50 000 ვოლტს ატარებს, სპეციალური ბორკილები და ქიმიური აეროზოლები 2006-2007 წლებში ჩეხეთისგან და გერმანიისგან შეიძინა. ადგილობრივი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები საქართველოს ხელისუფლებას სთხოვენ, საჯაროდ უარყოს ან დაადასტუროს აღნიშნული ფაქტი.

## პრობლემატიკა

საქართველოს პრეზიდენტი ბრუსელში ნატოს გენერალურ მდივანს ანდერს ფოგ რასმუსენს შეხვდა. რასმუსენის თქმით, ალიანსის პოლიტიკა საქართველოს მიმართ არ შეცვლილა და კვლავ უჭერენ მხარს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებას. შეხვედრისას განხილული თემების შესახებ გენერალურმა მდივანმა და პრეზიდენტმა მოგვიანებით ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე ისაუბრეს. რასმუსენმა საქართველოს ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა. ნატო-ს გენერალური მდივნის თქმით, "მოკავშირეები საქართველოს რეგიონების - აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის - არალიარების პოლიტიკის ერთგულები რჩებიან".

მიხეილ სააკაშვილმა ალიანსში საქართველოს განწევრიანების ვადების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაციისთვის დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს რუსეთის მიერ სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია. თუმცა, პრეზიდენტმა არც ის გამოიჩინა, რომ საქართველოს ნატოში შესვლის დროს, შესაძლოა, საქართველო უკვე ერთიანი იყოს.

## ბალაფში მოსაოვში

სერგეი ბალაფში მოსკოვში ერთკვირიანი ვიზიტის ფარგლებში რუსეთის პრემიერ-მინისტრს შეხვდა. მათ ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. პუტინის თქმით, უკვე არსებობს აფხაზეთთან თანამშრომლობისთვის სამართლებრივი ბაზა, მათ შორის სამხედრო სფეროში, რომელიც "პრაქტიკულად მუშაობს". შეხვედრაზე რუსეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საჭიროა სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ინფრასტრუქტურის განვითარება. პუტინის თქმით, თითქმის დასრულებული სამუშაოები აფხაზეთის ცენტრალური ბაკნისთვის 700 მლნ რუბლის (დაახლოებით, 23.7 მლნ აშშ დოლარი) ოდენობით შეღავათიანი კრედიტის გამოყოფის თაობაზე. ბალაფში შეთანხმებების ამოქმედებას ჩქარობს და ამბობს, რომ დრო ცოტა აქვთ.



## ხისხვანი

**21** მარტი, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, საქართველოში ნოვოზუხ-ბაირამის სადღესასწაულო დღე იქნება.

**2,8** მილიარდი აშშ დოლარი მოსთხოვა ბარაკ ობამამ კონგრესს ჰაიტის დასახმარებლად.

**10** მილიარდ რუსულ რუბლს მიიღეს აფხაზეთის არალიარებული რესპუბლიკა რუსეთისაგან 2010-2012 წლებში.

**1** მილიარდ დოლარის ოდენობის კრედიტს გამოუყოფს ჩინეთი ბელარუსს შეღავათიანი პირობებით.

## სიტუატი



„საქართველოს ნატო-ში განწევრიანება ხვალინდელი დღის საკითხი არ არის“.

**ჯეიმს აპატურაი**

**ნატო-ს ოფიციალური წარმომადგენელი**  
**24 მარტი, ბრიუსელი**

„გაუგებარია, ვინ მემუქრება – „ალიანსი“ თუ ვანო მერაბიშვილი. თუკი ისინი ერთად მოქმედებენ, ეს უკვე სხვა საქმეა“.

**ზურაბ ნოლაიდელი**

**26 მარტი, თბილისი**

„იმ შემთხვევაში კი, თუკი ოპოზიციური სპექტრი ჩემს კანდიდატურაზე შეთანხმდება, თანახმა ვიქნები, კენჭი ვიყარო თბილისის მერად“.

**ლევან გაჩეჩილაძე**

**26 მარტი, „მეორე არხი“**

„ეს [ჯანდაცვის] კანონი წამოიწიებს რეფორმებს, რომლისთვისაც ამერიკელების თაობები იბრძოდნენ, რომლისთვისაც გამოსვლები იმართებოდა და ხალხი შიმშილობდა“.

**ბარაკ ობამა**

**24 მარტი, ვაშინგტონი**

„დავიცავთ ამ რელიგიას [მართლმადიდებლობას], რომელთანაც ასოცირებულია ქართველობა და რომელსაც ებრძვიან ფსევდოლიბერალები“.

**მალხაზ გულაშვილი**

**25 მარტი, თბილისი**

„ისინი, ვინც ჩრდილოეთ კორეის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სისტემის დამხობას ცდილობს, მთავარ როლს ასრულებს თუ პასიურს, დაუმარცხებელი არმიის უპრეცედენტო ბირთვული დარტყმების მსხვერპლი გახდება“.

**ჩრდილოეთ კორეის სამხედრო ხელმძღვანელობის განცხადება**

**26 მარტი, ფხენიანი**

# ჰომოსექსუალობის ხელშეწყობის საკითხი -

# ქართული საზოგადოებისთვის ადგილის მოძიება

ფონდ „ინკლუზივის“ ჟურნალისტ ალექსანდრე ელისაშვილის წინააღმდეგ ქარტიის საბჭოში სარჩელი შეაქვს. ეს შემთხვევა თვალსაჩინო ტესტი იქნება ქარტიის ხელშეწყობის მიერ ამგვარი გადაცდომების მიმართ მგრძობილობაზე.

### პაატა საბელაშვილი

9 მარტს მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. 1956 წლის სისხლიან მოვლენებს არ ვგულისხმობ. 2010 წლის 9 მარტს ტელეკომპანია კავკასიის ეთერში თოქშოუ „ბარიერი“ გავიდა, რომლის სტუმრებიც იყვნენ პეტრე მამრადე, მალხაზ გულაშვილი, გუბაზ სანიკიძე და თინათინ ხიდაშელი. გადაცემის თემა იყო პოლიტიკური ტურიზმი რუსეთის ფედერაციაში. პეტრე მამრადე ტრადიციულად ამართლებდა საკუთარი ლიდერის მოქმედებას მაშინ, როდესაც დანარჩენები ამ ნაბიჯს მკაცრად აკრიტიკებდნენ, მათ შორის – მალხაზ გულაშვილიც, რომლის მტკიცებით, საზოგადოებრივი მოღვაწეების სტუმრობის მიზნები პოლიტიკოსების ზრახვებისგან განსხვავდება და უფრო კეთილშობილურია. გადაცემის მთავარი თემის ირგვლივ მსჯელობის რეჟიმირება ასე მოკლედ და მარტივად შეიძლება. სამაგიეროდ, დაუსრულებლად შეგვიძლია ვისაუბროთ გადაცემის დროს წამოწეულ იმ თემაზე, რომელმაც სტუმრები და წამყვანი გაამხიარულა.

მალხაზ გულაშვილმა წამოჭრა ერის სულიერი გაჯანსაღების, მომავალი თაობების გარყვნილებისგან დაცვისა და სამაჟნყებლო ლოგოტიპით პრეზერვაცივს

მიმგავსებული ქართული ტელევიზიების მანე ზემოქმედების აღკვეთის საკითხი. მისი პრეტენზიები მიმართული იყო ევროპისკენ, რომელიც იმდენად დაეცა, რომ ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების (ლესბოსელებიც ჰომოსექსუალები არიან ცნობისათვის) ერთსქესიან ქორწინებას გვახვევს თავს. გულაშვილის მხარი გუბაზ სანიკიძემაც აუბა. თინათინ ხიდაშელმა გააპროტესტა ევროპული ფასეულობების წინააღმდეგ დემარში სიტყვის თავისუფლებისა და ქალთა უფლებების კონტექსტში. ჰომოსექსუალობის თემა კი საყოველთაო ქირქილის საგნად იქცა.

ამ გადაცემას გამომხაურება მოჰყვა სოციალურ ქსელ Facebook-ის საშუალებით. ჩემი ჩათვლით, ბევრმა გააკრიტიკა ქალბატონი თინას ინდიფერენტული დამოკიდებულება საკითხის მიმართ. მოკლედ, ყველა ჯობი რესპუბლიკელების ზურგზე გადატყდა. თუმცა, ქალბატონმა თინამ იმავე ქსელის მეშვეობით არ უარყო, რომ ეს შემთხვევით არ გაუკეთებია. აღნიშნა, რომ ის კონკრეტული მიზნით იყო გადაცემაში მისული და თავს ვალდებულად არ თვლიდა, რაიმე სახით რეაგირება მოეხდინა დისკუსიაზე ჰომოსექსუალების შესახებ. შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა

მისცეს მათ ხმა ამ სეგმენტის ამომრჩეველმა, თუკი რესპუბლიკელები მათ არ დაიცავენ, ქალბატონმა თინამ განაცხადა, – ხმა იმას მიეცით, ვინც დაგიცავთო.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, ჩემდა გასაოცრად, ალექს ელისაშვილი საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის ხელისმომწერთა შორის აღმოვაჩინე. ქარტიის მე-7 დებულების მიხედვით:

„ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახლისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა ილწონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“.

გადაცემის წამყვანმა ორჯერ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია საკითხთან მიმართებაში – პირველად, როდესაც არ აღკვეთა ეს საუბარი, არამედ შეუერთდა საყოველთაო ქირქილს, და შემდეგ განაცხადა: „დავანებოთ მაგათ თავი, ეს ჩვენი საუბრის თემა არ არის“; და მეორედ, როდესაც ჰომოფობიური სიტყვილის ენას საკუთარ განკარგულებაში არსებული ეთერით უღიმიტოდ ცირკულირების დრო მისცა და ამით მაყურებელს იმის შეგრძნება გაუჩინა, რომ ქსენოფობიური თავდასხმები გადაცემის წამყვანის ყურადღების ღირსი არ არის. შესაბამისად, ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას ერთ-ერთი ყველაზე სტიგმატიზებული ჯგუფის მიმართ.

ფონდ „ინკლუზივის“ სახელით, ქარტიის საბჭოს უკვე გაეგზავნა საჩივარი ალექსანდრე ელისაშვილის მიერ ქარტიის მე-7 დებულების დარღვევის საფუძველზე. საბჭოს სხდომა 25 მარტს არის დანიშნული. ეს შემთხვევა თვალსაჩინო ტესტი იქნება ქარტიის ხელშეწყობის მიერ ამგვარი გადაცდომების მიმართ მგრძობილობაზე, თორემ ქრონიკის მოდელირებული სიუჟეტი რომ ცუდი იდეა იყო, ეს უკვე საყოველთაოდ დამკვიდრებული აზრია.





# ბობოები სხვა ქვეყნებში "ჩიხბიან"

გენდერული დისბალანსის თემას „ეკონომისტიც“ ეხმაურება.

## რუსუდან ფანოზიშვილი



„ის ბავშვი არ არის, გოგოა“, – უთხრეს გოგონას მშობლებმა ჩინელ ჟურნალისტს, რომელიც ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში ბავშვის დაბადებას და შემდეგ მის მკვლელობას – „გადაგდებას“ შეესწრო. ამ ამბით იწყება 4 მარტის „ეკონომისტის“ სტატია „გენდერციდი“, რომელიც მსოფლიოში გენდერული დისბალანსის პრობლემას ეხება. „გენდერციდს“ სტატიის ავტორი მთელ მსოფლიოში გოგონების მასობრივ გაქრობას უწოდებს და ამ ტერმინს 1985 წელს გამოქვეყნებული, მარი ან უორენის წიგნის სათაურიდან იღებს.

საქართველოში გამქრალ გოგოებზე „ლიბერალი“ ჯერ კიდევ სამი თვის წინ წერდა. ავტორმა, თიკო ცომაიამ შემამოფოთებელი სტატისტიკითა და ექიმებთან ინტერვიუებით მიაკვლია მწვავე პრობლემას, რომელსაც საზოგადოების დაინტერესება არც სტატიის გამოქვეყნებამდე და არც მის შემდეგ არ გამოუწვევია. ფართო დისკუსიები ამ აღმოჩენას არც პროფესიულ წრეში მოჰყოლია.

სამაგიეროდ, უარყოფილი გოგონების პრობლემას ჟურნალმა „ეკონომისტიც“ მარტის დასაწყისში ორი სტატია მიუძღვნა. პირველი პრობლემას ზოგადად აღწერდა, მეორე სტატია კი

– უფრო სიღრმისეული კვლევებითა და სტატისტიკით – კიდევ უფრო შემზარავ სურათს ხატავდა.

იმ წყაროს მიხედვით, რომელსაც „ეკონომისტიც“ ეყრდნობა, გენდერული დისბალანსის მხრივ, საქართველო მსოფლიოს ქვეყნებს შორის მეოთხეა. პირველ სამ ადგილს კი ჩინეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი იკავებენ. თუმცა, სხვა ქვეყნებშიც პირველ, უფრო ხშირად კი მეორე და მესამე ბავშვებს მეტწილად მხოლოდ იმითომ იშორებენ, რომ ისინი გოგონები არიან.


„საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, 1991 წლიდან საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ბიჭების შობადობის მაჩვენებელი ერთი-ორად გაიზარდა. სქესთა შორის თანაფარდობა 1991-2000 წლებში მისაღები დონიდან 115-120-ს მიაღწია“, – ნათქვამია სტატიაში.

„ეკონომისტის“ წერილში განსაკუთრებით არის გამოყოფილი ჩინეთის შემთხვევა, სადაც დემოგრაფიულ ბალანსზე ზრუნვამ სერიოზული გენდერული დისბალანსი გამოიწვია. მხოლოდ ერთი შვილის ყოლის დაკანონებას დაბადებული გოგონების რიცხვის მკვეთრი შემცირებაც მოჰყვა. იქ ძირითადად პირველივე შვილს „ირჩევენ“ და ბიჭის მოლოდინში თუკი ექოსკოპიაზე გოგონა გამოჩნდა, აბორტს იკეთებენ. შედეგად კი ახლა ჩინეთში იმდენი კაცია უცოლო, სულ რამდენი ახალგაზრდა კაციც ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. „ეკონომისტის“ მიხედვით, 2020 წლისთვის ჩინეთში 40 მილიონით მეტი მამრობითი სქესის წარმომადგენელი იცხოვრებს, ვიდრე ქალი.

დღეს ჩინეთში ყოველ 100 გოგონაზე 120 ბიჭი მოდის. საქართველოში კი 2008 წელს ყოველ 100 გოგონაზე 128 ბიჭი მოდიოდა, ხოლო 2009 წელს – 110. ამ რიცხვებზე ყურადღება კავკასიის კვლევისა და რესურსების ცენტრმა CRRC-მაც გაამახვილა. მის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ბლოგში აღნიშნულია, რომ ეს პრობლემა საქართველოში, ისევე როგორც კავკა-

სიაში, ახალი არ არის. მაგრამ იქვეა კითხვა: „რატომ გვსმენია აქამდე ასე ცოტა, და სად არის დისკუსიები ამ საკითხზე?“

ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ კულტურაში ღრმად გამჯდარი ცრურწმენები და მოძველებული შეხედულებებია. საქართველოში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც ჯერ კიდევ დაუბადებელი გოგონებისადმი „გამოცხადებულ ომს“ სწორედ სტერეოტიპული მიდგომა განაპირობებს. ასეთ ოჯახებში ჯერ კიდევ ფიქრობენ, რომ გოგონები, ბიჭებთან შედარებით, გვარის სრულფასოვანი გამგრძელებლები არ არიან. „გენდერციდის“ ერთ-ერთი მთავარი „დამნაშავე“ კი ტექნოლოგიური მიღწევებია, რადგან ეს პრობლემა მსოფლიოში მას შემდეგ გამძაფრდა, რაც ექოსკოპიის მეშვეობით, სქესის წინასწარ ამოცნობა გახდა შესაძლებელი.





## "უცნობი ხავხასია" დაიხუხა

გადაცემის წამყვანისთვის მიზეზი უცნობია.

### ელენე ჩახუნაშვილი

ტელეკომპანია „მაესტროს“ ახალი ხელმძღვანელობის გადამწყვეტილებით, „მაესტროსა“ და „რადიო უცნობის“ ერთობლივი პროექტი „უცნობი კავკასია“ ამიერიდან ეთერში აღარ გავა.

გადაცემის დახურვის ერთ-ერთი ოფიციალური მიზეზია არსზე მიმდინარე რეორგანიზაცია, რომლის ფარგლებშიც ახალი გადაცემები უნდა მომზადდეს.

თუმცა, წინასწარჩვენოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუს დახურვა საზოგადოებაში გარკვეულ ეჭვებს ბადებს.

ერთ-ერთი წამყვანი, ზვიად ქორიძე არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ გადაცემას ფინანსური პრობლემები ჰქონდა.

იგი ასევე არ ეთანხმება კომპანიის გენერალური დირექტორის, კახა ბექაურის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ გადაცემის დახურვა წამყვანების მხრიდან დროის უქონლობამაც განაპირობა.

ზვიად ქორიძე ვერ ასახელებს „უცნობი კავკასიის“ დახურვის კონკრეტულ მიზეზს და აცხადებს: „ჩემი მოსაზრება ასეთი იყო მაშინაც და დღესაც, რომ სასურველია, ქვეყანაში სადისკუსიო სივრცე არ შეიზღუდოს“.

ქორიძე აცხადებს, რომ ვიდრე „უცნობი კავკასია“ „მაესტროს“ ეთერში გადიოდა, სარედაქციო ჯგუფს სრული

თავისუფლება ჰქონდა. იგი აღნიშნავს, რომ თუკი მომავალში ამგვარი გადაცემების სარედაქციო თავისუფლება შეიზღუდება, ეს მთლიანად ქართულ მედიას დააზარალებს.

განახლებული „მაესტრო“ ეთერში აპრილის ბოლოდან გავა და ეს იქნება ახალი ამბების 24-საათიანი არხი. როგორც ინტერნეტ ტელევიზია [ITV.ge](http://ITV.ge) -სთან საუბარში არხის გენერალური დირექტორი კახა ბექაური ამბობს, არსზე გაკეთდება რამდენიმე ახალი გადაცემა, მათ შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ.

ბექაურის თქმით, „უცნობი კავკასიის“ მსგავსი ფორმატის გადაცემა, როდესაც ერთ პროექტს სამი ავტორი ჰყავდა, განახლებული არხის საეთერო ბადეში აღარ მოხდება. ბექაური იმავე ინტერვიუში დასძენს, რომ გადაცემის წამყვანებს საკუთარი საავტორო პროექტების გაკეთება შესთავაზეს. თუმცა, „ლიბერალთან“ საუბრისას ზვიად ქორიძე აცხადებს, რომ მას რაიმე კონკრეტული შეთავაზება არხის ხელმძღვანელობისგან ჯერ არ მიუღია. 24 მარტს გავრცელებული ინფორმაციით, აპრილის ბოლოს დაიხურება „მაესტროს“ მეორე გადაცემა, „პროფესია ჟურნალისტი“.

# ეპიკრიზისი მეზობლის პოლიტიკა

რამდენად ასრულებს საქართველო 2006 წელს ევროკავშირთან შეთანხმებულ სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას?

### თამარ ფარადაშვილი

ამ საკითხის მონიტორინგს 2009 წლის ოქტომბრიდან ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“ უწევდა, რამაც მხოლოდ სამი მიმართულება მოიცვა: მედიის თავისუფლების საკითხი, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა და უსაფრთხოების სექტორის მართვის დემოკრატიზაციის თემა.

ანგარიში 26 მარტს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ მედიაშეხვედრაში დაწესდა, ეკონომიკის ექსპერტმა რევაზ საყვარელიძემ და უსაფრთხოების საკითხების სპეციალისტმა თამარ პატარაიამ წარმოადგინეს. ისინი ამ ანგარიშის მომზადებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ.

საქართველოში მედიის თავისუფლებაზე საუბრისას ნინო დანელიამ ის გარე და შიდა ფაქტორები გამოყო, რაც მის განვითარებას უშლის ხელს.

გარე ფაქტორებს შორის კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საკითხი დაისვა. მედიაშეხვედრის დასკვნით, კომისია ხელისუფლების გადამწყვეტილებებზე და მოკიდებული. ამ არგუმენტის გასამყარებლად ტელეკომპანია „მაესტროსთვის“ ლიცენზიის მოდიფიცირებაზე უარის თქმა დასახელდა, მაშინ, როცა ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი ტელეკომპანია „ალანია“ ლიცენზიის გარეშე წელიწად-წახევარი მაუწყებლობდა. „მაესტროს“ ლიცენზია პარლამენტის თავმჯდომარის გადამწყვეტილებით მიიღო. ასე ბევრი ცვლილება კონკრეტული ადამიანების ნებაზე დამოკიდებულია, – აღნიშნავს ნინო დანელია.

მედის დამოუკიდებლობაზე გავლენას სარეკლამო ბაზრის მონოპოლიზაცია ახდენს. გადაწყვეტილებას იმის მიხედვით იღებენ, თუ რამდენად კრიტიკულად არის განწყობილი მაუწყებელი ხელისუფლების მიმართ. რეკლამის დამკვეთები ამბობენ, რომ პრობლემების შექმნა არ სურთ და რეკლამის განთავსებაზე უარს ამბობენ, – განაცხადა დანელიამ.

დანელიას თქმით, მნიშვნელოვანია მფლობელობის გაუმჭვირვალობის საკითხიც. 12-მა ტელეკომპანიამ მიყოლებით შეიცვალა მფლობელი, რის შემდეგაც ეს ტელევიზიები ბევრად ლოიალურები გახდნენ ხელისუფლების მიმართ. ამას ჟურნალისტებზე საინფორმაციო სამსახურის უფროსების მხრიდან ზეწოლა ემატება. „ტელეკომპანია „იმედში“ ჟურნალისტებს ჰქონდათ ტერმინი „სიუჟეტი ჩამოვიდა ზემოდან“, შედეგად ეთერში კითხულობდნენ იმ ტექსტს, რომელსაც ზემდგომი პირი კარნახობდა“, – ამბობს დანელია.

ანგარიშის პრეზენტაციას ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ საქართველოს პარლამენტის ევროპის სტრუქტურებში ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი ესწრებოდა. მისი თქმით, პარლამენტი მედიის მფლობელობასთან დაკავშირებით კანონმდებლობის გამკაცრების საკითხს დააყენებს. „თუმცა თუ X Y-ის გავლენის ქვეშ ექცევა, ამას ჩვენ ვერ დავარეგულირებთ“, – აცხადებს დავით დარჩიაშვილი.

მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაზე საუბრისას რევაზ საყვარიშვილმა პრივატიზაციის გაუმჭვირვალობის და სურსათის უსაფრთხოების თემა გამოჰყო.

მისი თქმით, ქონების გადაცემა ხშირად კონკურსის გარეშე, პირდაპირი მიყიდვის წესით ხორციელდება. „ამავე დროს გაუმჭვირვალეა ტენდერებსა და აუქციონებში გამარჯვებული კომპანიებისა და მათი დამფუძნებლების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია“, – აღნიშნავს რევაზ საყვარიშვილი.

ევროკავშირის სამეზობლო გეგმის ფარგლებში მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობის საკითხის დარეგულირებაც, რასაც არ ჩქარობს საქართველოს მთავრობა. 2010 წელს ძალაში შევა მხოლოდ ის მუხლები, რომელიც სანარმოებს რეგისტრაციას ავალდებულებს. სანარმოთა კონტროლის საკითხი 2016 წლამდე არ დადგება დღის წესრიგში. ეს კი ევროკავშირის მოთხოვნის სრული უგულებელყოფაა.

რაც შეეხება საქართველოს უსაფრთხოების საკითხს, ამ სექტორში ეფექტური მმართველობის დანერგვისა და შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის განსახორციელებლად საპარლამენტო ზედამხედველობაა საჭირო. თამარ პატარაიამ მთავარ პრობლემად 2004 წლის შემდეგ სწორედ პარლამენტის უფლებამოსილების შესუსტება დაასახელა.

ევროკავშირის ანგარიში ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველომ“ 2009 წლის დეკემბერში წარუდგინა. „დაინტერესდნენ. ანგარიშის სრული სახით ნახვა სურთ. საკუთარ შეხედულებებს მხოლოდ ამის შემდეგ გაგვაცნობენ“, – ამბობს ფონდის ხელმძღვანელი ქეთი ხუციშვილი.

ანგარიში სრულ სახეს მაშინ მიიღებს, როცა ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთკავკასიური რეგიონული ბიურო და ევრაზიის პარტნიორობის ფონდი კანონის უზენაესობის, მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვის პოლიტიკის და საკვების უსაფრთხოების საკითხების შესახებ კვლევას დაასრულებენ.

# გამოიწერეთ ჟურნალი ლიბერალი



**ლიბერალი**

24 ნომერი (6 თვე)  
**60 ლარი**

48 ნომერი (1 წელი)  
**120 ლარი**

**PDF ვერსია**  
24 ნომერი (6 თვე)  
**35 ლარი**

48 ნომერი (1 წელი)  
**70 ლარი**

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:  
23 37 31, (899) 48 62 41  
ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: [info@liberali.ge](mailto:info@liberali.ge)

# შიმშილობა და სპეცრაზმი ბებუთის სისხლში

გეგუთის მე-8 სასჯელალსრულების დანესებულებაში პატიმრის გარდაცვალებას მასობრივი შიმშილობა და სპეცრაზმის შესვლა მოჰყვა.

## ნინო ბეჟიშვილი

დ.კ., რომელიც ქურდობისთვის იხდის სასჯელს გეგუთის მე-8 სასჯელალსრულების დანესებულებაში, ორშაბათს, 22 მარტს პაემანზე მისულ დედას ნაცემი დახვდა. „თვლები ჩალურჯებული ჰქონდა. ცხვირი გასიებული. ვკითხე, – რა გჭირს-მეთქი და, – არაფერი, – მიპასუხა, შევატყვე, არ უნდოდა ჩემთან ამაზე ლაპარაკი“, – ჰყვება მადონა კ.

მისი თქმით, იმ დღეს პაემანზე მისულთაგან ბევრმა საერთოდ ვერ ნახა საკუთარი ახლობელი. ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები მათ ეუბნებოდნენ, რომ ზოგი რუსთაველა გადაყვანილი, ზოგიც – ქსანში. მან რამდენიმე ატირებული ქალიც ნახა, რომლებიც ამბობდნენ, რომ ცემის კვალი მათ შვილებსაც ეტყობოდათ.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები ადასტურებენ, რომ ბოლო ხანებში გეგუთის სასჯელალსრულების დანესებულებიდან გახშირდა პატიმართა საჩივრები, რომელთა დიდი ნაწილი არაადაამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას შეეხება.

ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის დიმიტრი ლორთქიფანიძის თქმით, ნაცემი პატიმრების მშობლები მას დაუკავშირდნენ, რის შემდეგაც ლორთქიფანიძემ ომბუდსმენის აპარატს მიმართა. ამ მიმართვიდან მალევე, 24 მარტს აპარატმა გამოაქვეყნა განცხადება „გეგუთის მე-8 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დანესებულების თაობაზე“. ირკვევა, რომ ომბუდსმენის აპარატისთვის ცნობილი იყო იმ პროცესების შესახებ, რაც ამ დანესებულებაში 26 თებერვალს დაიწყო. პატიმართა უმეტესმა ნაწილმა შიმშილობა გამოაცხადა. პროტესტის მიზეზი გახდა კარცერში განთავსებული პატიმრის გიორგი კვანტრიშვილის გარდაცვალება.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა განცხადებით, პატიმრები ჰყვებიან, რომ გიორგი კვანტრიშვილი გეგუთის დანესებულებაში,

ე.წ. ახალ მე-6 კორპუსში იხდიდა სასჯელს, საიდანაც რალაც დარღვევისთვის კარცერში მოხვდა. კარცერიდან ძველ კორპუსში აღარ დააბრუნეს და სხვა კორპუსში გადაიყვანეს. გიორგი კვანტრიშვილი კი ისევ თავის ძველი განთავსების ადგილას დაბრუნებას ითხოვდა. როცა მოთხოვნაზე უარი უთხრეს, შიმშილობა გამოაცხადა, რის გამოც, როგორც პატიმრები ამბობენ, ისევ კარცერში მოხვდა, სადაც იმავე დღეს თავი ჩამოიხრჩო.

სახალხო დამცველის აპარატს გიორგი კვანტრიშვილის საქმესთან დაკავშირებით საჯარო განცხადება არ გაუკეთებია. მათ სასჯელალსრულების დეპარტამენტიდან კვანტრიშვილის საქმესთან დაკავშირებული მასალები გამოითხოვეს და ჯერჯერობით საქმის შესწავლა მიმდინარეობს.

გეგუთის მე-8 სასჯელალსრულების დანესებულების პატიმრებს ეჭვი აქვთ, რომ გიორგი კვანტრიშვილი ძალადობის მსხვერპლი გახდა. ის არა უშუალოდ ძალადობისგან გარდაიცვალა, არამედ იმიტომ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენეს. თავის მოკვლის ვერსიისა პატიმრებს ნაკლებად სჯერათ; ეჭვი იმიტომ ეპარებათ, რომ კვანტრიშვილი მორწმუნე ადამიანი იყო.

პატიმრებმა კვანტრიშვილის სიკვდილი გააპროტესტეს და სოლიდარობის მიზნით 26 თებერვალს შიმშილობა დაიწყეს.

შიმშილობიდან მესამე დღეს, 28 თებერვალს სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და დანესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები პატიმრებს შეხვდნენ. პატიმრებს არ დაუშლავთ, რომ მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობას სისტემატური ხასიათი ჰქონდა – კერძოდ, მსჯავრდებულთა კარცერში უმიზეზოდ მოთავსებას და მათზე ფიზიკურ ზენოლას.

მიუხედავად იმისა, რომ დანესებულებაში არანაირი არეულობა არ ყოფილა, ადმინისტრაციამ საჭიროდ

ჩათვალა, სასჯელალსრულების ტერიტორიაზე სპეცრაზმი შეეყვანა. სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების სამსახურის რამდენიმე ათეულმა თანამშრომელმა პატიმართა საცხოვრებელ კორპუსებში ჩხრეკა ჩაატარა, შემდეგ სიით გამოიძახეს რამდენიმე პატიმარი, დანარჩენებს კი უთხრეს, რომ ჭამის დრო იყო. მსჯავრდებულთა განმარტებით, იმ პატიმრებს, ვინც საკვებზე უარი განაცხადა, სპეცრაზმის ე.წ. „კორიდორში“ ატარებდნენ, და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ამის შემდეგ 200-მდე მსჯავრდებული, პირველ რიგში კი ისინი, ვინც შიმშილობის შეწყვეტაზე უარი განაცხადა, სხვადასხვა დანესებულებაში გადაიყვანეს.

„რუსთავის მე-2 დანესებულებაში ჩვენ გეგუთიდან გადაყვანილი ძალიან ბევრი პატიმარი მოვიწახლეთ. ცემა-სა და არასათანადო მოპყრობაზე ბევრმა ილაპარაკა, თუმცა წერილობით ამის დაფიქსირებაზე ბევრმა უარი განაცხადა. პატიმრების ერთ-ერთი მოთხოვნაა მინისტრთან შეხვედრა, რომ პრობლემების შესახებ მას პირადად მოახსენონ“, – ამბობს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ნათია იმნაძე.

სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიულ საკითხთა სამინისტროში გეგუთის მე-8 სასჯელალსრულების დანესებულებაში შიმშილობის ფაქტს, სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების თანამშრომლების შესვლას, პატიმრების ცემის შემთხვევებს უარყოფენ და ამბობენ, რომ არავითარი ინციდენტი არ მომხდარა. პატიმრების სხვადასხვა ციხეებში გადაყვანას კი იმით ხსნიან, რომ სხვადასხვა პატიმარს სხვადასხვა რეჟიმში ეკუთვნის.

სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები რეაგირებისთვის საქართველოს მთავარ პროკურორს გადაუგზავნა.

# ასაღი წიგნი

## ბრძოლის მეთოდების ენციკლოპედია



ფასი 19.00

წიგნში მოცემულია თანამედროვე სამხედრო საქმის ამომწურავი ანალიზი, რომლის მიხედვითაც მზადდება როგორც ჩვეულებრივი, ასევე ელიტური სამხედრო ქვედანაყოფები. განხილულია რეალური ფაქტები და მაგალითები სამხედრო ისტორიიდან, აღწერილია 50 სხვადასხვა ტაქტიკური ილეთი: დანის ხმარების ტექნიკა, მოიერიშე შაშხანებისა და ნაღმი-ხაფანგების გამოყენება, სნაიპერული ბრძოლა, საბრძოლო დესანტირება პარაშუტით და მონინააღმდეგის ძებნა. წიგნში განხილულია რეალური ფაქტები და მაგალითები სამხედრო ისტორიიდან. წიგნი 200-ზე მეტი შავ-თეთრი ფოტოთი და ნახატითაა ილუსტრირებული.

გაეცანით ბრძოლის თანამედროვე მეთოდებს!



**ბაკურ სულაკაურის  
გამომცემლობა**

მის: აღმაშენებლის 150  
ტელ: 910 954, 911 165

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)



**მომხრე**  
**დემურ გიორგულიძე**  
ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში

როგორც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ, რომელსაც ენერგოსექტორის კონტროლი მევალებოდა, შემიძლია გითხრა, რომ, ელექტროენერჯის თვითწარმოების ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს 2,5 თეთრს. საუბარი მაქვს ჰიდროელექტროენერჯიაზე. ამას ტრანსპორტირების და სადისტრიბუციო კომპანიის ხარჯებიც რომ დაემატოთ, საბოლოო ტარიფი, რომლითაც დღეს ენერჯის მომხმარებელს მიანოდებენ, არ შეიძლება ასე მაღალი იყოს. გია ჭანტურიას მიერ დასახელებული ტარიფების მიღწევა სავსებით რეალურია 5, მაქსიმუმ 10 წელიწადში.

ენერგეტიკა სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი დარგია, არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ევროკავშირისა და აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის, მაგალითად – ერაყისა და თურქეთისთვის. იმ პოტენციალის მეშვეობით, რომელიც საქართველოს აქვს, სავსებით შესაძლებელია ახალი სიმძლავრეების ამოქმედება. საქართველო შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყნად რუსული ელექტროენერჯის ევროპაში გადასაზიდად.

ნებისმიერი მაღალი დონის პროფესიული და არატენდენციური ანალიზი აჩვენებს, რომ ენერგეტიკის პროდუქციაზე დღეს არსებული ტარიფები არის უბრალოდ უსამართლობა საქართველოს მოქალაქეების მიმართ. შეიძლება ვიდავოთ მაქსიმუმ 1-2 თეთრის ფარგლებში. მექანიზმი, რომლითაც ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია ამ ტარიფებს არეგულირებს, ქვეყანაში მონოპოლიას ქმნის. არ არსებობს კონკურენცია, მით უმეტეს – ენერგეტიკის სფეროში; არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა და ინსტიტუციური წარმონაქმნები, რომელიც სამართლიან კონკურენციას დაიცავს.

იგივე შეიძლება ითქვას გაზზე, რომლის ტარიფი, როგორც წესი, გამოითვლება სპეციალური ფორმულით, რომელშიც ფიგურირებს მიმდინარე ფასი ნავთობზე, შემდეგ ტრანსპორტირების ხარჯები და ა.შ. ამდენად, ტარიფი არ შეიძლება დაწესდეს ვოლუნტარისტულად. თუ ნავთობის ფასი 150 დოლარამდე აიწევს, მაშინ გაზზე დღევანდელი ფასი შენარჩუნდება, მაგრამ რაკი უახლოეს მომავალში ნავთობის ასეთი გაძვირება მოსალოდნელი არაა, მაშინ დღევანდელი სიტუაცია იძლევა საშუალებას, გაზზე ფასი იმ ტარიფამდე დავიყვანოთ, რაზეც ბატონი ჭანტურია ლაპარაკობს. ეს არ არის პოპულიზმი, ეს რეალობაა.

რაც შეეხება წყალს, როცა ბატონი ჭანტურია უფასო წყალზე მსჯელობს, ის არ გულისხმობს საერთოდ უფასო წყალს, რადგან უფასო ბუნებაში არაფერია. თბილისში არის იმის პოტენციალი, რომ მომხმარებელამდე წყლის მიწოდებისთვის საჭირო დანახარჯები ქალაქმა დაფაროს. ეს იქნება არჩეული მერის და დედაქალაქში მცხოვრები მოქალაქეების შეთანხმება იმაზე, რომ დანახარჯები თავის თავზე აიღონ შეძლებულმა ადამიანებმა. ასეთები თბილისის მოსახლეობის 30 პროცენტს შეადგენენ; ანუ, წყლის წარმოების და მიწოდების ღირებულებას მთლიანად თბილისის ბიუჯეტი დაფარავს.

რაც შეეხება იმ პროექტს, რომლის მიხედვითაც, ყულევის მიდამოებში ენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობა დაგეგმილი. პროექტი 10-12 მილიარდის ღირებულებისაა და

ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობა  
დასაქმება და დაბალი ბარიერი  
გაზი - 10 თეთრი  
ღენი - 5 თეთრი  
წყალი - უფასო  
ბიორბი

# ახის თუ ახა ჰოჯაიზა ხანდიასის ბიზნესუი

თავისი მნიშვნელობით საქართველოს ინტერესებს სცილდება. ასეთი თანხის ინვესტირება მხოლოდ საქართველოს საჭიროებისთვის შეუძლებელი იქნებოდა, საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტისთვის კი ამ თანხის მოძიება რთული არ იქნება. პროექტი დაინტერესებულია აშშ და ევროკავშირი. თუ საქართველოში პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა იქნება შესაბამისი, რომ სათანადო პირობები შეიქმნას, პროექტი აუცილებლად ამოქმედდება.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თბილისში საქართველოს მოქალაქეების მესამედზე ცოტა მეტია კონცენტრირებული, მაშინ თბილისის არჩეულ მერს, რომელსაც კანონით განსაზღვრული უფლებებიც მიენიჭება, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, იმის საშუალებაც ექნება, რომ ტარიფებზე სერიოზული გავლენა მოახდინოს. შეუძლებელია მთელი ქვეყნის 30 პროცენტზე მეტი მოქალაქის მიერ არჩეული ადამიანის წინადადებები არ გაითვალისწინოს ისეთმა ორგანომ, როგორცაა მაგალითად ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. მერი იქნება ძალიან გავლენიანი ფიგურა, რომელმაც ყველაფერი უნდა გააკეთოს დედაქალაქში მცხოვრები მოქალაქეების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. **■**



# მი თბილისის მუხობის ას სახიჩვრო დაჰიჩება?



**მონინალმდევე  
გურამ ჩალაგაშვილი**

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე

ელექტროენერჯის ტარიფის – 5 თეთრამდე, გაზის კი 10 თეთრამდე დაწევა, არათუ მოკლე დროში, ზოგადად, გრძელვადიან პერსპექტივაშიც საკმაოდ არარეალურად მიმაჩნია. ადამიანისთვის, რომელიც გაზომარაგების თუ ენერგეტიკის სისტემაში ოდნავ მაინც არის ჩახედული, ნათელია, რომ რეალური დღეს შეიძლება ენოდოს მხოლოდ იმ ტარიფებს, რომლითაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება ელექტროენერჯის და ბუნებრივი აირის მიწოდება.

დღეს, როგორც არ უნდა შეეცადოს კომისია, შეუძლებელია, ერთი მესხედი თეთრითაც კი შეამციროს ბუნებრივი აირის თუ ელექტროენერჯის ტარიფი. ტარიფის დათვლა ხდება თვითღირებულებიდან გამომდინარე. ამას დამატებული სხვადასხვა ხარჯი. კომისიამ დაითვალა და გაითვალისწინა ყველა ის ხარჯი, რომელიც ამა თუ იმ კომპანიის ფუნქციონირებისთვისაა საჭირო. მხოლოდ ამის შემდეგაა მიღებული

დღეს მოქმედი ტარიფები. იმ დოკუმენტაციისა და გაანგარიშების მიხედვით, რაც წარმოდგენილია კომისიაში, ტარიფის შემცირება შეუძლებელია. თუ ვინმემ კონკრეტულად იცის, როგორ შევამციროთ ტარიფი, გვითხრას, და მის წინადადებას აუცილებლად განვიხილავთ.

ძალიან მაინტერესებს, როგორ აპირებს გია ჭანტურია ქალაქის მერის სტატუსით ტარიფების შემცირებას, რამდენად შედის ეს მერის უფლებამოსილებაში? ეს მთლიანად ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის პრეროგატივაა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბატონი ჭანტურიას წინადადება მოკლებულია ყოველგვარ რეალურ საფუძველს. აშკარაა, რომ ეს დაპირება წინასაარჩევნო პოპულიზმია.

საქართველოში ბუნებრივი აირის მისაღებად დიდი და მცირე ოდენობის სხვადასხვა წყარო არსებობს. გვაქვს ასევე ტრანზიტით მიღებული სავალდებულო წილი, რაც საქართველოს ეკუთვნის. ყველა ამ კომპონენტს შორის უდიდესი წილი შესყიდულ ბუნებრივ აირზე მოდის. შესაბამისად, საერთო მოცულობიდან და მათი ფასებიდან კომისიამ საბოლოო ფასი გამოიყვანა.

სამომავლოდ, თუკი გაჩნდება ახალი გაზსადენი, ან სახელმწიფოს სავალდებულო წილი გაიზრდება და დაიკლებს ბუნებრივი აირის საფასური, ტარიფის შემცირებაზეც შეიძლება საუბარი. დღევანდელი მდგომარეობით, ტარიფი, შესაძლებლობების ფარგლებში, მინიმალურია.

ბუნებრივი აირის საზაფხულო საცავი, რომელსაც ახსენებს ბატონი ჭანტურია, შორეული პერსპექტივაა. რა თქმა უნდა, ასეთი საცავის არსებობა და მისი აშენება შესაძლებელია, მონახაზიც არსებობს, რის შესახებ მეც მაქვს ინფორმაცია და ვიცი, რომ შეიძლება მალე დაიწყოს მშენებლობა, მაგრამ ეს არაა უზრალო საცავი, სადაც მარტივად რაღაცას შეიტან და დააწყობ. ამას წლები სჭირდება, უსაფრთხოების ზომების დაცვა, რომ მოსახლეობისთვის პრობლემა არ შეიქმნას.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დღეს არსებული ბუნებრივი გაზის ფასების, მომარაგების და სხვა ხარჯების გაანგარიშებით, რაც კომისიაშია წარმოდგენილი, 0,01 თეთრითაც კი შეუძლებელი იქნება ტარიფების შემცირება.

კომისია ითვალისწინებს მომმარაგებელი კომპანიების ხარჯებსაც, რაშიც შედის სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასები, ყველაფერი, რაც ნორმალური ფუნქციონირებისთვის ნებისმიერ კომპანიას სჭირდება. რა თქმა უნდა, აქ მინიმალური მოგებაც გათვალისწინებულია, როცა ინვესტორი კომპანია ქვეყანაში შემოდის, საქმეს ხელს არ მოკიდებს, თუ მოგება არ იქნა, თუმცა ამაზე ნაკლები მოგების ჩადება, რაც დღეს აქვთ, შეუძლებელია.

შემიძლია გითხრათ მხოლოდ ის, რომ, თუკი ტაფირების შემცირების ოდნავი საშუალება მაინც იქნება, რა თქმა უნდა, კომისია იმსჯელებს ტარიფის გადახედვაზე და შეამცირებს მას. ეს ჩემთვისაც ისევე მისაღები და სასურველია, როგორც ნებისმიერი მოქალაქისთვის. **■**

# მანქანები თბილისში



ერთ-ერთი მთავარი ცვლილება, რაც თბილისში წლების შემდეგ შეინიშნება, არის მანქანების რაოდენობის ზრდა. ამ რაოდენობის მანქანებთან გამკლავება ვახტანგ გორგასალს ნამდვილად არ ჰქონდა გეგმაში და თბილისის მოსახლეობამ ეს ახლა უნდა გადაწყვიტოს.

მარკ მალენი

დღევანდელ საცობებში თავისუფლების მოედნიდან ვაკემდე მისვლა ორჯერ უფრო ძნელია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. ორი გზა არსებობს, რომ ამას გავუმკლავდეთ. პირველი, რომ მეტი ადგილი გამოინახოს მანქანებისთვის, გზებისთვის, პარკინგისთვის და ა.შ. და მეორე, რომ მანქანების რიცხვი შემცირდეს. ფაქტობრივად მსოფლიოს ყველა ქალაქში, და განსაკუთრებით მდიდარ ქალაქებში, ძალისხმევა მანქანების რიცხვის შემცირებისკენაა მიმართული. ამის განსახორციელებლად ბევრი გზა არსებობს, მანქანებზე გადასახადების დანესება კი ყველაზე კარგი გზაა. ხოლო გადასახადი დიდ და ნაკლებად ეკონომიურ მანქანებზე მეტი უნდა იყოს.

თბილისი უნიკალურია იმ ქალაქებს შორის, რომლებსაც თავის თანასწორად თვლის – თუნდაც იმით, რომ მას არ აქვს დარეგულირებელი ტაქსების სისტემა. ეს ტაქსის იაფს ხდის და საჯარო ტრანსპორტს მომხმარებელს უკარგავს. საქართველო უნიკალურია იმითაც, რომ აქ არ არსებობს მანქანების წლიური შემოწმება. მსგავსი ინსპექცია მანქანების მფლობელის საჯარო პროტესტს გამოიწვევს, მაგრამ დროა, რომ ასეთი აუცილებელი ნაბიჯი გადაიდგას.

ახალი აეროპორტი, რომელიც ქვეყნის ვიზიტორებს ხვდება, შთამბეჭდავი და გამართულია. ის მათ შესანიშნავ პირველ შთაბეჭდილებას უქმნის. იქიდან გამომდინარე, რომ აეროპორტში უცხოეთიდან ძირითადად ღამე ჩამოდიან, ვიზიტორები ქირაობენ ტაქსის, რომელთა მძღოლებიც 150 კმ/სთ სიჩქარით მიქრიან. ეს კი სტუმრებს ისეთ შთაბეჭდილებას უქმნის, რომ საქართველო არაცივილიზებული ქვეყანაა და აქ კანონი არ მოქმედებს. ყველა გზაზე სიჩქარის ლიმიტები უნდა დანესდეს.

მსგავსი კანონის აღსრულების ორი შესანიშნავი მაგალითი ბოლო ხანებში უკვე გვაქვს: მთვრალი მძღოლების დევნა და რუსთაველისა და სხვა პროსპექტებზე მანქანების პარკინ-

გის აკრძალვა. ამ კანონებმა თბილისი უფრო უსაფრთხო და სასიამოვნო ქალაქად აქცია. შემდეგი ნაბიჯი შეიძლება უსაფრთხოების ქამრების დანესება იყოს. რალაც აუხსნელი მიზეზით, საქართველოში ადამიანებს უსაფრთხოების ქამრების მიმართ გარკვეული ზიზღი აქვთ. ზოგიერთი მძღოლი საერთოდაც თვლის, რომ თუ მისი მგზავრი უსაფრთხოების ქამარს ხმარობს, ეს მისი შეურაცხყოფაა. სტატისტიკის მიხედვით კი აშკარაა, რომ ქამრების გამოყენებით სიცოცხლის გადარჩენა შეიძლება.

მთავრობა არ არის დარწმუნებული თავის პოლიტიკაში მანქანებთან დაკავშირებით. ხელისუფლების გავლენიანი, ლიბერტარიანული ფრთა თვლის, რომ თუ ხალხს სურს რომ მანქანა ჰქონდეს, მაშინ დაე, მათ დაიკმაყოფილონ თავიანთი სურვილი. ეს მანქანები სახელმწიფოს ბევრ თავის ტკივილს უჩენენ და საქართველოში იმაზე უფრო იაფია მანქანით სარგებლობა, ვიდრე სხვა ნებისმიერ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც ბუნებრივი ნავთობის რესურსები არ აქვს. მთავრობა ხშირად იყენებს მანქანების შესყიდვების სტატისტიკას, როგორც ეკონომიკური ზრდის ირიბ ინდიკატორს. ეს შეიძლება ასეც არის, მაგრამ მთავრობა აპრიორი იმას იღებს, რომ მანქანების გაყიდვების ზრდა კარგია, მაგრამ სინა-



ფოტო პიტრი აბულაძე

საცობი თბილისში, 2010

**■ ხელისუფლების გავლენიანი, ლიბერტარიანული ფრთა თვლის, რომ თუ ხალხს სურს მანქანა ჰქონდეს, დაე, მათ დაიკმაყოფილონ თავიანთი სურვილი.**

მდვილეში ასე არ არის. ძირითადად, უკეთესი საზოგადოებრივი ტრანსპორტი გვჭირდება. თუ ქალაქში ნაკლები მანქანა იქნება, ავტობუსები იმაზე სწრაფად ივლიან, ვიდრე დღეს მანქანიანი მძღოლები დადიან. მთელ მსოფლიოში ქალაქის მერებს აქვთ გეგმები და იძლევიან დაპირებებს თავიანთ ქალაქებში მანქანების რიცხვის შემცირების თაობაზე. ახლა, როდესაც ადგილობრივი არჩევნები მოდის, იქნებ ერთ-ერთ საარჩევნო თემად ესეც იქცეს.

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ



# 2+2=5

არსებობს საშიშროება, რომ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი თავისი მონაცემებით არარსებული რეალობის წარმოჩენას ცდილობს.

მარტინ ნოგტონი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“



თავიდან აცილება გასურთო. რა თქმა უნდა, პირველი სტატისტიკური კვლევა დაფინანსებულია ღვინის ინდუსტრიის მიერ, მეორე კი, სავარაუდოდ, იმ ინტერესთა ჯგუფმა გამოაქვეყნა, რომელსაც სურს სამთავრობო დაფინანსება მოიპოვოს. გამოდის, რომ ორივე შემთხვევაში კვლევა არც ისე დამაჯერებელია.

როგორც ჯორჯ ორუელმა იწინასწარმეტყველა, ორჯერ ორი შეიძლება გახდეს ხუთი, თუმცა ეს შეიძლება მოხდეს არა ტოტალიტარული კონტროლის დაწესების გამო, როგორც ეს მას ეგონა, არამედ პიარის ტექნოლოგიების (მაგალითად, „სპინის“) გამოყენებით და ხალხის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

ფაქტების ასეთი დამახინჯება, მაგალითად ნებისმიერი სახის ტყუილი, მატყუარას მხოლოდ მოკლევადიანი (უკეთეს შემთხვევაში, საშუალოვადიანი) უპირატესობის მოპოვებაში ეხმარება, იმით, რომ აძლევს მინიმალურ სასიცოცხლო სივრცეს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, იგი განწირულია გამოაშკარავებისა და დაცინვისთვის, რის გამოც, მატყუარას გამუდმებით უწევს საკუთარი დამძიმებული მდგომარეობის გამოსწორება.

არსად ისეთი თვალნათელი არ ყოფილა მსგავსი შემთხვევა, როგორც საბერძნეთში, სადაც ეკონომიკური და ფინანსური სისუსტეები წლების მანძილზე ფინანსური გაყალბებებით ინიღბებოდა, საბოლოოდ კი გამოაშკარავდა. ჩვეულებრივ ნეიტრალურმა ევროკავშირმაც კი, ევროსტატის მეშვეობით, მკაცრად გააკრიტიკა საბერძნეთი და დაადანაშაულა ფინანსური პრობლემების მასობრივ მიჩქმალვაში, უფრო ზუსტად კი იმაში, რომ „მოახდინეს საჯარო ფინანსური ინფორმაციის ფალსიფიცირება და

ერთხელ მარკ ტვენმა თქვა: „არსებობს სამი სახის ტყუილი: ტყუილი, საშინელი ტყუილი და სტატისტიკა“. ეს ყველა ჩვენგანისთვისაც აღიარებული ჭეშმარიტებაა. კონტექსტიდან ამოგლეჯილი სტატისტიკური მონაცემებით და გამოკითხვებით მა-

ნიპულირებას ცხოვრებაში ხშირად ვაწყდებით. მაგალითად, ერთ დღეს გვეუბნებიან, რომ ჭიქა ღვინო კარგია ჩვენი ჯანმრთელობისთვის, მეორე დღეს კი დაბეჯითებით გვარწმუნებენ, – ალკოჰოლს არასდროს არ უნდა გაეკაროთ, თუ გულის პრობლემების



# იკითხეთ ლიბერალის პორტალზე www.liberali.ge

**პლზი: მარია ქოჩიაშვილი**

## No Bush No Problem!

„დავიჯერო, მართლა ასე ჰგონიათ?! ნეტა, მართლა ადარდებთ, რომ თბილისში ბუშის ქუჩაა?! თუ ეს ყურადღების მისაქცევად მოწყობილი პერფორმანსი იყო მხოლოდ?! მოკლედ, გუშინ ბუშის ბანერთან ხუთმა „პიროვნებამ“ მცირემასშტაბიანი აქცია გამართა. ისინი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, მათ შორის „თანასწორობის ინსტიტუტს“, მაგრამ მითხრეს, რომ პერფორმანსს არავის სახელით არ მართავენ და აქციაზე „პიროვნებებად გამოვიდნენ“.

**მულტიმედია: აოლაქასტი**

ყოვანე ოხშაბათს!  
ახანი ნომის მიმოხილვა

შორენა შავერდაშვილი  
მთავარი რედაქტორი

ნინო ჯაფიაშვილი  
ალმასრულებელი რედაქტორი

პოლიტიკური ზენოლით დაამახინჯეს რეალური სტატისტიკა“.

რა თქმა უნდა, რალაც მომენტში საბერძნეთს გამოუვიდა თავისი დამახინჯებული ბუღალტერიით ევროზონაში მოხვედრა, რადგან გერმანელები დააჯერეს, რომ მათი ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური საფუძვლები მყარი იყო. სამაგიეროდ, ახლა საბერძნეთს მშპ-სთან შეფარდებით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ვალი აწევს, ქვეყანას გაბანკროტება ემუქრება, საკრედიტო სააგენტოები კი მის საკრედიტო რეიტინგს დაბლა სწევენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ფულის სესხება მომავალში უფრო გაუჭირდება. ზოგიერთმა გერმანელმა პოლიტიკოსმა ბერძნებს ურჩია აკროპოლისი გაეყიდათ იმისთვის, რომ წინა წლების ფსევდო-ეკონომიკური აღმასვლის შედეგები აენაზღაურებინათ; მთელი ფასადი საბოლოოდ ჩამოიშალა. სტატისტიკა – ბერძნული პოტიომკინის სოფელი – აღმოჩნდა ტყუილი, რომელიც საბერძნეთს ისეთად წარმოაჩინდა, როგორც არასდროს ყოფილა.

ცოტა ადამიანი თუ იტყვის, რომ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტში ისეთივე ამბები ხდება, როგორც მის ბერძნულ ანალოგში, მაგრამ მაინც არსებობს იმისი საშიშროება, რომ მონაცემებით ის რეალობა წარმოაჩინოს, რაც არ არსებობს.

მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიხედვით, საქართველოში უმუშევრობის დონე 16.3%-ია. ამავე დროს, როდესაც მოქალაქეებს ეკითხებიან მათი სამუშაო სტატუსის შესახებ, სულ სხვა სურათს ვიღებთ. მაგალითად, NDI-ის (ნაციონალურ დემოკრატიული ინსტიტუტი - მთარგმნელის შენიშვნა) ბოლო გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის 68%-მა განაცხადა, რომ მათ არ აქვთ სამსახური, 43% კი აქტიურად ცდილობს სამსახურის შოვნას. ამ მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის დონე 29.24%-ია. იქიდან გამომდინარე, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი არ ახდენს გამოკითხვის დროს მოქალაქეების რეგისტრირებას და ხელმძღვანელობს იმავე პრინციპით, რითიც NDI, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამ უკანასკნელის მონაცემები ისევე სარწმუნოა, როგორც – ოფიციალური, შეიძლება უფრო მეტად სარწმუნოც, რადგან ხელისუფლებას აქვს აშკარა ინტერესი, რომ

ქვეყნის პრობლემების სერიოზულობა შეარბილოს.

დარღვევა თავს იჩენს არა იმიტომ, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი იგონებს მონაცემებს, არამედ იმის გამო, რომ რასაც დეპარტამენტში თვლიან „თვითდასაქმებულად“, სინამდვილეში დაუსაქმებლები ან, უკეთეს შემთხვევაში, კვალიფიკაციის შეუსაბამოდ დასაქმებულები არიან. ამ კატეგორიაში ძირითადად შედიან საკუთარი მიწის ამარა მყოფი გლეხები, რომელთა რიცხვსაც უმატებენ დასაქმებულთა კატეგორიას, ანუ მოსახლეობის 50%-ს. გლეხები აწარმოებენ მშპ-ს 10%-ს. აქედან გამომდინარე, მათი უმრავლესობა აწარმოებს ძალიან ცოტას, ან – თითქმის არაფერს. ამ დაკვირვებას დადასტურებს ნებისმიერ ქართულ სოფელში ვიზიტი, სადაც სამეურნეო აქტივობები ძალზე დაბალია.

გამოდის, რომ 16.3% უმუშევრობის დონე შეიძლება მთლად ტყუილიც არ არის, მაგრამ არც სიმართლეა. როგორც საბერძნეთის მაგალითიდან ვიცით, არსებობს მოკლევადიანი და საშუალოვადიანი მოგებები მსოფლიოსთვის შელამაზებული სურათის მიწოდების შემთხვევაში. ერთი რამ ნათელია, რომ რეალობის აღიარება პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნებოდა. ეკონომიკის განვითარების მინისტრი რომ გამოვიდეს და თქვას, – „იციოთ რა, ჩვენი მოსახლეობის ნახევარი დაუსაქმებელია“, – ალბათ ესეც სიმამაცე ან სიბრყივე იქნება. ან კიდევ თუ იტყვის, რომ ეკონომიკურმა პოლიტიკამ და ბიზნეს კლიმატის რეფორმამ ვერ უზრუნველყო უმუშევრობის დონის შემცირება, და რომ სინამდვილეში ქვეყნის ეკონომიკა ძალზე სუსტია და მთავრობამ არაფერი გააკეთა ამის გამოსასწორებლად, ის ალბათ თავადაც უმუშევრების რიგებს შეუერთდება.

გრძელვადიან პერსპექტივაში კი რეალობისთვის თვალის არიდება გამოიწვევს იმას, რომ სიტუაციის გამოსწორებისთვის აუცილებელ ზომებს და რადიკალურ გადაწყვეტილებებს არ მივიღებთ. თუ ჩვენ თვალს არ გავუსწორებთ იმ რეალობას, რომ სოფელში გოგრის თესვების ჭამა სინამდვილეში დასაქმებას არ ნიშნავს, შეიძლება ერთ დღეს გვითხრან, რომ, ტყუილის სანაცვლოდ, „სვეტიცხოველი“ უნდა გავყიდოთ. **■**

## პოლიტიკა

# ფუნაქიის ისვის ჰოფესიას

ინგა გრიგოლია  
ველარასოდეს იქნება  
მიუკერძოებელი  
ჟურნალისტი,  
ამის შესაძლებლობას  
მისი ბოლო არჩევანი  
გამორიცხავს.

მაია ნიკლაური

„არ ვაპირებ პოლიტიკური ბატალიები ოპოზიციასთან გავმართო – ჩემი მთავარი კონკურენტი მმართველი ძალაა და დებატებში მხოლოდ მასთან შევალ“, – ეს განცხადება ცნობილ ტელენამყვანს ინგა გრიგოლიას ეკუთვნის.

ჟურნალისტიკა უკვე გრიგოლიას წარსულია. ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ საარჩევნო სიის პირველ ნომრად და საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად 10 მარტს სწორედ გრიგოლია დაასახელა.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიამ საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო, მომავალი ქრისტიან-დემოკრატი ჯერ ლონდონში იმყოფება და ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს ესწრება. აქტიურ საარჩევნო კამპანიაში ჩართვას ის აპრილში გეგმავს, მას შემდეგ რაც ინგლისურს ისწავლის. თანაგუნდელები ინგას პარტიულ ლიდერად ხედავენ.



ინგა გრიგოლია გადაცემა „პრაიმ ტაიმის“ სტუდიაში

ფოტო: ანა დიმიტოვა

მართალია, თავად გრიგოლია ამბობს, რომ მისი მთავარი ოპონენტი ხელისუფლებაა, მაგრამ 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნებზე საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის ბრძოლაში მისი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი ოპოზიციონერი სოზარ სუბარი იქნება.

„ინგა ისეთივე პოლიტიკოსი იქნება, როგორი ჟურნალისტიც იყო. მას აქვს ინსტინქტი და კარგად ხვდება, რა სურს აუდიტორიას“, – აცხადებს ლევან ვეფხვაძე, რომელიც დაწმუნებულია, რომ გრიგოლიას პოპულარობა პარტიის რეიტინგს გაზრდის. იგი ამბობს, რომ ყოფილ ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას ქალაქის ბიზნეს და კულტურულ ელიტასთან კარგი პირადი კონტაქტები აკავშირებს, რაც მას, როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს, მუშაობაში დაეხმარება.

თავად გრიგოლია თვითმმართველობის არჩევნების წინ ამბიციურ პარალელებს ავლებს. იგი აპირებს საკრებულოს თავმჯდომარეობის პოსტი ისევე ეფექტურად გამოიყენოს, როგორც ეს თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა მოახერხა. „ჩვენ შეგვიძლია სააკაშვილზე უკეთესებიც ვიყოთ“, – ამბობს ყოფილი ტელენაწყვანი.

გრიგოლია, ისევე როგორც დღევანდელი პოლიტიკოსების უმრავლესობა, „მოქალაქეთა კავშირიდან“ მოდის. ჯერ კიდევ 1997 წელს იგი

მმართველი პარტიის პრესმდივანი იყო.

შემდგომი 12 წელი მის კარიერაში აღმასვლის ხანაა. გრიგოლია ყველაზე პოპულარულ, რეიტინგულ და მაღალანაზღაურებად ჟურნალისტად იქცა საქართველოში.

მისი კრიტიკოსებიც და მეგობრებიც თანხმდებიან იმაზე, რომ გრიგოლიას წარმატება მის ეპატაჟურობაშია. მაპროვოცირებელი, უხეში, პირდაპირი, რესპონდენტს აზრს აწყვეტინებდა და ამით ქმნიდა შოუს, – ეს ის ეპითეტები და შეფასებებია, რითაც გრიგოლიას ახასიათებენ.

„მას ეთერში ჰქონდა ისეთი მუხტი და ენერჯია, როგორც არავის არ გვაქვს დღეს ქართულ ტელევიზორში. მას შეეძლო ეკრანი გაეხეთქა და ძალიან ახლოს მისულიყო მაყურებელთან“, – ამბობს ჟურნალისტი დავით შაიჭაძე.

თუმცა იქვე დასძენს, რომ გრიგოლია ჟურნალისტიკაში დილეტანტი იყო. „მაყურებელთან ურთიერთობის ნიჭს ინგამ სათანადო განათლება არ მიაშველა, ამიტომ ის პროფესიონალ ჟურნალისტად ვერ იქცა“.

გრიგოლიას მეგობარი და უკვე მისი პოლიტიკური პარტნიორი, ლევან ვეფხვაძე ამბობს, რომ დილეტანტობა მხოლოდ როლი იყო, რომელსაც გრიგოლია თავის გადაცემებში სპეციალურად ირგებდა, რათა რესპონდენტის აღშფოთება გამოეწვია

და, შესაბამისად, ცოცხალი გადაცემა გამოსულიყო.

მისი, როგორც ჟურნალისტიკის სისუსტე ყველაზე კარგად 2009 წლის თებერვალში კახა ბენდუქიძესთან ინტერვიუში გამოჩნდა. ამ სკანდალურ გადაცემაში უსუსურ მდგომარეობაში თავად წამყვანი აღმოჩნდა. ბენდუქიძემ მაყურებელს დაანახა, რომ მისი თანამოსაუბრე და ყველაზე პოპულარული წამყვანი სათანადოდ არ იცნობდა თემას და მხოლოდ პროვოკაციული კითხვები ჰქონდა მომზადებული.

თავად გრიგოლია ამბობს, რომ მისი წარმატების საიდუმლო პროფესიულ დამოუკიდებლობაშია. იგი ყველგან და ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მიუკერძოებელი ჟურნალისტიკა და მისი გადაცემების მომზადებაში არავინ არასოდეს ჩარეულა. ხოლო, თუ ასეთი შემთხვევები ყოფილა, მას „არასოდეს მოუტყუებია მაყურებელი და ამის შესახებ პირდაპირ ეთერში უთქვამს“.

2009 წლის 8 მარტს გადაცემა „პოლიტიკური კვირის“ პირდაპირ ეთერში გრიგოლიამ თქვა, რომ პირველი არხის ხელმძღვანელობამ მას ირაკლი ოქრუაშვილის გადაცემაში ჩართვა აუკრძალა. ამ ფაქტის შემდეგ რამდენიმე დღეში გრიგოლიამ არხის გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა დატოვა.

თუმცა, გრიგოლია არასოდეს მიდიოდა სახლში. ერთი პროექტის დახურვისთანავე იგი ყოველთვის ახერხებდა სხვა, თუნდაც პროსახელისუფლებო არხზე ახალი გადაცემა გაეკეთებინა.

როცა შევარდნაძის დროს გადაცემა „ღამის მოამბე“ დაუხურეს, მკვეთრად იმიჯშეცვლილი გრიგოლია ტელეკომპანია „მზეზე“ გამოჩნდა და ამ ახლად შექმნილი არხის იმდროინდელ პოპულარობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

„ღამის მზერა“ ვარდების რევოლუციის შემდეგ 2004 წლის გაზაფხულზე სხვა არხების თოქ-შოუებთან ერთად დაიხურა, რის შემდეგაც გრიგოლია ტელეკომპანია „იმედი“ გამოჩნდა. თუმცა 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ მან არხი დატოვა. ამ გადაწყვეტილებას იგი ბადრი ჰატარკაციშვილის პოლიტიკური პოზიციით ხსნის. ის ამბობდა, რომ „იმედი“ პოლიტიკურ მხარედ იქცა და არ სურდა, ამით მისი პროფესიული თა-

## ინტერვიუს ბანაკების ჩიხინები

### ანგარიში მოხდა შვედები გადაცემაში:

1. პირველები - 11.01.05-დან 27.12.05-მდე
2. რეაქცია - 14.01.05-დან 02.11.07-მდე
3. ღია ეთერი - 06.02.07-დან 06.11.07-მდე (მხოლოდ სამშაბათობით ინგასთან ერთად)
4. პრაიმ ტაიმი - 10.12.07-დან 05.06.08-მდე
5. პოლიტიკური კვირა - 11.01.09-დან 26.07.09-მდე

კვლევა იმ ქალაქებში ჩატარდა, სადაც მოსახლეობა არის 45 000+, სამიზნე - 4+

გადაცემა	რეიტინგი* %	სატელევიზიო აუდიტორიის წილი** %
პოლიტიკური კვირა	9.99 %	29.14 %
პრაიმ ტაიმი	19.19 %	58.63 %
ღია ეთერი	12.55 %	42.75 %
რეაქცია	13.43 %	35.85 %
პირველები	19.07 %	23.30 %

\* გამოკითხულთა რამდენი პროცენტი ანიჭებს გადაცემას უპირატესობას

\*\* გამოკითხულთა რამდენ პროცენტს ჰქონდა ჩართული ტელევიზორი კონკრეტულ გადაცემაზე

თი-ვი ემ-არ საქართველო, AGB Nielsen Media Research-ის ლიცენზირებული წარმომადგენელი



■ გიორგი ახვლედიანი, ინგა გრიგოლია და გიორგი თარგამაძე გადაცემა „პრაიმ ტაიმის“ სტუდიაში

ფოტო: თეონა სოსო

■ ინგა გრიგოლია აპირებს საკრებულოს თავმჯდომარეობის პოსტი ისევე ეფექტურად გამოიყენოს, როგორც ეს თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა მოახერხა.

ვისუფლება შეზღუდულიყო.

ზუსტად ერთ თვეში ინგა გრიგოლიას ახალი პროექტი „რუსთავი 2“-ზე დაიწყო და ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების გაშუქების შემდეგ დაიხურა. 2007 წლის დეკემბერში „TBC TV“ სტუდიის მიერ მომზადებული თოქ-შოუს – „პრაიმ ტაიმის“ პირველი სტუმარი საქართველოს გადამდგარი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო.

გრიგოლიას ჰქონდა შემოთავაზება ტელეკომპანია „მაესტროდანაც“. თუმცა მან „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ საკუთარი გადაცემა და გენერალური დირექტორის მოადგილის პოსტი არჩია.

2009 წელს იგი ოპოზიციის საგაზაფხულო აქციების მზადების პროცესს

აშუქებდა. „ომის პასუხისმგებლობით დანყებული, სააკაშვილის ჰალსტუხის თემითა თუ მასაჟისტის გახმაურებული ამბით დამთავრებული, ამ გადაცემაში ყველაფერი შუქდებოდა“, – ამბობს გრიგოლია.

გასული წლის გაზაფხულზე ტელევიზიის შენობასთან მონყობილ „სირცხვილის კორიდორებში“, სადაც ოპოზიციონერებს პირველი არხის ჟურნალისტების ფოტოები ჰქონდათ გამოკრული, გრიგოლიას ფოტოს ვერ ნახავდით.

გრიგოლიას მეგობარი კოკა ყანდიაშვილი ამბობს, რომ ინგა ხელისუფლების ნილაბი იყო დემოკრატიის შთაბეჭდილების გასამყარებლად.

„თავის გადაცემებში ის უჩვენებდა, რომ ქვეყანაში ოპოზიცია არსებობს

და ამით იგი შეიძლება სააკაშვილის ხელისუფლებას უწყობდა ხელს. ამასთანავე ინგა იყო ერთადერთი, ვისაც შეეძლო ხალხისთვის ეთქვა ის, რასაც ვერავინ ბედავდა. შეიძლება სიმართლეს ბოლომდე ვერ ამბობდა, მაგრამ რალაცას მაინც ახერხებდა“, – აღნიშნავს ყანდიაშვილი.

ოპონენტები ამბობენ, რომ გრიგოლია არასოდეს წასულა ვა-ბანკზე და ხელისუფლებასთან კრიტიკულ კონფრონტაციაზე. მისი რადიკალური ნაბიჯებისა და მკვეთრი განცხადებების მიღმა პრაგმატიზმი იკითხება, რომელიც ყოველთვის ახალ, მომგებიან პროექტში მონაწილეობის გარანტია იყო. სანაცვლოდ კი, მას გარკვეულ დათმობებზე წასვლა უხდებოდა.

გრიგოლია ხშირად ლიად ამბობდა,

როცა ხელისუფლება მის საქმიანობაში ერეოდა, თუმცა არასოდეს ადანაშაულებდა კონკრეტულ ადამიანებს და ამის გამო პასუხი არავისთვის მოუთხოვია.

„ყველაზე თვალსაჩინო კომპრომისი 2007 წლის დეკემბერში სააკაშვილთან მისი ინტერვიუ იყო, – იხსენებს დავით პაიჭაძე, – იქ მას კითხვები არ დაუსვამს, უფრო მტკიცებითი წინადადებებით და მრავალწერტილებით ლაპარაკობდა. თავის თავს არ ჰგავდა. ეს იყო მისი სეპარატისტული ზავი ხელისუფლებასთან“.

კიდევ ერთი ლეგენდა, რომელიც გრიგოლიას უკავშირდება, მისი ხელფასია. ყვითელი ჟურნალები მუდმივად წერდნენ იმის შესახებ, რომ გრიგოლია საქართველოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჟურნალისტი იყო.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სა-

დაიხურა. ამ დროს შეიცვალა პირველი არხის ხელმძღვანელობაც. ახალმა დირექტორმა გია ჭანტურამ გრიგოლიას გადაცემის გაგრძელება შესთავაზა, თუმცა ერთი პირობით – პროექტი მაუწყებელთან პირდაპირი კონტრაქტით უნდა განხორციელებულიყო.

გრიგოლიამ ამ წინადადებაზე უარი თქვა: „პირდაპირი კონტრაქტი არ მინდოდა. გადაცემაზე მუშაობასთან დაკავშირებით პირველი არხის სტანდარტებისგან განსხვავებული ხედვა მქონდა. კონტრაქტი აღარ გავაგრძელე. მე მქონდა არჩევანის უფლება“, – ამბობს იგი.

ინგა გრიგოლიას არჩევანი დღეს პოლიტიკაა. მასზე, როგორც პოლიტიკოსზე მსჯელობა დღეს მხოლოდ მისი ჟურნალისტური წარსულით შეიძლება.

მოსალოდნელი იყო, რომ მისი არ-



ბეროლისტის დალი

# ბუნსანამოდან საქართველოში

საქართველო პირველი

პოსტსაბჭოთა ქვეყანა

აღმოჩნდა, რომელმაც

გუანტანამოდან სამი

პატიმარი მიიღო. ორი მათგანი

წარმომობით ლიბიიდანაა.

ერთ-ერთის ვინაობა მისმა

ადვოკატმა გაამხილა.

**ოლესია ვართანიანი, რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი, თბილისი, სპეციალურად „ლიბერალისთვის“**

აბდელ ხამიდ ალ-გხაზავი 47 წლისაა. ის წარმომობით ლიბიიდანაა და დღემდე ამ ქვეყნის მოქალაქედ ითვლება. ის ავღანეთის სპეცსამსახურებმა 2002 წელს ქალაქ კოვანში დააპატიმრეს. დაკავებამდე რამდენიმე

კიდევ ერთი ლეგენდა, რომელიც გრიგოლიას უკავშირდება, მისი ხელფასია. ყვითელი ჟურნალები მუდმივად წერდნენ იმის შესახებ, რომ გრიგოლია საქართველოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჟურნალისტი იყო.

მეთვალყურეო საბჭოს წევრი ბაკურ სულაკაური ამბობს, რომ გრიგოლიას ხელფასის გარკვევა მან საბჭოს სხდომაზეც სცადა, მაგრამ საბჭომ ეს საკითხი არ განიხილა. სულაკაური ეჭვობს, რომ ინგა გრიგოლიას, როგორც წამყვანის ხელფასი, დაახლოებით, 30 ათასი ლარი იყო. სწორედ ამდენს ურიცხვავდა ყოველთვიურად მაუწყებელი შპს „პოლიტიკურ კვირას“. სულაკაური ამბობს, რომ საბუთების მიხედვით განერილი ხარჯთაღრიცხვა ბუტაფორია იყო და, სავარაუდოდ, ეს თანხა მთლიანად გრიგოლიას ხელფასს შეადგენდა.

„ჩემი ინფორმაციით, ეს გადაცემა ყველაფერში იყენებდა მაუწყებლის რესურსს. ის ადამიანები, ვინც „პოლიტიკურ კვირაზე“ მუშაობდნენ, ხელფასს იღებდნენ, როგორც მაუწყებლის და არა როგორც შპს „პოლიტიკური კვირის“ თანამშრომლები“, – ამბობს ბაკურ სულაკაური. მისი თქმით, ამის დოკუმენტურად დადასტურება დღეს უკვე ძალიან რთულია.

„პოლიტიკური კვირა“ 26 ივლისს

ჩევანი ზომიერ ქრისტიან-დემოკრატიზმზე შეჩერდებოდა. როგორც კოკა ყანდიაშვილი ამბობს, გრიგოლია თავის რედაქციაში მოხვდა, ოღონდ – პოლიტიკურში. გარდა ამისა, გრიგოლია ყველაზე უკეთ სწორედ იმ პარტიის კონიუნქტურაში ჯდება, რომელსაც ოპონენტები ხელისუფლების სატელიტად განიხილავენ.

თანაპარტიელებისგან განსხვავებით, რომლებიც თბილისელების სოციალურ პრობლემებზე საუბრობენ და ხელისუფლების კრიტიკისგან თავს იკავებენ, გრიგოლია თვითმმართველობის არჩევნების პოლიტიკურ ხასიათზე ამახვილებს ყურადღებას.

„თუ მოვახერხებთ და დავამარცხებთ ამ არჩევნებში „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს იქნება სახელისუფლებო პარტიის დასასრული. რატომ არ შეიძლება, რომ არჩევნებით მმართველი პარტია ერთხელ მაინც აღმოჩნდეს ოპოზიციაში, ან სულაც გაქრეს პოლიტიკური სარბიელიდან, როგორც ეს „მოქალაქეთა კავშირის“ შემთხვევაში მოხდა?!“ – ამბობს ყოფილი ჟურნალისტი. **■**



■ გუანტანამოს პატიმართა ბანაკი, კუბა



■ პატიმრის ეტაპირება, გუანტანამოს პატიმართა ბანაკი, კუბა

ნლის განმავლობაში აბდელს ავღანეთის ქალაქ ჯალალაბადში პატარა მალაზია ჰქონდა. მასთან ერთად იქვე ცხოვრობდნენ მისი ავღანელი ცოლი და პატარა ქალიშვილი.

დაკავებისთანავე აბდელი გადასაცეს ამერიკულ მხარეს, რომელმაც ის კუბაზე, გუანტანამოს პატიმართა ბანაკში გადაიყვანა.

აბდელს რამდენიმე ბრალდება წაუყენეს: ტერორისტული ორგანიზაცია ალქაიდასა და ლიბიის ისლამისტური სამხედრო დაჯგუფების წევრობა, სანვრთნელ ბანაკებში მომზადება, და ასევე ტერორისტული ოპერაციისთვის მზადება.

აბდელის საქმიანობის დანვრისებრითი აღწერისას ითქვა, რომ მან იცოდა საბრძოლო იარაღის ხმარება, რამდენჯერმე ღამე გაათენა ტერორისტული ორგანიზაციების შტაბბინებში და, გარდა ამისა, პირადად იცნობდა ალქაიდას ზოგიერთ ცნობილ ლიდერს. ბრალდების მასალებში ნათქვამია, რომ ის ბინ ლადენის დაცვის პირადი შემადგენლობის წევრიც იყო.

აბდელის შესახებ ასეთი ინფორმაციით ჩატარდა ორი სასამართლო სხდომა. პირველზე მოსამართლეებმა ის მეტწილად არ ცნეს, მეორეზე კი სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილება გამოიტანეს.

აბდელის პირად ადვოკატს, ცნობილ ჩიკაგოელ იურისტ კენდის გორმანს თავიდანვე, როგორც კი ეს საქმე ხელში ჩაუვარდა, არ სჯეროდა მისი

დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობა. ის დაუსრულებლად აქვეყნებდა სტატიებს ინტერნეტსა და ადგილობრივ გაზეთებში, მოჰყავდა ფაქტები და თავის კლიენტის განთავისუფლებას მოითხოვდა.

სწორედ მისი აქტიურობის წყალობით გახდა აბდელის საქმე ასე ცნობილი სამართალდამცავთა ფართო წრეებსა და დაინტერესებულ ჟურნალისტებს შორის. ადვოკატმა რამდენჯერმე დაწერა პრესაში, თუ როგორ ეუბნებოდნენ მის კლიენტს უარს ჰეპატიცისა და ტუბერკულოზის მკურნალობაზე, რის გამოც ის ღვიძლის ავადმყოფობით „ნელი და მტანჯველი“ სიკვდილით კვდებოდა.

კენდისი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც საზოგადოებას წარუდგინა გუანტანამოელ ტუსალებზე „სრულიად საიდუმლო“ მტკიცებულებები, რომელთა უმეტესობა ადასტურებდა, რომ მათ რეალურად არავითარი ბრალი არ მიუძღოდათ.

აბდელის სასამართლო ჩვენებებიდან ირკვევა, რომ 80-იან წლებში ის ავღანეთში საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ იბრძოდა. მან სამხედრო სწავლება ლიბიის ფლოტში გაიარა, მაგრამ შემდეგ სამხედრო სამსახური მიატოვა და ავღანეთში გადავიდა. სასამართლოზე მან განაცხადა, რომ უკანასკნელი 13 წლის მანძილზე ერთხელაც არ უსვრია.

მან ასევე თქვა, რომ ყველა იმ მოგზაურობაში, რომლებსაც ხელი-

**■ კენდისი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც საზოგადოებას წარუდგინა გუანტანამოელ ტუსალებზე „სრულიად საიდუმლო“ მტკიცებულებები, რომელთა უმეტესობა ადასტურებდა, რომ მათ რეალურად არავითარი ბრალი არ მიუძღოდათ.**

სუფლება ტერორისტული აქტების მომზადებას უკავშირებდა, ის საკუთარი გვარით და ტურისტული მიზნით იმყოფებოდა. აბდელი ამბობს იმასაც, რომ მეტწილად შემადგენლობაში შესვლას და მომზადების გავლას აიძულებდნენ, მაგრამ მან უარი განაცხადა, ვინაიდან – როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში წერია – „ის ადამიანები ან ადამიანების ჯგუფი, რომლებიც ტერორიზმით არიან დაკავებული, ისლამს ამახინჯებენ“.

როგორც აბდელის ადვოკატი წერს, ამ ჩვენებების შემონემა დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებელი იყო. ბევრი მოწმის ჩვენება აღნიშნული იყო გრიფით „საიდუმლო“, და მათ პატი-

მართა ინტერესების დამცველებსაც კი არ უჩვენებდნენ.

ორგანიზაცია „რეპრეზის“ წარმომადგენლის, პოლი როდსეილის თქმით, რომელიც გუანტანამოზე ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებითაა დაკავებული, პატიმართა 85%-ზე მეტის მიმართ არ არსებობს რეალური მტკიცებულებები მათი ტერორისტული დაჯგუფებების წევრობის შესახებ.

სამართალდამცავი ორგანიზაციები თავიანთ პუბლიკაციებში წერენ, რომ გუანტანამოელი პატიმრების უმეტესობის ტყვედ აყვანა აშშ-სა და ნატო-ს სხვა ჯარების მიერ ავღანეთში განხორციელებული სამხედრო ოპერაციის პირველ წლებში მოხდა.

ამერიკელი სამხედროები ავღანეთის ქალაქებში ავრცელებდნენ ფურცლებს, რომელთა შინაარსის მიხედვით, ტერორისტთა ლიდერების გამცემები მილიონობით დოლარით დაჯილდოვდებოდნენ.

ბანაკის მთლიანად დახურვის შესახებ დადგა საკითხი, თუ სად წაეყვანათ იქაური პატიმრები.

ამერიკელმა კონგრესმენებმა უარი განაცხადეს პატიმრების ქვეყნის ტერიტორიაზე გადასახლების ნებართვის გაცემაზე. მთავრობას მოუწია, ისეთი ქვეყნები ეძებნა, რომლებიც გუანტანამოელებს მიიღებდნენ.

ამ პროცესს სათავეში ედგა დენიელ ფრიდი, სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე ევროპასა და აზიაში.

„დენიელი იმდენჯერ გადაფრინდა სხვადასხვა ქვეყანაში, რამდენიც ამქვეყნად არც ერთ სხვა ადამიანს არ უფრენია“, – ჰყვება ბრიტანელი ჟურნალისტი ენდი ვორფინგტონი, გუანტანამოელ ტუსალებზე დაწერილი რამდენიმე წიგნისა და დოკუმენტური ფილმის ავტორი.

„ის ხედვობდა სრულიად განსხვავებულ მთავრობებს და მათ იმ ადამიანების სიას უჩვენებდა, რომლებსაც

„სიმართლე კი ისაა, რომ პატიმართა უმრავლესობის წინააღმდეგ მათ მტკიცებულებები არ გააჩნდათ. ისინი უბრალოდ აპატიმრებდნენ ამ ადამიანებს. და მესმის, რამდენად ძნელად გასაცნობიერებელია ეს იმ ქვეყნების [პატიმრების მიმღები] მოქალაქეებისთვის, და რა რთულია იმ ეჭვების გადალახვა, რომლებიც მათ დიკ ჩეინისა და მისი ხალხის დამსახურებით გაუჩნდათ“, – ამბობს ვორფინგტონი.

ვორფინგტონის მტკიცებით, ობამას ხელისუფლება არ გარისკავდა, ისეთი ადამიანები გაეთავისუფლებინა, რომელთა უდანაშაულობაშიც სრულიად დარწმუნებული არ იქნებოდა. „თავს ამ საშიშროების წინაშე არ დაიყენებდნენ“, – ამბობს იგი.

გასული წლის განმავლობაში ობამას მთავრობამ 40 პატიმარი გადაასახლა. ბევრი მათგანი ევროპისა და აზიის ქვეყნებში გაემგზავრა.

ვორფინგტონი ამბობს, რომ ბევრი

■ ვორფინგტონი ამბობს, რომ ბევრი პატიმარი უარს აცხადებს გუანტანამოდან მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებაზე, რადგან საკუთარ სიცოცხლეს უფრთხილდებიან. ჟურნალისტის თქმით, ის ორივე პატიმარი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ლიბიაში დაბრუნდა, ციხეში ჩასვეს.

როსდეილის თქმით, ამერიკაში ცოტა ვინმე თუ ერკვეოდა რეალურად საქმის დეტალებში ან ცდილობდა იმ ინფორმაციის გადამონმებას, რასაც ავღანეთის, პაკისტანის თუ ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებიდან იღებდნენ.

ამგვარად, 2006 წლისთვის გუანტანამოში 500-ზე მეტი ადამიანი შეგროვდა. იმავე წელს ამერიკულმა პრესამ ზედიზედ დაიწყო იმ წამების ფაქტებზე წერა, რაც პატიმრების მიმართ ხდებოდა, და მასალების გამოქვეყნება იმ კონკრეტულ ადამიანებზე, რომელთა ბრალეულობაზე არ არსებობდა რეალური მტკიცებულებები.

„გუანტანამო ამერიკული დემოკრატიის სირცხვილად იქცა“, – ამბობდნენ ადგილობრივი სამართალდამცველი ორგანიზაციები და პოლიტიკოსები. პატიმართა ამ ბანაკის დახურვა ბარაკ ობამას ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება გახდა.

ობამამ ინაუგურაციის მეორე დღეს, 2009 წლის იანვარში ხელი მოაწერა ბრძანებას გუანტანამოს ყველა პატიმრის საქმის გადახედვის, მოგვიანებით კი ერთი წლის განმავლობაში ამ

შინ დაბრუნება არ შეეძლოთ, რადგან მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ის მათ სიას უჩვენებდა და ეკითხებოდა, – „ნაიყვანთ თქვენთან რომელიმე ამ ადამიანს?“ და თუკი ხელისუფლება ინტერესს გამოთქვამდა, მათ წარმომადგენელს გუანტანამოში ჩასვლის და ამ ადამიანების საქმეების გაცნობის საშუალებას აძლევდნენ“.

ვორფინგტონის თქმით, ფრიდის საქმიანობა ადვილი არ იყო, რადგან ბევრ ქვეყანაში ამ პატიმრებს ტერორისტებად აღიქვამდნენ. თუკი ფრიდი პოლიტიკოსებს დაითანხმებდა, შემდეგ მათ უკვე საკუთარი მოქალაქეების დარწმუნება უჭირდათ, რომ გუანტანამოდან ჩამოსული ადამიანები საფრთხეს არ წარმოადგენდნენ.

„ეს შიში ყველა იმ ქვეყანაში ჰქონდათ, სადაც გუანტანამოელ პატიმრებს ასახლებდნენ“, – ამბობს ვორფინგტონი.

მისი თქმით, შიში იმ ინფორმაციის შედეგად გაჩნდა, რომელიც წლების მანძილზე მოდიოდა ბუშის მთავრობიდან: „ესენი არიან საშიშური ადამიანები, რომლებიც, იძულებული ვართ, რომ ჩვენთან გვყავდეს“.

პატიმარი უარს აცხადებს გუანტანამოდან მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებაზე, რადგან საკუთარ სიცოცხლეს უფრთხილდებიან. ჟურნალისტის თქმით, ის ორივე პატიმარი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ლიბიაში დაბრუნდა, ციხეში ჩასვეს.

მისივე თქმით, იგივე სასჯელი ემუქრებოდა საქართველოში ჩამოსულ აბდელსაც. ოფიციალურ სასამართლო საბუთებში ნათქვამია, რომ მას ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე დიდი ხნით ადრე ემინოდა სამშობლოში დაბრუნების, რადგან იქ იძულებული იყო, სამხედრო ფლოტში ემსახურა, რაც არ უნდოდა. უარისთვის კი ციხეში ჩასვამდნენ.


საქართველოს შსს-ს ინფორმაციით, საქართველოში ჩამოსული გუანტანამოელები ჩვეულებრივი ადამიანებით იცხოვრებენ კერძო საცხოვრებელ ადგილებზე. ყოფილ პატიმრებს ხელს შეუწყობენ, რომ ქართული ენა ისწავლონ და სამსახურის მოძებნაშიც დაეხმარებიან. მათ მიმართ იმოქმედებს ერთადერთი შეზღუდვა – აკრძალვბათ ქვეყნიდან გასვლა. ■



# ამერიკის ჯანდაცვის ხეობა - დახტემა საბაზრო ფუნდამენტალიზმს

„ახალი ამერიკული უმრავლესობა წერტილს დაუსვამს მიუწვდომელი ჯანდაცვის სერვისის თავაშვებულობას. ჩვენ ერთად შევკრებთ ექიმებსა და პაციენტებს, მუშებსა და ბიზნესმენებს, დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს, და ვეტყვიტ მედიკამენტებისა და დაზღვევის ინდუსტრიებს, რომ ისინი ამჯერად ყველა ადგილს ვერ იყიდიან!“ – ობამას წინასაარჩევნო სიტყვა ნიუ-ჰემფშირში, 2008 წლის 8 იანვარი.

გიორგი ცხადაია



■ ბარაკ ობამა საუბრობს ჯანდაცვის რეფორმაზე, კოლიჯ პარკი, მერილენდი 2010

ამერიკის ისტორიაში სოციალური რეფორმების ახალი ერა დაიწყო. 2010 წლის 23 მარტს დემოკრატმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა ჯანდაცვის რეფორმის კანონპროექტს, რითაც, მისივე თქმით, საფუძველი ჩაეყარა საყოველთაო ჯანდაცვის ზოგად პრინციპს.

დღეიდან ფუნდამენტურად იცვლება ბოლო 29 წლის განმავლობაში რესპუბლიკელების მიერ აღებული მემარჯვენე კურსი. საბაზრო კაპიტალიზმის (ან როგორც მას კრიტიკოსები უწო-

დებენ „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“) ძირითადი მაქსიმა, რომ ბაზარი ყველაფერს თავისით დაარეგულირებს მოთხოვნა-მიწოდების კანონების შესაბამისად, კიდევ ერთხელ დადგა სერიოზული ეჭვის ან კორექტირების საფრთხის ქვეშ.

რესპუბლიკელები რევანშით იმუქრებიან, რაც, შესაძლოა, ნაწილობრივ მოახერხონ კიდევ ოთხი თვის შემდეგ დაგეგმილ შუალედურ არჩევნებზე. მაგრამ ფაქტია, რომ ჯანდაცვის რეფორმის ძირითადი პუნქტების გაუქმება შეუძ-

ლებელი თუ არა, უკიდურესად რთული საქმე იქნება. ჯორჯ ბუშის საჯარო გამოსვლების ტექსტების ერთ-ერთმა ავტორმა, დევიდ ფრუმმა „ჰაფინგტონ პოსტში“ დაბეჭდილ სტატიაში აღნიშნა, რომ რესპუბლიკელებს ძალიან გაუჭირდებათ იმ ადამიანებისთვის ჯანმრთელობის დაცვის მთელი რიგი შესაძლებლობების წართმევა, რაც ამ რეფორმით უკვე მოიპოვეს.

ამერიკის შიდა პოლიტიკურ არენაზე რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის თითქმის ერთ წელიწადს გაგრძელდა დაძაბული დებატები. ჯანდაცვის რეფორმის განხილვა მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტორის გამო. მისი მოკლე მიმოხილვა აუცილებელია იმისთვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ მისი მიღების მნიშვნელობა; გავიგოთ ვინ წააგო და ვინ მოიგო ამ გადაწყვეტილებით და ასევე, საინტერესოა როგორ იმოქმედა კანონპროექტის მიღებამ აქამდე საყოველთაოდ გავრცელებულ შეხედულებებზე ბაზრისა და სახელმწიფოს როლის შესახებ.

კანონი ჯანდაცვის რეფორმის შესახებ თანდათანობით შევა ძალაში. ყველა ცვლილება 2010 წლიდანვე არ დაიწყება, საკვანძო ცვლილებების ნაწილი 2014 წლისთვის ამოქმედდება. ამ დროიდან ყოველი ამერიკელისთვის სავალდებულო გახდება ჯანდაცვის სადაზღვევო პოლისის ქონა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯარიმის სახით – 95 დოლარს, მომდევნო წლებში კი, შესაბამისად, 350 და 750 დოლარს გადაიხდებიან. ეს ნაბიჯი ათანასწორე-

ბს რისკს მთელ მოსახლეობაში, ანუ ყველა ადამიანი თანაბრად იქნება დაზღვეული და ისინი თანაბრად აიღებენ პასუხისმგებლობას ერთმანეთზე.

მოქალაქეები და მცირე ბიზნესები მიიღებენ ხელმისაწვდომ დაზღვევის პოლისებს. პროგრამა „მედიკეიდი“ (MEDICAID) მოსახლეობის დაუცველი ჯგუფებისთვის მიიღებს მეტ დაფინანსებას და უფრო მეტი ისეთი მოქალაქე მოექცევა სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, რომელიც წელიწადში 14 440 დოლარზე ნაკლებს გამოიმუშავებს. და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი: ვიდრე კანონპროექტი სრულად შევა ძალაში, მთავრობა გამოყოფს სუბსიდიებს იმისთვის, რომ პოლისის მოთხოვნამდე სადაზღვევო კომპანიებმა მოქალაქეებს იმ საბაბით არ უთხრან უარი, რომ მათ უკვე აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები.

ცვლილება შეეხება პროგრამა MEDICARE-საც (ანუ 65 წელზე უფროსი

ქეებს, როდესაც სადაზღვევო კომპანიები მანიპულირებდნენ ბაზრით; მაგალითად, ირჩევდნენ ჯანმრთელ კლიენტებს და უარს ეუბნებოდნენ იმათ, ვისაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა.

ობამას ინიციატივა, რომელიც გულისხმობს ფედერალური, სახელმწიფო რეგულაციების გაზრდას და სპეციალური სადაზღვევო გაცვლის ბაზრის ჩამოყალიბებას, იმაზე მიუთითებს, რომ საბაზრო ფუნდამენტალიზმი ანუ რწმენა, რომ ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების კანონები თავისით დაარეგულირებს ადეკვატურ ფასებსა და ხარისხს, სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგა.

მთავრობის მიერ MEDICAID-ის და MEDICARE-ის პროგრამების უკეთესმა სუბსიდირებამ, ჯანმრთელობის პრობლემის მქონე მოქალაქეებისთვის პოლისების მიღების გამარტივებამ და სხვა ინიციატივებმა პოლიტიკურ ოპონენტებს იმის საბაბი მისცა, რომ

რეფორმით, 30 მილიონ ადამიანს მიეცემა ჯანდაცვის დაზღვევის მიღების შესაძლებლობა. აქედან 15 მილიონი საშუალო ფენის წარმომადგენელი მოქალაქე მიიღებს სუბსიდიებს მთავრობისგან, ხოლო MEDICAID-ის პროგრამით, მასში დაზღვეული 15 მილიონი ლარიბი მოქალაქე ჩაებმება.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ტენდენცია, რომელიც ამერიკაში 70-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო და ფორმალურად პრეზიდენტ რეიგანის ხელისუფლებაში მოსვლით გაფორმდა, დასრულდა ახალი საუკუნის მასშტაბური სოციალური პროგრამით, რომელიც დაახლოებით ამ ათწლეულის ბოლომდე გაგრძელდება. რეიგანის პოლიტიკა გულისხმობდა გადასახადების შემცირებას ყველა სოციალური ფენისთვის და სამთავრობო რეგულაციების მინიმუმამდე დაყვანას, მათ შორის – სოციალური პროგრამების შესუსტებას.

■ დღეიდან ფუნდამენტურად იცვლება ბოლო 29 წლის განმავლობაში რესპუბლიკელების მიერ აღებული მემარჯვენე კურსი. საბაზრო კაპიტალიზმის ძირითადი მაქსიმა სერიოზული ეჭვის ან კორექტირების საფრთხის ქვეშ დადგა.

ასაკის მოქალაქეების ჯანდაცვის მექანიზმს): შემცირდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ვერ იღებდნენ პოლისს იმის გამო, რომ არ აკმაყოფილებდნენ მთავრობის მიერ დაწესებული ლიმიტების ფარგლებს (ე.წ. „Donut hole“). 26 წლამდე ახალგაზრდებს მიეცემათ საშუალება, ისარგებლონ თავიანთი მშობლების პოლისით. ე.წ. „კადილაკის პოლისებს“, ანუ ძვირადღირებულ სადაზღვევო პოლისებს კი მთავრობა დააბალანსებს სპეციალური გადასახადებით, რომელიც სადაზღვევო კომპანიებს დაეკისრებათ.

ჯანდაცვის კანონი 1965 წელს მიღებული Medicare-ის კანონის შემდეგ პირველი მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამაა, რომელიც ფედერალურმა მთავრობამ განახორციელა. ინიციატივას მხარს უჭერდა ნობელის პრემიის 2008 წლის ლაურეატი ეკონომიკის დარგში და „ნიუ-იორკ თაიმსის“ კოლუმნისტი, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი, პოლ კრუგმანი. არა მხოლოდ კრუგმანისთვის, არამედ მეინსტრიმ ეკონომისტების დიდი ნაწილისთვისაც ნათელი იყო, თუ რა დაბრკოლებები ექმნებოდათ მოქალა-

რეფორმით გამოწვეულ ბიუჯეტის შესაძლო დეფიციტზე ესაუბრათ. ამ მოსაზრების საპირისპიროდ, კონგრესის ბიუჯეტის ოფისმა (CBO) წარადგინა ანგარიში, რომლის მიხედვითაც, რეფორმა დეფიციტს, გაზრდის ნაცვლად, შეამცირებს. მიუხედავად აღნიშნული ორგანოს რეპუტაციისა, ამასთან დაკავშირებით ეჭვები მაინც არსებობს.

ჯანდაცვის ინიციატივით დაზარალებიან უპირველესად სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც ადრე არ ყოფილან ასეთი მასშტაბის ფედერალური რეგულაციების „მსხვერპლნი“; ასევე, ვისი წლიური შემოსავალიც 200 000 დოლარს შეადგენს – ამერიკის ამ მდიდარ მოქალაქეებს შედარებით მაღალი გადასახადები მოუწევთ. რთულია იმის თქმა, დაზარალებუბა თუ არა რესპუბლიკური პარტია, რომელსაც გარკვეული შანსები გაუჩნდა შუალედურ არჩევნებში (იქიდან გამომდინარე, რომ ამომრჩევლის სოლიდურ ნაწილს არ სურდა მთავრობის როლის ასე გაზრდა), თუმცა, საბოლოო ჯამში, მათთვის ჯანდაცვის კანონპროექტის მიღება უდიდესი დარტყმა იყო.

აღნიშნული ტენდენცია, მართალია, მთელი თავისი მასშტაბით არ გაგრძელბულა წინა ორი ათწლეულის მანძილზე, მაგრამ მისი გამოძახილები ჯორჯ ბუშ უფროსისა და უმცროსის პრეზიდენტობის ხანაში გარკვეული ინტერპრეტაციებით მაინც მოქმედებდა. უფრო სწორად კი, ეს იყო ამერიკის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელი ნიშანი, რომელიც, ბევრი ექსპერტის მოსაზრებით, ჯანდაცვის კანონის მიღებამ შეარყია. რესპუბლიკელების ნაწილმა ობამას „სოციალისტი“ უწოდა, ხოლო მისი ინიციატივა მთავრობის როლის კატასტროფულ გაზრდად შეაფასა.

ჯანდაცვის რეფორმა, ერთი მხრივ, მისი პოლიტიკური დატვირთვისა და სოციალური სარგებლიანობის გამო, მეორე მხრივ კი, მისი იდეოლოგიური კონტექსტის – სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობის გათვალისწინებით, ობამას პრეზიდენტობის ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ იქცა. ამ თემაზე დებატები გაგრძელდება, მაგრამ ჯანდაცვის რეფორმა უკვე ისტორიულ გადწყვეტილებათა რიგს შეუერთდა. ■

# მონოპოლისტი ღეჯუხასტი

ქუთაისში საავტობუსო ხაზებზე გამოცხადებული ტენდერის შედეგად 17 ხაზი სამმა სხვადასხვა კომპანიამ მოიგო. თუმცა სამივე მათგანი იმ ფირმასთან არის ასოცირებული, რომლის 70 პროცენტს პარლამენტის უმრავლესობის წევრი თემურ კოხოძე ფლობს.

თვა ზიზზიბაძე, „ახალი გაზეთი“, ქუთაისი



საავტობუსო ხაზებზე ტენდერი გასული წლის ბოლოს ჩატარდა. 17 ხაზი სამმა შპს-მ გაიწაწა: შპს „თეგეტა სიტი ლაინი“ – 8, შპს „სამგზავრო“ (რომელიც „თეგეტა მოტორსის“ ფილიალია) – 5, ხოლო შპს „სამგზავრო 2007“ – 4. ამ კომპანიებს მერიამ ხუთწლიანი კონტრაქტები გაუფორმა.

ამ ტენდერს წინ უძღვოდა რეფორმა, რომლის შემდეგ ქუთაისში 280 მიკროავტობუსიდან 80 უნდა დარჩენილიყო, ხოლო ავტობუსების რიცხვი პირიქით – 80-დან 140-მდე უნდა გაზრდილიყო. მიკროავტობუსების მძღოლებმა საპროტესტო აქციები გამართეს, ვინაიდან რეფორმის შემდეგ უმუშევრად რჩებოდნენ, რის გამოც ეს გეგმა გადავადდა.

ტენდერში გამარჯვებული სამივე

## ■ 2008 წლის დეკემბერში მერიამ „ავტოტრანსდიზელს“ 27-ე საავტობუსო ხაზი სამთვიანი საექსპერიმენტო ვადით გადასცა, თუმცა საბოლოოდ ხაზი აღარ დაუმტკიცა.

კომპანია ერთსა და იმავე მისამართზე რეგისტრირებული. საჯარო რეესტრიდან ამონაწერში მათი იურიდიული მისამართია – ქუთაისი, ნიკეას მეცხრე ჩიხი, ნომერი 2.

ამასთან, შპს „სამგზავრო“ „თეგეტა მოტორსის“ ფილიალია და მთლიანად

მას ეკუთვნის. „თეგეტა მოტორსის“ 70 პროცენტს, როგორც თავად გვითხრა, პარლამენტის უმრავლესობის წევრი თემურ კოხოძე ფლობს, ხოლო დანარჩენი წილი მან ნათესავებს აჩუქა.

„სამგზავროს“ დირექტორია მერიის ტრანსპორტის სამსახურის ყოფილი თანამშრომელი ზაალ სახელაშვილი, რომელიც შპს „თეგეტა სიტი ლაინის“ ერთპიროვნული ხელმძღვანელია.

შპს „თეგეტა სიტი ლაინის“ 10 პროცენტი ზაალ სახელაშვილს ეკუთვნის, 10 – ანდრო ჯინჭველაშვილს, და 80 პროცენტი – ქუთაისში „თეგეტა მოტორსის“ მალაზიის დირექტორს, რაუდენ ზვიადაძეს.

შპს „სამგზავრო 2007“-ის 30 პროცენტი იმავე ანდრო ჯინჭველაშვილს ეკუთვნის, 30 პროცენტი – „თეგეტა სიტი ლაინს“, ხოლო 40 პროცენტი ბელა აბრამიძეზეა გაფორმებული.

ზაალ სახელაშვილის თქმით, საქალაქო ტრანსპორტს შპს „სამგზავროს“ მემკვიდრეობით მართავენ, რომლის დირექტორიც თავად არის.

მას მიაჩნია, რომ ტრანსპორტის სფეროს მონოპოლისტია, მაგრამ ამბობს, რომ ეს მისი ბრალი არ არის: „ტენდერში მონაწილეობის მიღება ყველას შეეძლო, თუ ვინმეს ეს სურდა, სათანადო განცხადება უნდა წარედგინა“.

ს/ს „ავტოტრანსდიზელში“ განმარტავენ, რომ მერიამ სხვა კომპანიებს ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა არ მისცა.

2008 წლის დეკემბერში მერიამ „ავტოტრანსდიზელს“ 27-ე საავტობუსო ხაზი სამთვიანი საექსპერიმენტო ვადით გადასცა, თუმცა საბოლოოდ ხაზი აღარ დაუმტკიცა.

„საექსპერიმენტო ვადის დასრულების შემდეგ ჩვენ უარი გვითხრეს, თუმცა

იმავე სხდომაზე სახელაშვილს ნომერ მე-100 ჩქაროსნული ხაზი მისცეს“, – ამბობს „ავტოტრანსდიზელის“ დირექტორი დანვერ ლომინაძე.

ის ამტკიცებს, რომ უარი მას სახელაშვილის ინტერესის გამო უთხრეს. სახელაშვილმა საჩივრით მიმართა მერიას, რომ „ავტოტრანსდიზელი“ ვერ აკმაყოფილებდა შესაბამის ნორმებს და მისთვის ავტობუსის ხაზი არ გადაეცათ. სამგზავრო ხაზის უქონლობის გამო, ამ კომპანიის ავტობუსების მძღოლები უსაქმოდ დარჩნენ, რისთვისაც „სამგზავრომ“ ისინი ავტობუსებიანად თავის კომპანიაში გადაიყვანა.

დღევანდელი მდგომარეობით, ქალაქში 90-მდე ავტობუსი მუშაობს, აქედან 20 „თეგეტა მოტორსს“ ეკუთვნის, და-

ნლოვანებაზე“, – ამბობს სახელაშვილი. მან გვითხრა, რომ თურქეთში ავტობუსებს ინტერნეტის საშუალებით ყიდულობდა.

ქუთაისში მომუშავე ავტომობრტორებმა აგვისხნეს, რომ თურქული წარმოების Iveco-ს, Otoyal-ის, Isuzu-ს ავტობუსები, რომლებიც უკვე მოძველებულია და ექსპლუატაციაში თითქმის აღარ გამოიყენება, უამრავია და ადგილზე ჩასვლისას ფასს დაახლოებით 30%-ს აკლებენ.

მათი რეალური ფასის დასადგენად მსგავსი ავტობუსები ინტერნეტით ჩვენც მოვძებნეთ.

შევარჩიე ათამდე თურქული ვებგვერდი, სადაც ავტო-აუქციონები ეწყობა და რომელთა საშუალებითაც

სახელაშვილმა თურქეთიდან ჩამოყვანილი დაახლოებით 50 ავტობუსი გაყიდა. უხეში გაანგარიშებით, თუკი იქ 3000 დოლარად შეიძენდა და შემდეგ გზის და განბაჟების ხარჯებს დაუმატებდა, ფასი 6000 დოლარს არ გადააჭარბებდა, ხოლო გაყიდვიდან მოგება თითქმის 100 პროცენტს შეადგენდა. მას ერთი ავტობუსიდან, საშუალოდ, 5000 დოლარი მოგება რჩებოდა. საერთო ჯამში კი, ტენდერის მიმდინარეობისას, სულ რაღაც სამი თვის მანძილზე სახელაშვილმა ავტობუსების გაყიდვიდან 250 000 დოლარი მიიღო, რაც ნილობრივად განაწილდებოდა.

„მიდის თურქეთში, სადაც ძველ, უფარვის ავტობუსებს ყიდულობს, აქ ჩამოჰყავს და ამუშავებს. ამის მიუხედა-

■ „მე, როგორც სპეციალისტი, არ ვარ კმაყოფილი იმ ავტობუსებით, რაც ქუთაისში ჩამოიყვანეს. ეს არის უტილიზაციისთვის განკუთვნილი, ანუ ჯართზე გადასაყრელი ავტობუსები“.

ნარჩენთა დიდი ნაწილი კი ზაალ სახელაშვილმა თურქეთიდან ჩამოიყვანა და კერძო პირებს მიჰყიდა.

სახელაშვილმა თურქეთიდან ძველი, ჩამონერული (2000-3000 დოლარის ღირებულების) ავტობუსები ჩამოიყვანა, ხოლო ტენდერის მოგების შემდეგ ისინი მძღოლებს ძვირად – 12000-13000 დოლარად მიჰყიდა. მძღოლებიც იძულებულნი იყვნენ პირობას დათანხმდებოდნენ, ვინაიდან ამ ავტობუსებს ხაზებზე მუშაობის უფლება ჰქონდათ. ფაქტობრივად, დასაქმების სანაცვლოდ, მათ ორმაგი თანხა გადაახდევინეს.

ქუთაისის მერიის ტრანსპორტის სამსახურში თურქეთიდან ჩამოყვანილ ავტობუსებზე მითითებულია, რომ ავტობუსების უმრავლესობა 18-19 წლისაა (1991-1992 წლებში გამოშვებული), რამდენიმე – 14-15 წლის (1997-1998 წლების გამოშვება).

**ბიზნესი ძველი ავტობუსებით**

ტენდერში მონაწილეობისთვის ნებართვის მაძიებელს სათანადო რაოდენობის ავტობუსები უნდა ჰქონოდა. „ჩვენმა ორგანიზაციამ სულ 20 ავტობუსი შეიძინა: 10 ახალი „ბოგდანი“, 10 კი სხვადასხვა მარკის ავტობუსი. ხოლო სხვა დანარჩენი არის კერძო ინვესტორების და პირების მიერ შეძენილი, რომლებიც ჩვენ ხელშეკრულებით გვყავს აყვანილი. ეს ავტობუსები განბაჟებიან-ჩამოყვანიანად 12000 დოლარამდე დაჯდა. ფასი დამოკიდებულია ავტობუსების

სახელაშვილმა ავტობუსები შეარჩია და შემდეგ შეიძინა.

<http://www.araba.com/2580875/Otoyol%20M23> – ამ ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია, რომ იყიდება Otoyal M23, 1992 წლის გამოშვება. აღნიშნული ავტობუსი 5000 ლირა ღირს, რაც 3300 დოლარს შეადგენს. მითითებულია, რომ კარგ მდგომარეობაშია. დაფურეკე მეკატრონეს, ვინმე მუსტაფა ჩაგლაიანს, რომელმაც 500 ლირა დამიკლო, – თუ რეალურად იყიდი, ამ ფასად დაგიტომბო.

Iveco-ს ტიპის ავტობუსის საყიდლად სხვა ვებგვერდზე (<http://www.otobus-market.com/otobus/ikinci/iveco-diger-1991/1679>) საკონტაქტო პირს – ვინმე ფათიჰ კოლღუს დაუკავშირდი: „3000 ლირას ვაფასებ, მეტს ველარ დავაკლებ. ქუთაისიდან გასულ წელს ბევრი შეკვეთა გვეკონდა. ჩემმა მეგობრებმა ბევრი ავტობუსი გაყიდეს. თუ ახლაც რამდენიმე გინდათ, ჩემს ახლობლებს ჰყავთ გასაყიდი ავტობუსები. 1992-1995 წლის ავტობუსებს 3000-5000 ლირის ფარგლებში გაყიდინებთ. ჩამოდი თ ნებისმიერ დროს“.

ქუთაისში საავტობუსო ხაზებზე დასაქმებული მძღოლებისაგან გავარკვეით, რომ მათ ავტობუსები ზაალ სახელაშვილისგან შეიძინეს, რაც 10000-12000 დოლარამდე დაუჯდათ. მძღოლებმა აგვისხნეს, რომ სახელაშვილმა მის მიერ თურქეთიდან ჩამოყვანილი ავტობუსები ჯერ ტენდერზე გაიტანა და ხაზების დამტკიცების შემდეგ მათ მიჰყიდა.

ვად, სახელაშვილს ნებისმიერ ხაზს გაუხსნიან, რადგან ქალაქის მთავრობასაც დაინტერესება აქვს“, – ამბობს დანვერ ლომინაძე.

იმ ფაქტს, რომ ძველი ავტობუსები ჩამოიყვანა, სახელაშვილიც ადასტურებს:

„ახალი ავტობუსები გვინდა? – კი, ბატონო, იქნება, მაგრამ მგზავრობის ღირებულება 30 თეთრი ვერ იქნება. ეს ფასი რომ შევინარჩუნოთ, მიკროავტობუსების რაოდენობა უნდა განახევრდეს. მძღოლებმა იციან, რომ თუ ახალ ავტობუსებს იყიდიან, რომლის ღირებულება 17-18 000 დოლარს აღემატება, ის უკვე ნამგებია. ხოლო თუ ავტობუსის ფასი არის 10-15000 დოლარის ფარგლებში, მაშინ მძღოლი შეძლებს, რომ 20-30 ლარი ოჯახში წაიღოს“, – ამბობს ზაალ სახელაშვილი.

„მე, როგორც სპეციალისტი, არ ვარ კმაყოფილი იმ ავტობუსებით, რაც ქუთაისში ჩამოიყვანეს. ეს არის უტილიზაციისთვის განკუთვნილი, ანუ ჯართზე გადასაყრელი ავტობუსები. მათზე ნებართვის გაცემას კატეგორიულად ვენინააღმდეგებოდი, წინააღმდეგნი იყვნენ ჩვენი სამსახურის სხვა წარმომადგენლებიც, მაგრამ მაშინდელმა ქალაქის ხელმძღვანელობამ, შამუფიას თაოსნობით, არ დაგვიჯერა. ტელევიზიითაც გამოვედი და დავაფიქსირე პოზიცია. მეტი რა გვექნა?!“ – ამბობს ქუთაისის მერიის ტრანსპორტის სამსახურის სპეციალისტი დავით კბილაშვილი.

ქალაქში შემოყვანილი ავტობუსების

ტექნიკურ გაუმართაობაზე პრეტენზიებს მოსახლეობაც გამოთქვამს: „ავტობუსში ჩაჯდომა მეზარება. ძლივს დადის, კარები ნორმალურად არ იღება და იკეტება“, – ამბობს ქუთაისში მცხოვრები ნათია ხაჭაპურიძე.

დაახლოებით ორი თვის წინ ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში თურქეთიდან ჩამოყვანილი ორი ავტობუსი ერთმანეთს შეეჯახა. მგზავრები ამბობდნენ, რომ მძღოლმა ავტობუსი ველარ დაიმორჩილა.

აღნიშნული ფაქტი არ უკვირთ ტრანსპორტის სამსახურში. „ჩვენი სამსახურის მიერ ჩატარებული ავტობუსების ტექნიკური დათვალიერებისას დადგინდა, რომ ეს არის ძველი მოდიფიკაციის ავტობუსები, ნაწილები მოშლილია“, – ამბობს დავით კბილაშვილი.

ძველი ავტობუსების გამო პრობლემები აქვთ მძღოლებსაც. აცხადებენ, რომ ავტობუსი ხშირად ფუჭდება და მათი

ტეგორიული განცხადების მიუხედავად, ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დათვალიერების შემდეგ ნებართვა ყველა მათგანზე გაიცა. თუმცა ირკვევა, რომ შეფასების კრიტერიუმებს ავტობუსები ვერ აკმაყოფილებდნენ.


ქუთაისში ადგილობრივი საქალაქო სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემისა და მომსახურების წესის მე-8 მუხლში წერია, „რომ ნებართვის მადიებლის შეფასება მოხდება შეფასების კრიტერიუმების ცხრილით, რომელიც მოიცავს გადამზიდავის, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ავტოსატრანსპორტო ბაზის მდგომარეობის, წარმოდგენილი პროგრამისა და ბიზნეს-გეგმის, ასევე, გადამზიდავის შემაჯამებელ შეფასებას. შემომონებელი ადგენს დასკვნას თითოეული სატრანსპორტო საშუალების სანებართვო პირობებთან შესაბამისობის შესახებ, რომელსაც უნდა ახლდეს შევსებული შეფასების ცხრილები“.


„ავტოტრანსპორტის“ დირექტორი დანვერ ლომინაძე (რომელიც ათეული წლების მანძილზე საქმიანობდა ტრანსპორტის სფეროში) ლიად აცხადებდა, რომ: „ქუთაისში ტრანსპორტის სფეროში კორუფციაა, რომელშიც მონაწილეობს ქალაქის ტრანსპორტის სამსახური, ქალაქის მერი ნუგზარ შამუგია და ზაალ სახელაშვილი“.

სანებართვო მოწმობას, დანართთან ერთად, ხელს სწორედ ქალაქის მაშინდელი მერი ნუგზარ შამუგია აწერდა. ამას იმით ხსნიან, რომ თუკი კომპრომისზე არ წავიდოდნენ და ძველ ავტობუსებზე ნებართვებს არ გასცემდნენ, ქუთაისი ავტობუსების გარეშე დარჩებოდა. „ქალაქი რომ არ დარჩენილიყო ავტობუსების გარეშე, ნებართვა ამიტომ გაიცა“, – ამბობს ვიტალი ბოჭორიშვილი, რომლის თქმით, ძველი ავტობუსები ნაკლებად თვალშისაცემი რომ არ ყოფილიყო, ისინი საგარეუბნო ხაზებზე დანიშნეს.

ძველ ავტობუსებზე გაცემული ნებართვა რომ გამართლებული ყოფილიყო, ნებართვის გამცემმა გადამზიდავს სანებართვო მოწმობის დანართში შენიშვნა ჩაუწერა: „ნებართვის გაცემიდან ერთი წლის შემდეგ ნებართვაში დაფიქსირებული ავტობუსები იმავე კატეგორიის ახალი მოდიფიკაციის ავტობუსებით ჩანაცვლდეს“.

„დღევანდელ სიტუაციაში არარეალურია იმის მოთხოვნა, რომ ერთ წელიწადში მე დღევანდელი ავტობუსები ახალი მოდიფიკაციის ავტობუსებით ჩავანაცვლო. ქალაქის ხელმძღვანელობამ და მოსახლეობამ თავი უნდა დაანებოს ოცნებას და შეეგუოს იმას, რომ თუ არ იქნება რენტაბელური, არავინ არის რაიმეს ჩამნაცვლებელი“, – ამბობს სახელაშვილი.

ქუთაისის მერიაში კი ირწმუნებიან, რომ პირობების დარღვევის შემთხვევაში, ამ კომპანიების წინააღმდეგ საჩივრებს გაატარებენ. იმუქრებიან, რომ შესაძლოა, საქმე ხაზის ჩამორთმევამდეც მივიდეს. რაც შეეხება წინამორბედი მერისა და მისი გუნდის მიერ ჩატარებულ ტენდერებს, ამჟამინდელი ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობას იცილებს. ვიცე-მერი მერაბ მეშველიანი აცხადებს, რომ ისინი მხოლოდ იმ კონკურსებსა და ტენდერებს გააკონტროლებენ, რომლებსაც თავად ჩაატარებენ. 



შენახვა ძვირი უჯდებათ. მწყობრიდან გამოსული 4 ავტობუსი ახლაც „თეგეტა მოტორსის“ ბაზაზე დგას და უსახსრობის გამო ჯერჯერობით მათ შეკეთებას ვერ ახერხებენ.

რატომ გაიცა ნებართვა ძველ ავტობუსებზე?

„ვიწყებთ ავტობუსების დათვალიერებას, თუკი არ იქნება პირობების შესაბამისი, მე პირადად ხელს არ მოვანერ ნებართვის გაცემას“, – ამბობდა მერიის ტრანსპორტის სამსახურის მაშინდელი უფროსი ვიტალი ბოჭორიშვილი. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ასეთი კა-

სწორედ აღნიშნული შეფასების ცხრილებიდან დასტურდება, რომ დათვალიერებაზე წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ. „ჩვენ პრეტენზია პიროვნულად გამოვხატეთ. დასკვნაში მეტს არც დაგვანერინებდნენ“, – ამბობენ ტრანსპორტის სამსახურში.

ტენდერის მიმდინარეობისას ს/ს

ქურნალისტური გამოძიება განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.



მეზობლები

# "პუტინ, ნადი!"

20 მარტს რუსეთის 50 ქალაქში საპროტესტო აქციები ჩატარდა. ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ ამ ღონისძიებას „რისხვის დღე“ ეწოდა და, სხვადასხვა შეფასებებით, ქუჩაში 20-დან 30-მდე ათასი ადამიანი გამოვიდა. ასეთი ხალხმრავლობა უპრეცედენტოა რუსეთისთვის.

ოლგა ალიონოვა, მოსკოვი



■ „რისხვის დღის“ მონაწილეების დარბევა აქციის დროს, მოსკოვი 2010

„რისხვის დღე“ ვლადივოსტოკმა გასსნა. მიტინგზე, რომელსაც კომუნისტები, „იაბლოკო“, სახალხო-დემოკრატიული კავშირი და მოძრაობა „ტიგრი“ (ინიციატივიანი მოქალაქეების ამხანაგობა) ატარებდნენ, დაახლოებით 2 ათასი მოქალაქე მივიდა. ეს უჩვეულო ხალხმრავლობაა რუსული სინამდვილისთვის.

აქცია მშვიდობიანი იყო. ერთი ის

არის, რომ აქტივისტებს, მილიციის მითითებით, იმ პლაკატების დაკეცვა მოუხდათ, რომლებზეც ეწერა „პუტლერ კაპუტი!“

მოსკოვში ოპოზიციის მიტინგზე სამასამდე ადამიანი შეიკრიბა, მათ შორის მესამედი ჟურნალისტები იყვნენ. მოსკოვის მერიამ არ დართო ნება ოპოზიციას, მიტინგი პუშკინის მოედანზე – აქციების გასამართ ყველაზე

პოპულარულ ადგილას ჩაეტარებინა. თუმცა, მოქალაქეებს უფლება მისცა, ბოლოტინაზე გამოეხატათ პროტესტი. აქტივისტებმა გადანყვიტეს, რომ მერიის ეს აკრძალვა უკანონო იყო და პუშკინსკაიაზე მაინც მივიდნენ, ნითელი შუშუნები აანთეს და დაყვირებაც მოასწრეს: „პუტინი გადადგეს!“, „ეს ჩვენი ქალაქია!“, „ძირს მილიციური სახელმწიფო!“

ამის თქმა იყო და, მილიციამ აქტივისტების ავტობუსებში შეყრა დაიწყო. ვილაცამ გაზი გაუშვა, ყველა მხრიდან ხველება ატყდა. ნახევარსაათიანი აქციის მანძილზე 30 ადამიანი დააკავეს.

კიდევ 30 კაცი მაშინ დააკავეს, როცა ისინი პუშკინის მოედნიდან ბოლოტ-ნაიასკენ გადასვლას ცდილობდნენ. მილიციამ ირგვლივ ყველა ქუჩა გადაკეტა და ხალხმა ხელისუფლებისგან ნებადართულ მიტინგზეც ვერ მოახერხა მისვლა.

„ვილაც ჩემ უკან მილიციონერებს უყვიროდა: თქვე დამპალო ძალებოო!“ – ჰყვება აქციის მონაწილე ჟურნალისტი, ილია აზარი, – ვერ მოვითმინე და ვულრიალე, რომ ხმა ჩაენწყიტა, იმიტომ რომ მილიციის პროვოცირებას ცდილობდა. ეგეთების გამო აღარ მინდა ამ აქციებზე სიარული“.

ადამიანები, რომლებიც საპროტესტო აქციებს ხშირად ესწრებიან, ამბობენ, რომ არაადეკვატური აქტივისტების გარდა, „იქაურობა სასვეა პროვოკატორებით“, რაც ოპოზიციურად განწყობილ მოქალაქეებს იქ მისვლის სურვილს უკარგავს. თუმცა, მთავარი მიზეზი, რის გამოც საპროტესტო აქციებზე სიხალვათეა, შიშია.

არავის არ უნდა, რომ მილიციამ სცემოს და რამდენიმე დღე საპროტესტო აქციებზე გაატაროს. რუსეთში აქციებში მონაწილეობა სასიცოცხლო საფრთხესთანაა დაკავშირებული, მით უმეტეს, თუ ეს აქცია არასანქცირებულია. ნებადართულ მიტინგებზე მისვლა შედარებით უსაფრთხოა და ხალხიც მეტი მიდის. სწორედ ამიტომ არ გაცემს ხელისუფლება აქციების ჩატარების ნებართვას.

რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში პიკეტებსა და მიტინგებს კონკრეტული სოციალური მოტივები ჰქონდა – აპრო-

მაგალითად, ვლადივოსტოკში ხალხი არ შეშინდა მისულიყო მიტინგზე, სადაც იმპორტულ ავტომობილებზე საბაჟო გადასახადის გაზრდას აპროტესტებდნენ. კალინინგრადში – რუსეთის ნებისმიერ ნერტილში გასამგზავრებლად სატრანზიტო ვიზის აუცილებლობით იყვნენ აღშფოთებულები.

„რისხვის დღემ“ ცხადყო, რომ ოპოზიციის პოლიტიკურ ლოზუნგებსა და რუსეთის მოქალაქეთა საარსებო მოთხოვნილებებს შორის არსებითი განსხვავებაა. იქ, სადაც ოპოზიციამ მიტინგის გასამართად კონკრეტული სოციალური ლოზუნგი ვერ მოიფიქრა, აქცია მცირერიცხოვანი გამოდგა.

ასე იყო მოსკოვში. აქ ოპოზიციამ ვერც მერი ლუჟკოვისადმი და ვერც პრემიერ პუტინისადმი კონკრეტული პრეტენზიის ფორმულირება ვერ შეძლო, თუმცა ერთიც და მეორეც გადასაყენებელთა სიაში შეიყვანეს. აქციათა თავიდანვე პოლიტიკური დატვირთვა მიიღო და ხალხიც ცოტა მივიდა. ყველას შეეშინდა.

პეტერბურგში „რისხვის დღეს“ ათასამდე ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. მეტნაკლებად წარმატებული აქცია იმან განაპირობა, რომ აქციის ორგანიზატორებმა კარგი თემა შეარჩიეს – ძველი პეტერბურგის მოდერნიზაციას აპროტესტებდნენ. საკუთარი ქალაქის იერსახე პიტერელების მენტალობისთვის მნიშვნელოვანი თემაა. თუმცა, ათასზე მეტი ადამიანის ქუჩაში გამოყვანა ოპოზიციამ ვერც იქ შეძლო.

უკვე მეორე დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთ ოფიციალურ განცხადებებში „რისხვის დღეს“ ჩაშლილ აქციას უწოდებდნენ და ამბობდნენ, რომ რუსეთში ოპოზიცია პოლი-

ამ აქციებს ტელეეთერიდან ხან „ავტომობილისტების მიტინგებს“ უწოდებდნენ, ხან კი – „მაღალი საყოფაცხოვრებო გადასახადების სანინალმდეგო პროტესტს“. არც ერთ ტელეარხს არ უთქვამს, რომ 20 მარტს აქციები რუსეთის 50 ქალაქში გაიმართა.

არსად იყო ნახსენები ის, რომ ორმოცდაათივე ქალაქში მიტინგზე ყველაზე ხშირად ორი მოთხოვნა ისმოდა – პრემიერ პუტინის გადადგომა და მილიციის რეფორმის აუცილებლობა.

რუსული საზოგადოების ლიბერალურმა ნაწილმა ეს დღე წარმატებულად მიიჩნია. პირველად მოხდა, რომ ოპოზიციონერმა ლიდერებმა უთანხმოება დაივიწყეს და ერთად შეკრება შეძლეს. ოპოზიციურმა ერთობამ აშკარად მოხიბლა სოციალურ-პოლიტიკური პირობებით უკმაყოფილო უბრალო მოქალაქეებიც.

„სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებითაც კი, აქციებს, სულ ცოტა, 20 ათასი ადამიანი ესწრებოდა“, – განაცხადა ოპოზიციური ორგანიზაციის „სოლიდარნოსტის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ვლადიმირ კარა-მურზამ.

„არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთში მიტინგზე გასვლას დიდი სიმაძაცე სჭირდება. ის ფაქტი, რომ ათასობით ადამიანი მზადაა, რეპრესიების მიუხედავად, აქტიური პროტესტი განიხატოს, იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთის საზოგადოებაში მნიშვნელოვნად მატულობს ოპოზიციური განწყობები“.

ფაქტია, რომ ხელისუფლება შეეცადა, ჩაეშალა 20 მარტს დაგეგმილი საპროტესტო აქციები. ამაზე ის აგრესიული კამპანია მეტყველებს, რომელიც 17 მარტს რუსულ ინტერნეტ-სივრცეში

■ „რისხვის დღემ“ ცხადყო, რომ ოპოზიციის პოლიტიკურ ლოზუნგებსა და რუსეთის მოქალაქეთა საარსებო მოთხოვნილებებს შორის არსებითი განსხვავებაა. იქ, სადაც ოპოზიციამ მიტინგის გასამართად კონკრეტული სოციალური ლოზუნგი ვერ მოიფიქრა, აქცია მცირერიცხოვანი გამოდგა.

ტესტებდნენ საყოფაცხოვრებო გადასახადების მაღალ ტარიფებს, დაბალ პენსიებს, ცუდ გზებს და ა.შ. თუმცა ამ სოციალური ლოზუნგების მიღმა აშკარად ისმოდა პოლიტიკური განცხადებები.

მეტნაკლები ხალხმრავლობა მიტინგებზე სწორედ იმან გამოიწვია, რომ ორგანიზატორებმა აქციის გამართვის კონკრეტული მიზეზები მოიფიქრეს.

ტიკურად არშემდგარი ძალაა. თუმცა ის, თუ როგორ გაშუქდა ეს საპროტესტო აქციები სახელმწიფო ტელეარხებზე, საპირისპიროს ამტკიცებს.

ზოგიერთმა ფედერალურმა ტელეარხმა ეს აქციები საერთოდ არ უჩვენა; ხოლო ვინც უჩვენა, არ უხსენებიათ, რომ აქციებს, ოპოზიციის წარმომადგენლების გარდა, რიგითი მოქალაქეებიც დაესწრნენ.

დაიწყო და ოპოზიციური ლიდერების – ილია იაშინის, დმიტრი ორეშკინის და ჟურნალ „რუსული ნიუსიუკის“ რედაქტორის მიხაილ ფიშმანის წინააღმდეგ იყო მიმართული.

გავრცელდა რამდენიმე ვიდეორგოლი. ერთზე ლიბერალური ინტელიგენციის წარმომადგენლები ქრთამს აძლევენ საგზაო მილიციის თანამშრომლებს. ეს ვიდეორგოლი იუთუბზე დაიდო და

ნამებში იქცა რუსული ბლოგოსფეროს მთავარ თემად.

მომდევნო ვიდეორგოლი მთელ ქვეყანას აცნობდა ადამიანს, რომელიც ჟურნალისტ ფიშმანს ჰგავდა და რომელიც შიშველ გოგონასთან ერთად კოკაინის მსგავს ფხვნილს ყნოსავდა. უკვე მეორე დღეს „სოლიდარნოსტის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევ იაშინმა თავის ბლოგში თითქმის დაადასტურა იმ ჩანაწერის ჭეშმარიტება, რომელზეც მიხაილ ფიშმანი იყო აღბეჭდილი. მან განაცხადა, რომ გოგონა, რომელმაც „ჟურნალისტი გააბრიყვა“, სინამდვილეში „ფეეს-ბეს“ აგენტია, და ის იმავე ბინაში იაშინის „შეცდენასაც“ ცდილობდა.

ამ გულახდილობას აფეთქებული ბომბის ეფექტი ჰქონდა. „აი, ესაა თქვენი ოპოზიცია, – აცხადებდნენ კრემლის მხარდამჭერი მოძრაობების „ნაში“-ს და „მოლოდაია გვარდიას“ ბლოგერები, – აი, ვის მიტინგებზე დადიხართ“.

თავად მოძრაობა „სოლიდარნოსტის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ილია იაშინმა, რომელიც ერთ-ერთი ვიდეორგოლის გმირია, სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ ეს ვიდეორგოლები შემთხვევითი არ არის. სრულიად რუსეთის მასშტაბით საპროტესტო აქციების თანაორგანიზატორების გარდა, „სოლიდარნოსტმა“ სახელი გაითქვა ინტერნეტ-პროექტით „პუტინი უნდა წავიდეს“. ამ ლოზუნგს უკვე 20 ათასი მხარდამჭერი ჰყავს. უახლოეს მომავალში ეს ორგანიზაცია შსს-ს რეფორმირების საკუთარი პროექტის პრეზენტაცია-საც გეგმავდა.

თუმცა, როგორც ჩანს, ამ პროექტის საზოგადოებისთვის წარდგენა გადაიდო. როგორც მინიმუმ იმ დრომდე, ვიდრე „სოლიდარნოსტი“ სექსუალური სკანდალით შერყეულ რეპუტაციას არ აღიდგენს.

და თანაც, ოპოზიციის მიერ შემუშავებული მილიციის რეფორმირების პროექტი დღეს აქტუალური აღარაა. გასულ ოთხშაბათს, „სოლიდარნოსტის“ წევრებთან დაკავშირებული სექსუალური სკანდალის მეორე დღეს პრეზიდენტმა მედვედევმა შს მინისტრს რამიდ ნურგალიევს უახლოესი 9 თვის განმავლობაში „შსს-ში სიტუაციის გამოსწორება“ დაავალა. მინისტრმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში შეიმუშავებს შსს-ს რეფორმირების კონცეფციას, რომლის მთავარი თეზისი იქნება – „არა მოქალაქეები მილიციისთვის, არამედ მილიცია – მოქალაქეებისთვის“.

ამგვარად, იდეა, რომელიც ოპოზიციიდან უნდა წამოსულიყო, ახლა შსს-ს ხელმძღვანელს ჩათვლება დამსახურებად. თუმცა, ნურგალიევის მიერ პრეზიდენტის დავალების წარმატებით შესრულება ძალიან საეჭვოა. იმისთვის, რომ შექმნა „მილიცია ადამიანებისთვის“, პირველ რიგში, უნდა აღიარო ადამიანის უფლებების, მისი სიცოცხლის და უსაფრთხოების უზენაესობა. მაგრამ ჩენნეთის ომებმა, „ნორდ-ოსტიას“ და ბესლანის ტრაგედიებმა, მიტინგებზე გამოსული ადამიანების ცემისა და დაპატიმრებების ფაქტებმა საბოლოოდ და შეუქცევლად უარყო ეს პრიორიტეტულობა. ■

სომხეთი

# იჩანალების ეპიკოზა

ირანელებისთვის სომხეთში ახალი წლის აღნიშვნა ტრადიციად იქცა. ჩადრის გარეშე სიარული და სპირტიანი სასმელების მოხმარება ერევანში გაკიცხვის საბაბი არ ხდება.

სედა მურადიანი, ერევანი

22 მარტიდან ერევნის ქუჩებსა და ლირსშესანიშნავ ადგილებში სულ უფრო ხშირად ისმის სპარსული ენა. ყოველ ნაბიჯზე გზვდება უამრავი ირანელი, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ, ნოვრუზს ერევანში შეხვდნენ და საახალწლო არადადეგებიც იქვე გაატარონ.

ავტობუსი ირანელი ტურისტებით ესესაა მიაღდა ერევნის ცენტრში მდებარე სასტუმრო „ანი“. სასტუმროს ვესტიბიულში ასზე მეტი სტუმარი იმყოფება: ისინი თავიანთ რიგს ელოდებიან, რომ ოთახებში დაბინავდნენ. ახალგაზრდები მრავალშვილიანი ირანული ოჯახებიდან, მართალია, ხანგრძლივი მგზავრობით დაღლილები ჩანან, მაგრამ მაინც ილიმიან, ხუმრობენ და ხალისიანად მსჯელობენ: ალბათ იმაზე თათბირობენ, რა გააკეთონ სასტუმროში დაბინავების შემდეგ. მათი ნალაპარაკებიდან მხოლოდ სიტყვა „დისკოს“ გაგება მოვახერხე.

ბევრ ქალს თავსაბური აქვს მოხვეული, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებმაც თავის დაბურვავ უარი თქვეს. მამაკაცები მოგზაურობისას ხაზგასმულ ყურადღებას იჩენენ თავიანთი ცოლებისა და შვილების მიმართ. ერთ-ერთი მათგანი ცოლს ხელს ხვევს, მეორე ნაზად ეამბორობა. ასეთი თავისუფლება წარმოუდგენელია ირანის საზოგადოებრივ ადგილებში.



■ „რისხვის დღის“ მონაწილეების დარბევა აქციის დროს, მოსკოვი 2010





ირანელების მიერ ნოვრუზის სომხეთში შეხვედრა, როგორც ჩანს, ტრადიცია ხდება. გასულ წელს სომხეთში 20 ათასი ირანელი ტურისტი იყო ჩასული საახალწლო არდადეგების გასატარებლად. ქალაქი თითქოს წელსაც ემზადებოდა ირანელების ვიზიტისთვის: ზოგიერთი რესტორნისა და დუქნის შესასვლელებთან სპარსული წარწერებიც კი გაჩნდა.

ერევნის ქუჩებში ასეულობით ირანელის გამოჩენა დედაქალაქში დიდი მსჯელობის საგნად იქცა. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სხვადასხვა კომენტარს გაიგონებდით: „ნახე, რამდენი ირანელია ჩამოსული?“, „შეხედე, რა ლამაზი გოგო-ბიჭები ჰყავთ“, „ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასე თანამედროვედ და გემოვნებით ეცვათ!“, „ხედავ, გოგონების უმეტესობას რა ლამაზი ცხვირი აქვს. სადღაც ნამიკითხავს, რომ რინოპლასტიკის მიხედვით, ირანი პირველ ადგილზეა“.

ირანელების სომხეთში ყოფნა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ განიხილებოდა.

„მაგათვის ჩვენ „ევროპა“ ვართ. ერთი ქვეყანა მაინც გვთვლის ევროპად. ირანელებს საშუალება აქვთ აქ ჩამოვიდნენ და იმ უბრალო რაღაცებით გაიხარონ, რასაც ირანში მოკლებულნი არიან“, – წერს ერთ-ერთი ფეისბუქერი.

ირანელები თითქოს ყველგან არიან – ბაზარში, სუპერმარკეტებში, ტანსაცმლის მაღაზიებში, კაფეებსა და რესტორნებში.

ჰომოგენურ სომხეთში, სადაც მოსახლეობის 96%-ს სომხები შეადგენენ, ამდენი უცხოელი სტუმარი თვალშისაცემია.

სომხეთის საინფორმაციო საშუალებები სტატისტიკებზე დაყრდნობით წერენ, თითო ირანელი ტურისტი სომხეთში კვირაში საშუალოდ 1000-1500 დოლარს ხარჯავს, რაც არცთუ მცირე შემოსავალია ქვეყნისთვის, რომელიც ტურისტებით არ არის განებივრებული.

თუმცა, არიან კრიტიკოსებიც, რომელთაც მიაჩნიათ, რომ სომხეთში ირანელების „შემოსევა“ შეიძლება „ცუდად დასრულდეს“.

„მათი უმრავლესობა – ირანელი აზერბაიჯანელია, რომლებიც ჩამოდიან, სომხეთში ფუძნდებიან, ჩვენებურ ქალებს ირთავენ, ბავშვებს აჩენენ. ასე ჩვენი დაპყრობაც არ გაუჭირდებათ“, – ამბობს 63 წლის დავიდი, რომელიც ერევნის ცენტრში სუვენირებს ჰყიდის.

ირანელებს მიაჩნიათ, რომ ერევანში კარგად ერთობიან, თუმცა სომხეთში მათ ხშირად უხეშადაც ექცევიან.

ერთმა ახალგაზრდა ირანელმა ჩვენთან საუბრისას თქვა, რომ მას და მის მეგობრებს ერევანის ერთ-ერთ ცნობილ რესტორან „ფარვანაში“ და ლამის კლუბ „შარლოტში“ შეშვებაზე უარი უთხრეს.

„ერთმა ჩემმა მეგობარმა სომეხი გოგონა გაიცნო და სასტუმროში მიიყვანა. სასტუმროს ფოიეში რომ შევიდნენ, იქ რამდენიმე სომეხი კაცი ლამის თავს დაესხა იმ გოგონას და ჩემს მეგობარს. ეჩხუბებოდნენ სასტუმროს თანამშრომლებსაც. უშვერი სიტყვებით იგინებოდნენ. გოგონას უყვიროდნენ, – ნათელი აქედან, შე უსირცხვილო, აქ ირანელთან ერთად მოსვლა როგორ გაბედო“.

ჩვენთან მოსაუბრე ირანელ ტურისტებს შორის ისეთებიც იყვნენ, ვინც ერევანში პირველად იმყოფებოდა, და ისეთებიც – ვინც უკვე მეოთხედ ჩამოვიდა. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სომხეთში მათ სტუმართმოყვარე ხალხი მოსწონთ.

აქ ისინი ნოვრუზს ძირითადად რესტორნებში აღნიშნავენ; თავისუფლად სვამენ სპირტიან სასმელებს საზოგადოებრივ ადგილებში, ქალები კი რამდენიმე დღით თავისუფლდებიან სახალხოდ ჩადრის ტარების აუცილებლობისგან.

ირანიდან სომხეთში ჩასული ბევრი ტურისტისთვის ნოვრუზი რამდენიმე დღით თავისუფლებით ტკობის საუკეთესო საშუალებაა. **□**



## საზოგადოება

# უფლება, ისოღა სიმახიოღა

ამოქმედდება თუ არა მედიის თვითრეგულირების მექანიზმი, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად არგუმენტირებულ ანგარიშს ჩააბარებს მედიასაბჭო საზოგადოებას.

### ეკა ქითანავა

დაფუძნებიდან სამი თვის თავზე მედიასაბჭომ პირველი საჩივარი განიხილა. 25 მარტს საბჭომ დაადგინა, რომ „იმედის“ ეთერში გასული „მოდე-ლირებული ქრონიკის“ თანაავტორმა ნათია კობერიძემ ქარტიის პირველი პრინციპი დაარღვია, რომლის თანა-

ხმაც, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

„ნათია კობერიძე სამწუხაროდ არ მოვიდა, თუმცა თანახმაა, შეკითხვებს წერილობით უპასუხოს“, – ამ სიტყვე-

ბით დაიწყო სხდომა ნახევრად ცარიელ დარბაზში.

თავის გადაწყვეტილების მიზეზი ნათია კობერიძემ წინა სადამოს, სოციალურ ქსელში ახსნა. „საბჭოს არ ვუყურებ ეჭვის თვალთ, მაგრამ აქ, საჯარო სივრცეში ამკარად გამოჩნდა, რომ მისი არაკეთილ-



პირველი საჩივრის განხილვა მედიასაბჭოზე, თბილისი, 25 მარტი 2010

**რა მოიმოქმედა ნათია კობერიძემ იმისათვის, რომ პირდაპირ ეთერში „ქრონიკის“ რეპორტაჟზე გამაფრთხილებელი ტიტრი დადებულიყო? – საბჭოს მიერ დასმული ყველაზე მთავარი კითხვა ჟურნალისტმა უპასუხოდ დატოვა.**

სინდისიერი წვერების და მათი დამქაშების გავლენისგან თქვენთან შეხვედრის პროცესი დაცული ვერ იქნება. აქ ანგარიშსწორების სუნი დგას და საბჭო მათ ვერ შეაჩერებს, დარწმუნებული ვარ!

თუმცა, მედიასაბჭოს სხდომა ისე ჩატარდა, რომ მის წევრებს არაობიექტურობასა და მიკერძოებაში ბრალს ვერაზინ დასდებდა.

თხუთმეტწუთიანი განხილვის შემდეგ წევრებმა კითხვებს კენჭი უყარეს და ერთ დოკუმენტში მოუყარეს თავი.

„იხილეთ პასუხი პირველი კითხვაზე, მე-7-ზე, მე-9-ზე, იხილეთ „ლიბერალში“ არხის ხელმძღვანელის ინტერვიუ“... – ორი საათის შემდეგ ასეთი იყო კობერიძის პასუხების ნაწილი, რომლის მიხედვითაც, საბჭოს მისი პასუხისმგებლობა უნდა განესაზღვრა. ამომწურავი პასუხები საბჭომ ნაწილობრივ მის მიერვე არასწორად ფორმულირებული კითხვების გამო ვერ მიიღო.

ნათია კობერიძე ამბობს, რომ ქართის ნორმები არ დაურღვევია, რადგან გადაცემის დასაწყისში და „ქრონიკის“ ბოლოს განაცხადა, რომ ეთერში იმითირებული საინფორმაციო გამოშვება გადიოდა. წამყვანის თქმით, მან არ იცოდა, რომ „ქრონიკა“ ეთერში ტიტრების გარეშე გავიდოდა და ასევე მიიჩნევს, რომ ტიტრები აუცილებლად უნდა ყოფილიყო. „მოხდა ორი პროექტის შერწყმა და ყველა თავის ნაწილზე აგებდა პასუხს, მე მხოლოდ თოქშოუზე“, – აცხადებს კობერიძე.

რა მოიმოქმედა ნათია კობერიძემ იმისათვის, რომ პირდაპირ ეთერში „ქრონიკის“ რეპორტაჟზე გამაფრთხილებელი ტიტრი დადებულიყო? – საბჭოს მიერ დასმული ყველაზე მთავარი კითხვა ჟურნალისტმა უპასუხოდ დატოვა.

გულისხმობს თუ არა თანაგვტორობა იმას, რომ წამყვანს პასუხისმგებლობა ამ გადაცემის ყველა კომპონენტზე ეკისრება – ამ ასევე ღიად დარჩენილ საკითხზე საბჭო საკუთარ პოზიციას კვირის ბოლოს დააფიქსირებს, როცა დასკვნის სარეზოლუციო და სამოტივაციო ნაწილს გამოაქვეყნებს. ამ დროისთვის კი საბჭო ამტკიცებს, რომ გადანყვეტილება მხოლოდ კობერიძის პასუხებზე დაყრდნობით მიიღო.

„ძალიან მაინტერესებს, როგორ დაასაბუთებენ თავის გადანყვეტილებას. იგი შეიძლება პრეცედენტული იყოს ქართული მედიისთვის, – აცხადებს ჟურნალისტი ნესტან ცეცხლაძე, – არა მგონია, საბჭოს გადანყვეტილება მხოლოდ პასუხებიდან გამომდინარე მიეღო. თუმცა კობერიძის განცხადება, რომ „სტუდიაში ტიტრის შესახებ არაფერი ვიცოდი, არ გამიმახვილებია ყურადღება ამ საკითხზე, რადგან არ დავუშვი ამის შესაძლებლობა“, პირადად ჩემთვის ნიშ-

ნავს, რომ ჟურნალისტმა იცოდა, ეს არ შეიძლებოდა, მაგრამ ვერ უზრუნველყო, რომ სიუჟეტი ტიტრით გასულიყო. შესაბამისად, დაირღვა ქართის პირველი პუნქტი“, – დასძენს ნესტან ცეცხლაძე.

ქართის დამფუძნებელი ჟურნალისტი ია ანთაძე საბჭოს მუშაობით კმაყოფილია. მისი თქმით, მედიასაბჭომ შექმნა არაკონფორმტაციული გარემო და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს შემთხვევა გამოეძიებინა.

თუმცა, მედიასაბჭოს პირველი სხდომა მაინც ხარვეზებით ჩატარდა. საბჭოს შეედლო გაერკვია, ჰქონდა თუ არა ნათია კობერიძეს შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად იქნებოდა განსაზღვრული, რაზე აგებდა წამყვანი პასუხს. ამ შემთხვევაში, საბჭოს თეორიულად მაინც ჰქონდა იმის შანსი, რომ გაერკვია, იყო თუ არა ჟურნალისტი ვალდებული, გაეკონტროლებინა მის გადაცემაში „ქრონიკის“ სიუჟეტზე ტიტრის მითითება.

ქართის მიერ პირველი საქმის განხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართის მომავალი მუშაობისთვისაც – ეფექტური იქნება თუ არა მედიის თვითრეგულირების ეს მექანიზმი, გაიზრდება თუ არა მის მიმართ ჟურნალისტების ნდობა და, შესაბამისად – ხელმომწერთა რაოდენობა.

„ჩემი აზრით, საწყის ეტაპზე ეს ქართია არაეფექტური იქნება, იმიტომ რომ ქართიველი ჟურნალისტების უმეტესობას ეთიკის ნორმები არ აღეგნება, – ამბობს გაზეთ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი მერაბ მეტრეველი, – ეს იმანაც დაადასტურა, რომ ნაციონალური არხების ჟურნალისტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ქართიას ხელი არ მოაწერა. მიუხედავად ამისა, ასეთი ქართის არსებობა მნიშვნელოვანია. საბჭომ მეტი უნდა იმუშაოს, რომ საზოგადოებაში ავტორიტეტი მოიპოვოს“.

თავად ნათია კობერიძე საბჭოს გადანყვეტილებას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს. მისი თქმით, მედიასაბჭო მხოლოდ იმას ცდილობს, რომ საკუთარი არსებობის მნიშვნელობა დაამტკიცოს.

ამ ეტაპზე ქართის მიმართ ნდობის მოპოვებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა გააკეთა თავად მედიასაბჭომ, რომ ეს შემთხვევა სათანადოდ გამოეძიებინა. რამდენად არგუმენტირებულადაც შეძლებს საბჭო გადანყვეტილების დასაბუთებას, ისე ჩააბარებს ის საზოგადოების წინაშე პირველ გამოცდას. ■

ბოლნისის რაიონის გამგეობის შავად შემინული შენობიდან დაახლოებით ორმოცდაათ მეტრში ტელეკომპანია „V არხია“. პირველ სართულზე, ჟურნალისტების დიდ სამუშაო ოთახში გამათბობელი და გრძელი მაგიდა დგას, იქვე ხატებისთვის მოწყობილი კუთხეა. სტუდია ხან საინფორმაციო გამოშვების დეკორაციებით ფორმდება, ხან ხატი, რომელიც არხის საავტორო გადაცემისთვის „ნათელი ქრისტესა“ ქმნის ფონს.

საინფორმაციო გადაცემა „ობიექტივი“ ყოველ პარასკევს საღამოს შვიდ საათზე გადის ეთერში. მეხუთე არხის ჟურნალისტი თამარ ხოფერია წამყვანისა და რეპორტიორის ფუნქციებს ითავსებს. თამარი ამბობს, რომ პატარა რაიონში იმდენი არაფერი ხდება, ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვების შევსება რომ მოახერხოს.

„ვაშუქებთ ყველაფერს, რაც ხდება. ძირითადად, გამგეობის სხდომებს ვესწრებით და ვარკვევთ, რა სოციალური პროგრამები თუ პროექტები ხორციელდება, რომ სიუჟეტი მოვამზადოთ“, – ამბობს თამარი, როცა ოთახში გადაღებიდან დაბრუნებული ჟურნალისტები შემოდიან. ახლა ისინი შემდეგი გამოშვებისთვის მაცურებელს მოუმზადებენ სიუჟეტს იმის შესახებ, თუ როგორ დაათვალიერა ეკონომიკის განვითარების სამსახურის წარმომადგენელმა დაბა კაზრეთში ექვსი ობიექტის მშენებლობა.

„სამთავრობო არხია, ჩემო კარგო, როგორც ყველა არხი ისე. რასაც აშენებს და აკეთებს გამგეობა, იმას აშუქებენ“, – მეუბნება ერთ-ერთი გამგეული, რომელიც ვინაობას არ მიმხვლს.

ბოლნისის ადგილობრივი მუნიციპალიტეტი თითქმის რვა წელია, „V არხის“ აქციების ნახევარს ფლობს. ჯერ კიდევ 2004 წელს მიღებულ მუნიციპალიტეტის შესახებ კანონში ჩაიდო სპეციალური მუხლი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ ორგანოსა და თანამდებობის პირს ეკრძალება მედიასაშუალების მფლობელობა. თუმცა, დღემდე ეს ტელეკომპანია მუნიციპალიტეტისგან ფინანსდება.

„რა საქმიანობა ექნება ტელევიზიას, ეს მისი ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია, მაგრამ არხი ზოგად პრინციპს უნდა ემსახურობოდეს – მოსახლეობამდე მიიტანოს ყველა ის მოვლენა, ინფრასტრუქტურული, კულტურული და სპორტული ღონისძიებები, რომელშიც გამგეობა ფულს ხარჯავს“, – ამბობს მუნიციპალიტეტის ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელი გიორგი ხომასურიძე.



„V არხის“ საეთერო, ბოლნისი, მარტი 2010

ფოტო: სპეციალური

მედი

# ბადაჯიბი თვისუფლება

ბოლნისის რაიონის გამგეობას ცხრა თვე რჩება იმისათვის, რომ ტელეკომპანია „V არხი“ გაყიდოს. თუ სახელმწიფო თავის გავლენას ვერ დათმობს, ტელევიზია დაიხურება.

ანიტა თვაური

ის, რომ ტელეკომპანია ადგილობრივ გამგეობას ეკუთვნის და ხშირად მის ინტერესებს ემსახურება, ჟურნალისტებს და არხის პროდიუსერს პრობლემებს არ უქმნის. ისინი ამტკიცებენ, რომ მათ საქმიანობაში არასდროს ჩარეულან და ხშირად კრიტიკული სიუჟეტებიც მოუმზადებიათ. მაგალითად კი 2004 წელს მომზადებული სიუჟეტი მოჰყავთ, რომელიც უკიდურესად გაჭირვებული მრავალშვილიანი უსახლკარო ოჯახის ისტორიას ასახავდა. დასძინენ, რომ სიუჟეტის ნახვის შემდეგ გამგეობამ ოჯახს სახლი აუშენა. როდესაც ვთხოვე, კრიტიკული სიუჟეტების მაგალითები ბოლო პერიოდიდან მოეყვანათ, ვერაფერი გაიხსენეს. „არც გვექონია კრიტიკის საფუძველი, სიმართლე რომ გითხრა. არც მოსახლეობა მოსულა უკმაყოფილო, იმიტომ რომ ყოველთვის კარგად ხორციელდება ის პროექტები, რაც არის და გამგეობაში მაქსიმალურად ცდილობენ, რომ დაეხმარონ ხალხს“, – ამბობს ჟურნალისტი თამარ ხოფერია.

აკაკი უგრეხელიძე, უკვე ოთხი წელია,

არხის პროდიუსერად მუშაობს და გამგეობასთან უკმაყოფილების ვერც ერთ ფაქტს ვერ იხსენებს. აკაკი გამგეობას მუშაობას უწონებს და ამბობს, რომ მისი დაკვირვებით სწორედ მათი კარგი მუშაობის გამო მოსახლეობა მათკენ „იხრება“ და არა ოპოზიციური პარტიებისკენ, რომლებიც არც აქტიურობენ და რაიონში დიდად წარმოდგენილი არც არიან.

აქციები თუ იმართება-მეთქი, – რომ ვიკითხე, – მიპასუხა, – „აქციები აქ არ იმართება. რისი აქცია, ხალხი რომ გამოვიდეს? რატომ უნდა გამოვიდეს? უბრალოდ? უმუშევარია? ძალიან ნაკლებია ბოლნისში უმუშევრობის პრობლემა. მადნეულის დიდი კომბინატი გვაქვს და 2 500 ადამიანია დასაქმებული“.

მარიკა ნიქორიძე კი, ქვემო ქართლის მედიაჯგუფის დირექტორი, რომელიც 2007 წლამდე „V არხზე“ მუშაობდა, ამბობს, რომ რაიონის ბევრი პრობლემა ტელევიზიის ყურადღების მიღმა რჩება: „იცით, ბოლნისში რამდენი პრობლემაა? მაგალითად, არის ეკომიგრანტებით დასახლებული სოფელი დისველი, რომე-

ლიც ბოლნისიდან 5-7 კილომეტრშია. იქაურ მოსახლეობას არც გაზი აქვს, არც შუქი და არც წყალი; წყალს ცისტერნებიდან სვამენ. ელემენტარული პირობები არ აქვთ“, – ამბობს მაია ნიქორიძე.

ტელეკომპანია ძირითად საეთერო დროს ფილმებს, სერიალებს და მუსიკას უთმობს. აქვს რამდენიმე საავტორო გადაცემა. გადაცემა „ცოდნა“ ორ კვირაში ერთხელ იკავებს არხის საეთერო დროს და იწვევს განათლების სამინისტროს რესურსცენტრის წარმომადგენელს, რომელიც სიახლეებს აცნობს მოსახლეობას.

გადაცემა „ქართული სული“ თვეში ერთხელ სკოლის მოსწავლეებს, მასწავლებლებს და მოწვეულ სტუმრებს მასპინძლობს. პირველი გადაცემის თემა იყო „ბოლო ჟამი საქართველოსი“. ჟურნალისტ ირმა ირემამვილის თქმით, გადაცემის მიზანია, აუხსნას მაცურებელს, თუ „რას ნიშნავს ქართული სული, როგორ არ უნდა დაიზარდოს ბავშვი, როგორ არ უნდა დაიკარგოს ქართული ტრადიციები“. ამ კითხვებზე საპასუხოდ პირველ გადაცემაში მეუფე მიიწვიეს. თუმცა მეუფე გაცილებით ხშირად, ყოველ ორშაბათს სტუმრობს ტელევიზიას გადაცემაში „ნათელი ქრისტესი“ და პასუხობს მაცურებლის შეკითხვებს. ჟურნალისტების თქმით, ეს გადაცემა ყველაზე რეიტინგულია რაიონში.

„როგორი ტელევიზიაა, იცი? ამ ტელევიზიაში ბევრი დაოჯახდა და ახლა შვილების თაობებიც მოდის. სამი თუ ოთხი ოჯახი შეიქმნა თანამშრომლებში“, – ამბობს თამარ ხოფერია და ირმა ირემამვილისკენ მიმითითებს. ირმა მართლაც, დიდი ხანია, „მეხუთე არხზე“ მუშაობს. ჯერ კიდევ 1997 წელს მაშინდელმა ხელმძღვანელმა გიზო კორტავამ ქუჩაში შეამჩნია და გადაცემის წაყვანა სთხოვა.

გიზო კორტავამ უნივერსიტეტი დაამთავრა, აფხაზეთის ომიდან დაბრუნდა და ბოლნისში მასწავლებლად მუშაობა გადაწყვიტა. კოლეჯში საბჭოების შეტანიდან რამდენიმე საათში კოლეჯი დაინვა. „უშუქობა იყო, უმუშევრობა და რა უნდა გვეკეთებინა, არ ვიცოდით. ეს თამაში, გართობა იყო ჩემთვის. ისიც კი არ ვიცოდით, რომ ტელევიზიაში ნიუსი მთავარია“, – იხსენებს გიზო კორტავა.

ტელეკომპანია 1994 წელს იურიდიულად დაარსდა და სახელი ერთ-ერთი მფლობელის მალხაზ ვარდოსანიძის ინიციალები „ემ ვე“ მოუფიქრეს. თავდაპირველად სამუშაო ტექნიკა სახლიდან მიიტანეს. „ერთ ოთახში რომ ჩავრთავდით გადაცემას, უნდა გაქცეულიყავი მეორე ოთახში და გენახა, რა მოხდა, თან თუ

ვიდეოს ჩართვა დაგავიწყდა, მესამე ოთახში უნდა გაქცეულიყავი და ჩაგერთო, ასე გვინებდა არსებობა“, – ამბობს გიზო კორტავა.

ფინანსური შემოსავალი ტელევიზიას დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონია. ნაციონალური რეკლამები ნაციონალურ არხებზე გადიოდა, ადგილობრივი საარეკლამო სივრცე კი თითქმის არ არსებობდა. შემოსავლის წყარო ტელევიზიისთვის ნეკროლოგებიც იყო. გიზო კორტავა ამბობს, რომ ტელევიზია მესაფლავეს ემსგავსებოდა, ეს კი არ მოსწონდა და ხშირად ეთერიდან ნეკროლოგებს ხსნიდა, მაგრამ სხვა გზა რომ არ რჩებოდა, უკან აბრუნებდა.

„ამ თამაშ-თამაშით აღმოჩნდა, რომ რალაცის გაკეთება შეგვძლებოდა. სემინარებზე ვისწავლეთ სიუჟეტის მომზადების სტანდარტები, ცოტა ჩვენც მივამატეთ და პირველი საინფორმაციო გამოშვება „პირამიდა“ 1995 წელს გაუშვეთ ეთერში“, – იხსენებს გიზო კორტავა. მოგვიანებით ტელეკომპანიამ სოროსის გრანტი მოიპოვა, რითაც მხოლოდ ტექნიკის შეძენა მოახერხა.

ხელფასი კი არხზე – ჟურნალისტისთვის თვეში 26 ლარი – მხოლოდ 2002 წელს გაჩნდა. მას შემდეგ, რაც „V არხის“ 50 პროცენტის მფლობელი ბოლნისის გამგეობა გახდა.

„ამის შემდეგ ტელევიზია ფინანსურად კი მოძლიერდა, მაგრამ თავისუფლების ხარისხი დაკარგა. იმის გამო, რომ არხის მფლობელი მუნიციპალიტეტი იყო, აღარც გრანტებს გვაძლევდნენ“, – ამბობს გიზო კორტავა.

ის იხსენებს, რომ არხის ჟურნალისტებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ურთიერთობა თანდათან დაიძაბა. 2002 წლის 13 ივნისს რადიო „თავისუფლება“ იუნყებოდა, რომ ადგილობრივი არჩევნების გაშუქებისას, „V არხის“ ჟურნალისტი თამარ ხოფერია ბოლნისის გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემ და მისმა ძმამ საარჩევნო უბნიდან გააგდეს და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაცენეს.

ზენოლა არხზე 2004 წლიდან კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტმა ხელმძღვანელის, გიზო კორტავას შეცვლა მოინდომა.

„მეხუთე არხის“ ჟურნალისტები გაიფიცნენ. „გამგეობის გადაწყვეტილება გავაპროტესტეთ, საბოლოოდ არ მოხსნეს“, – იხსენებს თამარ ხოფერია.

მოგვიანებით, 2005 წელს გიზო კორტავამ თავად დატოვა თანამდებობა და მერის პირველ მოადგილედ დაინიშნა. დღეს ის მუნიციპალიტეტში, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორად მუშაობს. „ვეგრძნობდი, რომ მაინც მომხსნიდნენ, რადგან დაპირისპირება გვექონდა წინა გამგებელთან, აღარ ვიყავით გამგეობის ნდობით აღჭურვილი პირნი“, – ამბობს კორტავა.

მედიის სახელმწიფო გავლენისგან გათავისუფლების გარანტიად 2004 წელს კანონში ჩადებული სპეციალური პუნქტი დღემდე არ ამოქმედებულა. მანამდე სახელმწიფო არადემოკრატიული ფორმით, მაგრამ კანონიერად ფლობდა ტელეკომპანიებს. მაუწყებლობის შესახებ კანონის დამტკიცების შემდეგ კი ტელევიზიებს ერთნაირი ვადა მიეცათ რეორგანიზებისთვის, რაც სახელმწიფოს წილის გაყიდვას გულისხმობდა. თუმცა კანონმდებლები ვადას ყოველ მომდევნო წელს სამომავლოდ დებდნენ. ბოლოს კი, 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, რეორგანიზების ვადა 2011 წლის პირველ იანვრამდე გადაწიეს. გამოდის, რომ მუნიციპალიტეტებს ახლა დაახლოებით ცხრა თვე რჩებათ იმისთვის, რომ საკუთარი ტელევიზიები გაყიდონ ან დახურონ.

იურისტი თამარ კორძია ამბობს, რომ როცა დემოკრატიულ ქვეყანაში სახელმწიფო მედიაში ფლობს წილს, ეს მედიის თავისუფლების შეზღუდვაზე მიუთითებს. „ამ ვადის პერმანენტული გადანევა ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ვერ თმობს თავის ბერკეტებს და არ უნდა, რომ მედია იყოს დამოუკიდებელი ამ თვალსაზრისით“, – ამბობს თამარ კორძია.

„V არხის“ გასხვისების საკითხით ჯერ არც მუნიციპალიტეტი, არც არხის ხელმძღვანელობა და არც კომუნიკაციების ეროვნული კომისია არ დაინტერესებულა. „თუ არ გასხვისდა 2011 წლამდე, რა ბერკეტი გვაქვს კანონის აღსასრულებლად, ამაზე ჯერ არ გვიფიქრია, მაგრამ ჯერ 2011 წელი ხომ არ არის?“ – ამბობს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი კახი ყურაშვილი.

„ახლა არის 2010 წლის მარტი, რამდენი დღე და თვე არის დარჩენილი 2011 წლამდე? ესე იგი, დრო არის ხომ იქამდე? ჰოდა, როცა მოვა ამის დრო, მაშინ მიიღებენ გადაწყვეტილებას“, – გვპასუხობს ტელევიზიის ხელმძღვანელი ნუგზარ ლომთაძე და გამგეობის მიერ ყოველწლიურად გადარიცხული, დაახლოებით 150-ათასლარიანი ბიუჯეტით განაგრძობს ბოლნისის რაიონის ყველაზე სტაბილური და ძველი არხის მართვას. ■



ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაული, მარნეული, 21 მარტი 2010

ფოტო: რატიკო მამულაძე

ეთნიკური უმცირესობები

# ტანსხი ტონიხანსობაზე

აზერბაიჯანული დღესასწაული საქართველოში უქმე დღედ ცხადდება. ხელისუფლების ტოლერანტობის დამადასტურებელი ნაბიჯი დემოკრატიის იდეასთან ახლოს დგას.

წინო გოგუა

რიტა ასადოვასთვის 21 მარტი განსაკუთრებული დღეა. ადრიაანად ადგა და მისალეები ოთახის კუთხეში მდგარი პატარა, მრგვალი მაგიდის განყოფილება დაინახა. წინა დღეს მოხარული, სხვადასხვაფერად შეღებილი კვერცხებით, თევზით, ჯამში გაზრდილი ჯეჯილით, ტკბილეულით, ხილით, ყვავილებითა და სანთლებით მორთო მაგიდა; სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი მოსასხამი მოიხვია და სტუმრების მოლოდინში ტელევიზორი ჩართო.

21 მარტს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, ირანული კალენდრის მიხედვით, გაზაფხულის შემოსვლას აღნიშნავენ. ასე იწყება „ახალი დღე“, იგივე ნოვრუზ-ბაირამის 6-დღიანი დღესასწაული.

„სტუმრები გვყავდა, როცა ტელევიზორში მოვკარით ყური, რომ პრეზიდენტმა 21 მარტს ნოვრუზ-ბაირამი სახალხო

ზეიმად გამოაცხადა. თავიდან მეგონა, რომ მომემა, არ დავიჯერე. ამხელა სიხარულს ნამდვილად არ ველოდი“, – ამბობს რიტა ასადოვა.

სანამ რიტა სტუმრებს უმასპინძლებოდა, პრეზიდენტი ტელევიზორის ეკრანიდან მიმართავდა აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქეებს: „თქვენთან ერთად ზეიმობს მთელი საქართველო, რადგან თქვენ ხართ ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი უმნიშვნელოვანესი ნაწილი“. მარნეულში ჩასულმა მიხილ სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევსაც გვერდში დგომისთვის, მარნეულის მოსახლეობას კი ქალაქის „კიდევ უფრო გალამაზებას“ დაჰპირდა.

2010 წელს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე 21 მარტი, ნავროზობა საერთაშორისო დღედ გამოცხადდა. 2009-ში კი იუნესკო-მ ნოვროზ-ბაირამი „მსოფლიო

ხალხთა არამატერიალური კულტურის ნუსხაში“ შეიტანა. ნოვრუზ-ბაირამი ეროვნული დღესასწაულია მსოფლიოს 11 ქვეყანაში, მათ შორის – ირანში, ავღანეთში, უზბეკეთში, ყაზახეთში, ტაჯიკეთში, ერაყში, ალბანეთსა და კოსოვოში. ახლა ნოვრუზ-ბაირამის ნაციონალურ დღესასწაულად გამოცხადებით საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, საკუთარი ტოლერანტობა აჩვენოს.

აქამდე უმცირესობების მიმართ შემყნარებლური პოლიტიკის აფიშირებას პრეზიდენტი ხანუკაზე – სინაგოგაში და 25 დეკემბერს – კათოლიკურ ეკლესიაში სტუმრობით ცდილობდა. და მაინც, 2008 წელს იუდეველებს მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანთან“ თავიანთ ტრადიციული რვატოტა შანდლის – მენორას დადგმის საშუალება არ მისცეს.

მუნიციპალიტეტთან რამდენიმე დღიანი მოლაპარაკების წარუმატებლად დასრულების გამო, იუდეველთა ეს ჩანაფიქრი საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა. ამის შემდეგ ხანუკობის საჯაროდ აღნიშვნის ინიციატივა ებრაელებს აღარ გამოუჩენიათ.

აზერბაიჯანელების შემდეგ სიდიდით მეორე სომხური დიასპორაც თავის ეთნიკური დღესასწაულისთვის ეროვნული ხასიათის მინიჭებას, დიდი ხანია, ღიად და გაბედულად ცდილობს. 2007 წლის 24 აპრილს სომხურმა ეკლესიამ ქალაქის მე-

რიას სთხოვა სომეხთა გენოციდის დღის მოსაგონარი ატრიბუტიკის სომხური ეკლესიის ეზოს გარეთ, ქუჩაში გამოფენის ნებართვა. თუმცა, უარი მიიღო.

„როგორც მოქალაქე ვფიქრობ, რომ, როგორც ჩანს, საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური აღიანის უფრო მყარია, ვიდრე ქართულ-სომხური. თუ პოლიტიკური ნება იარსებებს, ნებისმიერი ქართულ-სომხური დღესასწაულის დანერგვა შეიძლება. შეიძლება საიათნოვობის სახალხო ზიმიის ეროვნულად გადაქცევა, თუმცა ამაზე დიდი მნიშვნელობის სომხური დღესასწაულებიც არსებობს“, – აცხადებს საქართველოს სომეხთა სათვისტომოს წარმომადგენელი ალექსანდრე ოგანოვი.

„ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელიც ეფუძნება დავით აღმაშენებლის ტრადიციას და ეს ტრადიცია ყველა აღმსარებლობის თანასწორობა და პატივისცემა, იმიტომ რომ საქართველოს სიძლიერე მისი მრავალფეროვნებაა. ჩვენი ერთიანობა სხვადასხვაობაშია. ყველა ამ ქვეყნის შვილები და პატრიოტები ვართ“, – ესეც მიხეილ სააკაშვილის სიტყვებია.

ადამიანის უფლებების დამცველები ფიქრობენ, რომ ნოვრუზ-ბაირამის ნაციონალურ დღესასწაულად გამოცხადებით პრეზიდენტის ტოლერანტულ გამოსვლებს პირველად მოჰყვა რეალური შედეგი. ნოვრუზ-ბაირამის აღნიშვნას ომბუდსმენის აპარატის ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი ბექა მინდიაშვილი „რეველუციურს“ უწოდებს. „ეს არის პირველი შემთხვევა, როცა არაქართული წარმომავლობის დღესასწაული ნაციონალურ დღედ ცხადდება. აქამდე მხოლოდ ქართულ მართლმადიდებლურ დღე-

სასწაულებს აღვნიშნავდით, რაც აშკარა უთანასწორობა იყო. ნოვრუზობა არა რელიგიური, არამედ საერო დღესასწაულია, ეს კი ერებს შორის კულტურულ დაახლოებას შეუწყობს ხელს“, – ამბობს ბექა მინდიაშვილი.

თუმცა ქვეყანაში, სადაც ეთნიკური უმცირესობების მიმართ შეზღუდვები თითქოს ისტორიულ ფაქტობრივად ცხადდება, ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაულს მონინალმდებელები მაინც გამოუჩინდნენ. „ლიბერალი“ რამდენიმე დღის განმავლობაში უშედეგოდ ელოდა საპატრიარქოს ოფიციალურ კომენტარს. გელათის აკადემიის აკადემიკოსმა მარიამ ცაცანაშვილმა ტელეკომპანია „მეტროს“ ეთერში პრეზიდენტის ეს ინიციატივა ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად შეაფასა: „პრეზიდენტის განაცხადი, რომ საკანონმდებლო რანგში აიყვანონ ეს დღესასწაული, მორიგი ინფორმაციულ-პოლიტიკური ავანტიურაა. მთელი საქართველოსთვის ასეთი აქცენტების გაკეთება უკვე პოლიტიკური ზენოლაა. ამან შეიძლება გარკვეული შეშფოთებები და კითხვები გამოიწვიოს“.

პოლიტოლოგი ალექსანდრე რონდელი ნოვრუზ-ბაირამის ნაციონალურ დღესასწაულად გამოცხადების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ მართლმადიდებელი ეკლესიის დომინანტურ როლს ასახელებს: „მართლმადიდებელი ეკლესიის დომინანტობა იმდენად აშკარაა, რომ ყველას თვალს სჭრის. ამიტომ გააკეთეს ეს, მსოფლიომ რომ არ იფიქროს, თითქოს სხვა ეთნიკურ ჯგუფებს პატივს არ ვცემთ“.

„ლიბერალის“ მიერ ჩატარებულ მცირე გამოკითხვაში, რომელშიც 150-მა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა, მხოლოდ

41-მა დაუჭირა მხარი ნოვრუზ-ბაირამის უქმე დღედ გამოცხადებას. 10-ისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, სამმა პასუხისმგებელი თავი შეიკავა, დანარჩენმა 99-მა მოქალაქემ კი პრეზიდენტის ინიციატივა მკვეთრად უარყოფითად შეაფასა: „ისედაც სულ ბაირამობენ ჩვენს ქვეყანაში და ახლა ოფიციალურად ვაბაირამოთ?“ – კითხვა შემომიბრუნა 40 წლამდე მამაკაცმა. თუმცა, იმავე ასაკის ქალბატონმა მითხრა: „მართალია, ქართველებს აზერბაიჯანში ასე არ ანებიერებენ, მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენ ვიყოთ დიდსულოვნები?“

დღეს საქართველოში 15 დღესასწაულია უქმე დღედ გამოცხადებული. მათგან 7 საეროა, 8 – მართლმადიდებლური. პრეზიდენტის პრესსპიკერი მანანა მანჯგალაძე აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, მალე ნაციონალურ დღედ სხვა უმცირესობების დღესასწაულებიც გამოცხადდეს. თუ პრეზიდენტმა ეს სიტყვა შესასრულა, არსებულ 15 უქმე დღეს მინიმუმ სამი – სომხების, აზერბაიჯანელების და ებრაელების დღესასწაული უნდა დაემატოს.

ნოვრუზ-ბაირამის ნაციონალურ დღესასწაულად გამოცხადებას ებრაელებიცა და სომხებიც ლოიალურად ხვდებიან.

„ამ დღესასწაულის დაწესება ნიშნავს ყველას პატივისცემას. ბედნიერი ვიქნებოდი, ნებისმიერი ერთი ებრაული დღესასწაულიც უქმედ რომ გამოცხადებულყო, მაგრამ ალბათ საკმარისზე ცოტანი ვართ“, – ამბობს თბილისელი ებრაელი ლევან იასახანზადე, რომელიც სიონის ეკლესიასთან, ძველ უბანში ცხოვრობს და თავს საქართველოს სრულფასოვან მოქალაქედ მიიჩნევს. მისი შემოსავლის წყაროა საკუთარ სახლში, 2 კვადრატული მეტრი ფართობის ნათელ ოთახში გაკეთებული ფეხსაცმლის სამკერვალო. კედლებზე ფეხბურთელების, მათ შორის – დავით ყიფიანის, გახუნებული სურათები აქვს გაკრული.

საქართველოს შრომითი კოდექსის მიხედვით, მოქალაქეს შეუძლია ნებისმიერ ეროვნულ დღესასწაულზე იმუშაოს და, სანაცვლოდ, საკუთარი ეთნიკური დღესასწაულის დროს დაისვენოს. ამისათვის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირადად უნდა შეუთანხმდეს დამქირავებელს, რაზეც შეიძლება უარიც მიიღოს და ეს ინიციატივაც ძვირად დაუჯდება.

კავშირის, „საერთო-სამოქალაქე მოძრაობა მრავალფეროვანი საქართველო“, თავმჯდომარე არნოლდ სტეპანიანი აცხადებს, რომ ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაცია ყველაზე ნათლად სწორედ შრომის ბაზარზე ვლინდება.



მიხეილ სააკაშვილი ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაულზე, მარნეული, 21 მარტი 2010

ქართული კრიმინალები ევროპაში

# დახსყმა ქართულ მკვლელებს ავსტრიაში

მარტვი ევროპის ექვს ქვეყანაში, სულ მცირე, 69 ქართველი დააკავეს. კარგად ორგანიზებული ქართველი კრიმინალების დაჯგუფების დაკავების მომდევნო დღეებში ვენაში ბინის ქურდობებმა 50%-ით იკლო.

## მატიას ჰატლერი



ქართველი კრიმინალების დაკავება, ვენა 2010

მას მაგალითად მოჰყავს 2008 წელს მარნეულში მომხდარი ფაქტი, როდესაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ეთნიკური განსხვავებულობის გამო, ადგილობრივ სახელმწიფო სტრუქტურაში არ მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტებზე უკეთ ჩააბარა გამოცდა.

ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ქართულ შრომის ბაზარზე ჯერ კიდევ არსებობს ეთნოკრატიზმი. საჯარო და კერძო დანესხვებულებების აბსოლუტურ უმრავლესობას ეთნიკურად ქართველები მართავენ და თანამშრომლებს ეთნიკური ნიშნით გამოარჩევენ. ამიტომ თითქმის არ იცვლება იმ არაპოპულარული და დაბალანაზღაურებადი პროფესიების სია, რომელთაც ეთნიკური უმცირესობები თაობიდან თაობამდე მისდევენ.

უმცირესობის წარმომადგენლები დისკრიმინაციის კონკრეტულ შემთხვევებზე საჯაროდ საუბარს თავს არიდებენ, მომავალში უფრო დიდი პრობლემები რომ არ შეექმნათ. ამ ადამიანების დუმილი პრობლემას „ჩაკეტილ“ ეთნიკურ წრეში აქცევს, ქართველების ტოლერანტობა კი მხოლოდ დეკლარირებულ ფასეულობად რჩება.

„ვერ ვიტყვით, რომ ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაულად გამოცხადებით გაგზავნით ან მანამდეც ვიყავით ტოლერანტული საზოგადოება, – აცხადებს რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი, კულტუროლოგი სალომე ასათიანი და ვარაუდობს, რომ ქართველების უმრავლესობას ნოვრუზ-ბაირამის უქმე დღედ გამოცხადება არ მოეწონება, – ჩვენთან ჯერ კიდევ ჭარბობს ეთნიკურ ნაციონალიზმზე დაფუძნებული ლოზუნგები და მითები „ქართული ჯიმის“ შესახებ. ჭარბობს რელიგიური პოპულიზმი, ძალაუფლების და პოპულარობის მოსაპოვებლად მართლმადიდებლობის გამოყენება. ამის მიღმა კი ხშირად დომინანტურ ჯგუფსა და უმცირესობებს შორის არსებული გაუცხოება და შეუწყნარებლობა იმალება. ამ დამოკიდებულების შეცვლას ბევრად მეტი ძალისხმევა სჭირდება, ვიდრე დროდადრო, წინასწარჩვენოდ გამოთქმული მულტიკულტურული ლოზუნგები და თუნდაც ძალიან დადებითი ნაბიჯები“.

ნოვრუზ-ბაირამი ერთგვარი ტესტია. უმცირესობების დღესასწაულების ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადებით უკეთ გავაცნობიერებთ, მაინც რამდენად ტოლერანტული ვართ ეთნიკური უმცირესობების მიმართ, რომლებსაც ჩვენს ისტორიულ სიმდიდრეს ვუნოდებთ. **■**

მეორადი ტანსაცმელი, ციფრული კამერები და სამკაულები – ქართულ ბაზარზე ბევრი რამ იყიდება. საესეებით შესაძლებელია, რომ ის საგნები, რომელსაც თბილისის და ქუთაისის ბაზრებზე ნახავთ, ვენის სახლებიდან იყოს მოპარული.

მარტის შუა რიცხვებში ევროპელმა პოლიციელებმა შეთანხმებულად დააკავეს კარგად ორგანიზებული ქართველი კრიმინალები. „ოპერაცია ჯავას“ ფარგლებში, რომელსაც კოორდინაციას უწევდნენ ესპანელი პროკურორები, ექვს ქვეყანაში სულ ცოტა 69 ქართველი ეჭვმიტანილი დააკავეს. ესპანეთთან ერთად, ვენა კრიმინალური ქსელის ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრია. მალაზიებისა და მანქანების გა-

ქურდვის გარდა, ქართველმა კრიმინალებმა ავსტრიაში ბინების ქურდობასაც მიჰყვეს ხელი. ვენის გამოძიებლებმა დაადგინეს, რომ ბოლო თვეებში ქართველი მძარცველები პასუხისმგებელი იყვნენ მთელ დედაქალაქში მომხდარი ბინის ქურდობების მეოთხედზე. ერთ-ერთ ბინაში, რომელსაც კრიმინალები ნაქურდალის შესანახად იყენებდნენ, პოლიციელებმა აღმოაჩინეს ბოლო ორი კვირის განმავლობაში მოპარული 37 კილოგრამი ძვირფასეულობა. ნაძარცვის დიდი ნაწილი უკვე გაყიდული იყო ვენის შავ ბაზარზე ან გაგზავნილი საქართველოში რეგულარული ფოსტით ან DHL-ით.

ავსტრიელმა პოლიციელებმა დააკავეს ორი ქართველი კანონიერი ქურდი,



რომლებიც აკონტროლებდნენ ქართულ დაჯგუფებებს ავსტრიასა და მეზობელ ქვეყნებში. ერთ-ერთმა მათგანმა ნარსულში უკვე გაატარა 4 წელი ავსტრიის ციხეში. მანამდე ის პირველად 2005 წელს დაიჭირეს.

დღეს ქართველი კანონიერი ქურდების უმრავლესობა საქართველოს ციხეში ზის. ზოგიერთმა მათგანმა ქვეყანა დატოვა და რუსეთში თუ ევროპის ქვეყნებში დაპყვიდრა.

ქართული კრიმინალური ქსელის თითქმის ყველა წევრმა ავსტრიაში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. 2009 წელს 975-მა ქართველმა მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი, აქედან მხოლოდ 5% დააკმაყოფილეს, ისიც იმიტომ, რომ არსებობდა ჰუმანიტარული მიზეზები – მაგალითად, ზოგიერთს ანუხებდა სერიოზული დაავადებები. ავსტრიული პოლიციის ცნობით, ქართველების ნახევარი, მათ შორის ბავშვები და ქალები, რომლებმაც პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვეს, ნარსულში ნასამართლევი იყო.

ამის მიუხედავად, ავსტრიას ქართველი კანონიერი ქურდების საქართველოში ექსტრადირება ორი მიზეზის გამო არ სურდა: პირველი, რომ 2005 წელს მიღებული საქართველოს კანონი, რომელიც ყველა „კანონიერი ქურდის“ ნო-

ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ცენტრიდან არიან. როდესაც ვენაში დასჭირდებოდათ სპეციალური უნარების მქონე ქურდი, ასეთის რეკრუტირებას ახდენდნენ საქართველოში, ქმნიდნენ ლეგენდას, რომ მას პოლიტიკურად დევნიდნენ და მიჰყავდათ ავსტრიაში. ათამდე ადამიანი ცხოვრობდა ცუდი პირობების საცხოვრებლებში; სამკაცრიანი ჯგუფები ახორციელებდნენ ბინის ქურდობებს, ხანდახან რამდენიმე საათის განმავლობაში რამდენიმე კარგად დაცულ ბინას „ტეხავდნენ“. გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ ვენაში ჯერ კიდევ 100-მდე ქართველი ქურდი დარჩა. ისინი კრიმინალური სამყაროს ყველაზე დაბალ საფეხურებზე არიან, ბევრი მათგანი ნარკომანია და, ავსტრიული მედიის ცნობით, ახლა უკვე ბოსების გარეშე არიან დარჩენილები, რადგან მათი ლიდერები დაპატიმრდნენ.

ავსტრიელ გამომძიებლებს აინტერესებთ, თუ რამდენად დასუსტდა დაპატიმრებების შემდეგ ქართული კრიმინალური ქსელი. დაპატიმრებების მომდევნო დღეებში ბინის ქურდობებმა ვენაში 50%-ით იკლო.

„ევროპული პოლიციისთვის ძალზე რთულია მსგავსი ეთნიკური ბანდების ინფილტრაცია. ვფიქრობ, ქართული მხარის ჩარევის გარეშე, ეს შეუძლებელი

კრიმინალები ხშირად იყენებდნენ კოდირებულ ენას და ჟარგონს, რაც ასევე ართულებდა პოლიციის მუშაობას. ამის მიუხედავად, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა ქართულ და ავსტრიულ სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტებს შორის შეუფერხებლად მიმდინარეობდა. გეიგერი აცხადებს: „საქართველოში მთავრობაც დაინტერესებულია, რომ თავიდან მოიშორონ ევროპაში მყოფი ქართველი კრიმინალები, რადგან ისინი აზიანებენ ქვეყნის რეპუტაციას“.

ინფორმაციის შეუფერხებელი გაცვლის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ვენაში პოლიციის ატაშე ჰყავს. შესაბამისად, ავსტრიასაც ჰყავს საკონტაქტო პირი თბილისში.

ქართველმა კანონიერმა ქურდებმა ისეთი მსხვილი და სტრუქტურული იერარქია შექმნეს, რომ გამოცდილი ავსტრიელი გამომძიებლებიც კი გააოცეს. „მსგავსი სტრუქტურების წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ მთელი ევროპის მასშტაბით შეიძლება. ცალკეულ ქვეყანას ამისი განხორციელების მცირე შანსი აქვს. გამომძიებელმა უნდა შეისწავლოს კრიმინალების სამშობლო და ინტერკულტურულად დაადგინოს, თუ სად არის პრობლემები“, – ამბობს გეიგერი.

## ■ ბოლო თვეებში ქართველი მძარცველები პასუხისმგებელი იყვნენ ვენაში მომხდარი

ბინის ქურდობების მეოთხედზე. ერთ-ერთ ბინაში, რომელსაც კრიმინალები ნაქურდალის

შესანახად იყენებდნენ, პოლიციელებმა აღმოაჩინეს ბოლო ორი კვირის განმავლობაში

მოპარული 37 კილოგრამი ძვირფასეულობა.

დების მქონე პირისთვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს, საერთაშორისო სტანდარტებს ძნელად თუ შეესაბამება; და მეორე, რომ საქართველოს გადატვირთული ციხეების პირობები საერთაშორისო სტანდარტებში არ ჯდება.

„მთლიანობაში, ქართველები ავსტრიის კრიმინალურ სამყაროში დიდ როლს არ თამაშობენ“, – ამბობს ავსტრიელი უსაფრთხოების ექსპერტი, რომელსაც ურჩევნია ანონიმურად დარჩეს, – მაგრამ ისინი აკეთებენ იმას, რაც ხალხს ძალიან აბრაზებს: ძარცვავენ მათ ბინებს“.

დაბალი რანგის ქართველი კრიმინალების დიდი ნაწილი, ე.წ. „ქვეითები“ ქუთაისიდან, ისტორიულად, ქართული

ლი იქნებოდა“, – ამბობს ელდარ გოგოლაძე, ქართული უშიშროების ძალების ყოფილი ხელმძღვანელი შევარდნადის ადმინისტრაციაში. გოგოლაძე ამატებს, რომ 70-იან და ადრეულ 80-იან წლებშიც მოსკოვის პოლიცია ეყრდნობოდა ქართველი პოლიციელების ცოდნასა და მხარდაჭერას, რომ საბჭოთა კავშირის დედაქალაქში მსგავსი ქსელები გაეშფრათ.

„გამომძიებები ძალიან, ძალიან რთული იყო, – ეთანხმება მას ერნსტ გეიგერი, ავსტრიის ფედერალური პოლიციის ორგანიზებული დანაშაულის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, – ჩვენ ჩავინერეთ ათასობით სატელეფონო საუბარი და მოგვინა მათი გადათარგმნა“, – ამბობს ის. ქართვე-

ყოველკვირეული ავსტრიული ჟურნალი „პროფილი“ წერს, რომ ბოლო თვეებში ქუთაისური კლანები დიდი წინხის ქვეშ იყვნენ, რათა გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე ბევრი ფული ეშოვნათ. ვენაში თავიანთ აქტივობებთან ერთად, მათ მსხვილი ინვესტიციები განახორციელეს უძრავ ქონებაში ბარსელონასა და ესპანურ კოსტა ბრავაზე. ესპანური უძრავი ქონების ფინანსური საპნის ბუშტი, რომელიც ახლახან გასკდა, ქართველ კრიმინალებს დიდ დანაკარგებად დაუფჯდათ. ამ დანაკარგების საკომპენსაციოდ და საქართველოში დარჩენილი ოჯახების დასახმარებლად მათ ავსტრიაში სულ უფრო მეტი საცხოვრებელი სახლის გაქურდავა უწევდათ. ■

14 წლის ნათია მუსიკალურ სკოლაში სწავლობს და კვირაობით ეკლესიის გუნდში გალობს. ის „მრევლის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემული წიგნის – „რა უნდა იცოდეს ყოველმა გოგონამ“ – მთავარი გმირია. რუსი მღვდლის ალექსი გრაჩოვის წიგნი, რომელიც ქართულად დეკანოზ ზაქარია ძინძიბაძის რედაქტირებით ითარგმნა, ნათიას დედის რჩევებზეა აგებული. დედა შვილს ხატოვნად უხსნის, თუ როგორ ჩნდება ახალი სიცოცხლე, რა არის თავისუფლება, რწმენა, სიყვარული, განსაცდელი..

„როდესაც ორწლიანხვერისა იყავი, გადავწყვიტეთ, შენთვის მულტფილმი გვეჩვენებინა... აქედან დაიწყო ყველაფერი. იმ დღიდან, თითქოს უცაბედად შეგცვალებს. ხშირად მიიწვედი ტელევიზორისკენ და მეხვეწებოდი, – ჩართეო. ველარ გცნობდით, ყვიროდი, ტიროდი, შემინებულს გელვძიებოდა, თითქოს ვილაც მოგდევდა, საშინელებები გელანდებოდა... მე გავვარდი ეკლესიაში მამაოსთან, მაშინვე მკითხა, – ტელევიზორს ხომ არ უყურებსო“.

მულტფილმების პერსონაჟებით გაფორმებული ბლოკნოტები და სტიკერები ხატებთან ერთად ბარნოვის ქუჩაზე მალაზია „ნუგეში“ იყიდება.

„ნუგეშის“ გამყიდველი მეუბნება, რომ მათი მალაზია საპატრიარქოს ეკუთვნის. თუმცა, ირკვევა, რომ ეს ასე არ არის. არც ეს და არც სხვა, მათ შორის ეკლესიის ეზოებში განთავსებული მალაზიები, საპატრიარქოს არ ექვემდებარება.

უშუალოდ საპატრიარქოს სულ სამი საეკლესიო მალაზია ეკუთვნის – ქაშუეთის წინ, სიონის და სვეტიცხოვლის ეზოებში მდებარე. თუმცა, საპატრიარქოს კონტრაქტორია თბილისის 30-მდე საეკლესიო მალაზიაც. საპატრიარქო ამ მალაზიებიდან მხოლოდ მოგების გარკვეულ პროცენტს იღებს. თუმცა, მათ შორის კავშირი ფინანსური ურთიერთობით წყდება. ამიტომ დასლებზე ხშირად ისეთი ნივთებიც ხვდება, რომლებიც „ნათიას“ ცდუნებისკენ უბიძგებს, ანდა უბრალოდ მდარე ხარისხით გამოირჩევა.

მამა სერაფიმე ჭედია საპატრიარქოს ფინანსურ განყოფილებას, ბოლო ერთი წელია, განაგებს და აპირებს, თავად დაიაროს ქალაქში არსებული ყველა საეკლესიო მალაზია. ძალიან უკვირს, როცა გასაღების საკიდს ვაჩვენებ აი, ამ გამოსახულებით – ©. ეს არასაკლესიო დანიშნულების მქონე სუვენირი საპატრიარქოს კონტრაქტორ მალაზია



საპატრიარქოს მალაზია „მადლი“ ლესელიძის ქუჩაზე, მარტი 2010

საკლესიო მალაზიები

# უცნაური მართლმადიდებლობა

თბილისში მოქმედი საეკლესიო მალაზიები საპატრიარქოს არ უკუთვნიან, თუმცა საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ.

### რუსუდან რუხაძე

„მადლში“ იყიდება. ოთხმოციანი წლებში შექმნილი ლიმილის ეს ტიპოგრაფიული სიმბოლო დღეს განსაკუთრებით ინტერნეტფორუმებზეა პოპულარული. ინტერნეტი და კომპიუტერი კი „ნათიასთვის“ თითქმის აკრძალულ გართობად ითვლება: „იმ ქალიშვილების 80 პროცენტი, ვისი მუშაობაც კომპიუტერთან არის დაკავშირებული, ან დედა ვერ ხდება, ან ავადმყოფ ბავშვს აჩენს“, – წერია „ნათიას წიგნში“. მამა სერაფიმეს არაფერი აქვს საწინააღმდეგო ზოგადად კომპიუტერების, მაგრამ „სმაილიკის“ მოხვედრას საეკლესიო მალაზიაში მეტისმეტად მიიჩნევს. თუმცა, იგი იმასაც ამბობს, რომ საპატრიარქოს სახელით უამრავი მენარმე სარგებლობს. „ჩვენ გადასახადისგან განთავისუფლებულები ვართ, მაგრამ ჩვენს მალაზიაში და კერძო პირის გახსნილ მალაზიაშიც ხა-

ტის თუ სხვა საეკლესიო ნივთების ფასი თანაბრად ხელმისაწვდომია. როგორც ჩანს, ისინიც არ იხდიან გადასახადს, გამოსარკვევი ზუსტად ეგ არის, როგორ ახერხებენ ამას“, – ამბობს მამა სერაფიმე.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით, ეკლესიის მიერ წარმოებული ღვთისმსახურების პროდუქციის შემოტანა გადასახადებისგან გათავისუფლებულია. ხოლო საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულების მქონე პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგება არ იბეგრება. ეს საკონსტიტუციო გარანტიები კი საკმარისი ხდება იმისთვის, რომ სახელმწიფომ საერთოდ უარი თქვას ყველა ტიპის საეკლესიო მალაზიის შე-



■ საპატრიარქოს მაღაზია „ივერონი“ გამსახურდას გამზირზე, მარტი 2010

ფოტო: პავლე კორიძე

მონებზე, იმის მიუხედავად, უშუალოდ საპატრიარქოს ექვემდებარება ეს მაღაზია, მხოლოდ მისი კონტრაქტორია, თუ სრულიად დამოუკიდებლადაა გახსნილი. მამა სერაფიმე ამბობს: „საგადასახადო ასეთ მაღაზიებში არ შედის. სახელმწიფო სადაც ხედავს, რომ საეკლესიო ნივთები იყიდება, იქაურობას არ ეკარება“. საგადასახადო სისტემა საეკლესიო მაღაზიების მიმართ, ერთი შეხედვით, კანონიერი მოტივითაა „გულგრილი“ – მათზე პასუხისმგებელი მხოლოდ საპატრიარქო უნდა იყოს. თავის მხრივ კი, საპატრიარქოს არანაირი მექანიზმი არ გააჩნია, კერძო პირების მიერ გახსნილი საეკლესიო მაღაზიები აკონტროლოს.

საპატრიარქოს კონტრაქტორი მაღაზიები, მაგალითად „წმინდა კუთხე“, „მართლმადიდებელი“, „მადლი“ და ა.შ. – უშუალოდ სასულიერო პირების ან მრევლის მიერაა გახსნილი. მამა სერაფიმე ჭედა ამბობს, რომ კონტრაქტორი მაღაზიების არსებობას საპატრიარქო იმიტომ უწყობს ხელს, რომ ხალხი დასაქმდეს, თორემ მათგან შემოსავალი „მცირედია“. „ზოგ მფლობელს მრავალშვილიანი ოჯახი ჰყავს და ხელს ვუწყობთ, რომ მაღაზია გახსნას, ტვირთის განბაჟებისას სპეციალურ წერილსაც ვატანთ, რომ კონკრეტული გათვალისწინებული შეღავათებით ისარგებლონ“. მაღაზიების შემოსავლებს, საგადასახადო უწყების გარდა, ვერც საპატრიარქო აღრიცხავს, იმის გამო, რომ საეკლესიო მაღაზიების უმეტესობაში საღარი აპარატი არ დგას. კანონით საგადასახადო

**■ საკონსტიტუციო გარანტიები კი საკმარისია იმისთვის, რომ სახელმწიფო უარი თქვას ყველა საეკლესიო მაღაზიის შემონებაზე, იმის მიუხედავად, უშუალოდ საპატრიარქოს ექვემდებარება ეს მაღაზია, თუ დამოუკიდებლადაა გახსნილი.**

შეღავათები არავის ათავისუფლებს საღარი აპარატით ქვეთრის ამობეჭდვის ვალდებულებისგან. საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ვინც მომხმარებელთან ნაღდი ფულით ახორციელებს ანგარიშვალდებულებას, მოვალეა, ქვეთარი გასცეს.

საპატრიარქოს მაღაზიებში გასაყიდად შეტანილი ნივთებისა და ნივთების შინაარსი ხშირად თვითონ მართლმადიდებლურ მრევლში ინვესტს დაპირისპირებას. მაგალითად, კარლო ბუაჩიძის ნიგნის „მცენარეთა დაცვის ხალხური საშუალებების“ გაყიდვა საპატრიარქოს მაღაზიაში დავით აღმაშენებლის სახელობის მართლმადიდებლური მრევლის კავშირმა გააპროტესტა. მათ ვებგვერდზე [www.religia.ge](http://www.religia.ge) გამოქვეყნებულია მიმართვა: „რა უნდა შელოცვების ნიგნს საპატრიარქოს მაღაზიაში?!“ ნიგნს მი-

თითებული აქვს, რომ იგი კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევითაა გამოცემული. „სრულიად გაუგებარია, თუ როგორ მოხდა, რომ საპატრიარქოს გამომცემლების და ეკლესიის მწყემსის კურთხევითა და ხელშეწყობით დაიბეჭდა და გავრცელდა მაგიური შელოცვები, წყველა-კრულვა, რომელსაც რაც არ უნდა დაარქვა – ხალხური სიტყვიერება, ფოლკლორი თუ მავნებლების შელოცვა – მაინც ბოროტი ძალის გამოვლინებად და მის იარაღად რჩება. არც ერთი სიტყვა არ არის თქმული იმის შესახებ, რომ ქრისტიანებისთვის დაუშვებელია შელოცვების წარმოქმნა და წარმართულ რიტუალში მონაწილეობა“.

წერილის ავტორი მიუთითებს, რომ ამის შესახებ არაერთხელ ამცნეს საპატრიარქოს პრესცენტრს, და ასევე პატრიარქის მდივანს მამა ზაქარია მაჩიტაძეს, მაგრამ ნიგნი მაინც იყიდება.

„არც ეს ნიგნია გამოცემული საპატრიარქოს ლიცენზიით. ასე რომ იყოს, მას სპეციალური ნიშანი ექნებოდა ყდის შიდა მხარეს. საპატრიარქოში არსებობს სპეციალური საბჭო, მეუფე გრიგოლის ხელმძღვანელობით, რომელიც, მომართვის შემთხვევაში, ეცნობა გამოსაცემ ლიტერატურას და აძლევს ან არ აძლევს მას ლიცენზიას. თქვენ მიერ ჩამოთვლილი ნიგნები კერძო ინიციატივითაა გამოცემული და არც ის მაღაზია გვეკუთვნის ჩვენ, სადაც ეს ნიგნი იყიდებოდა“, – განმარტავს მამა სერაფიმე.

ნათიას ამბავი კი ასე გრძელდება: „ჩვენთან სკოლაში ყველას გახვრეტილი აქვს ყურები, უკეთიათ საყურეები, მითხრეს, რომ ძალიან მომიხდებოდა სამაჯურები, მძივები და საყურეები.... „სანყალი ბავშვი, – გაფიქრა დედამ, – აი, მორიგი ცდუნება“.

ოქროთი მოვარაყებულ ვერცხლის ბეჭედი, ზურმუხტის თვლებით და ნახევრადძვირფასი ქვებით მოოჭვილი სამაჯურები, მომინაქურებული საყურეები, Cristocraft-ის თვალისმომჭრელი საათები, ბალერინების და ყვავილების ფიგურები სვაროვსკის თვლებით, – მაღაზია „წმინდა კუთხე“ და „მადლი“ ნათიას მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს.

ცდუნება ჩემთვისაც ძალიან დიდია, თუმცა ლესელიძის ქუჩაზე მდებარე რამდენიმე საეკლესიო მაღაზიაში ვყიდულობ მხოლოდ ხატს – 4 ლარად, ნიგნს – 2 ლარად, და გასაღების საკიდს – 4 ლარად. არც ერთ ნივთში გადახდილი თანხის სანაცვლოდ ქვითარს არ მაძლევენ. ■



ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი

პროფესიული დაკავალბაზი

# სამსახური ჯანმრთელობის საჩქაზი

სამუშაოს დაკარგვის შიშით ადამიანები მალავენ, რომ ავად არიან. დასაქმებულთა ავადობა ორჯერ მეტიც კი შეიძლება იყოს, ვიდრე ოფიციალური სტატისტიკა გვაჩვენებს.

### მაკა ჯაიანი

გზას სახლიდან სამსახურამდე 40 წუთი მიაქვს. 6 კილომეტრს, სოფელ ითხვისიდან ჭიათურის სამთო გამამდიდრებელ კომბინატამდე, 55 წლის მერაბ იაკობიძე ფეხით გადის. საერთო შესასვლელიდან მის უშუალო სამუშაო ადგილამდე კიდევ დიდი მანძილია. კლდეში პორიზონტალურად გაჭრილი გვირაბი 5-6 კილომეტრი სიღრმისაა და გვირაბგამყვანთა ბრიგადები იქამდე სპეციალური ვაგონებით მიჰყავთ. „იქიდანაც ვაგონებმა უნდა წამოგვიყვანოს, მაგრამ ხანდახან ისე აგვიანებს, აღარც ველოდებით, ფეხით გამოვდივართ ბოლომდე“, – ამბობს მალაროში 27 წლის სამუშაო სტაჟის მქონე მერაბ იაკობიძე, რომელსაც მარცხენა ფეხი პროტეზირებული აქვს. ოპერაცია მას რამდენიმე წლის წინ ქუთაისში გაუკეთეს. როგორც ამბობს, ფეხის პრობლემმა „მალაროში მძიმე ჯაფისგან“ შეექმნა. მაგრამ ხელფასის გამო სამსახურს თავს მაინც ვერ ანებებს.

შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბოლო კვლევის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ დასაქმებულთა დაავადების მაჩვენებელი ჭიათურის სამთო გამამდიდრებელ კომბინატში ყველაზე მაღალია. გამოკვლეულ მუშებს გულ-სისხლძარღვთა, ნერვული სისტემის, კანის, სასუნთქი გზების პრობლემები აწუხებთ. გავრცელებულია პნევმონია და სენის

ნეურიტიც. თუმცა, კვლევის ყველაზე საგულისხმო აღმოჩენა იყო ის, რომ ადამიანები ხშირ შემთხვევაში, სამსახურის შენარჩუნების მიზნით, ავადმყოფობას მალავენ. „სიღრმისეულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ ავადობა ორჯერ იმაზე მეტია, ვიდრე სუბიექტური ჩივილებითა და შესაბამისი დოკუმენტაციით დადასტურდა“, – აცხადებს ინსტიტუტის ეპიდემიოლოგიური კვლევების ლაბორატორიის ხელმძღვანელი ნანა ჩხაიძე.

„აქ ბევრი ფილტვების ანთებითაც კი დადის სამუშაოდ, – ჰყვება მერაბ იაკობიძე, – ბიულეტენს 30 დღეზე მეტს არ იძლევიან და სამსახურს ხომ არ დაანებებს კაცი თავს?“

ჭიათურის აუზში 7 მაღაროა და, მთლიანობაში, იქ 3500-მდე ადამიანი დასაქმებული. „შვიდი, შვიდსაათნახევარი უნდა ვიმუშაოთ, მაგრამ 8 საათს და ხანდახან მეტ ხანსაც ვრჩებით, – ამბობს იაკობიძე, – დღიურ განაკვეთს 100 პროცენტით თუ არ შევასრულებთ, ხელფასი დაგვაკლდება. ისედაც ცოტას ვიღებთ და იმასაც რომ მოაკლდეს...“

ხელზე 280 ლარი რომ მიიღონ, ამისთვის ორმა გვირაბგამყვანმა თითო ცვლაში 30 ტონა ქანი უნდა ააფეთქოს, მოანგრის, განმინდოს და გვირაბი გაამაგროს. სამუშაო მძიმეა. ხშირად, მუხლამდე ტალახში, დაგლეჯილი რეზინის ჩექმებითაც უწევთ მუშაობა.

ამ ადამიანების გადანყვეტილება – ჯანმრთელობის ხარჯზე შეინარჩუნონ სამუშაო, გასაგებია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2009 წლის მონაცემებით, უმუშევრობის დონემ, პროცენტებში, 16.3-ს მიაღწია. 2019.5 ათასი შრომისუნარიანი ადამიანიდან დასაქმებული სულ 1690.5 ათასი იყო, უმუშევარი კი – 329 ათასი. იმავე სამსახურის 2008 წლის მონაცემებით, საშუალო თვიური ხარჯი სოფლის ერთ შინამეურნეობაზე 492,3 ლარია. როგორ უნდა გაანაწილოს თანხები, ვთქვათ, მერაბ იაკობიძემ, თუკი მისი ორსულიანი ოჯახის ბიუჯეტს გვირაბგამყვანის მცირე ხელფასი და დედის პენსია შეადგენს? ერთხელ სცადა სამსახურის გამოცვლა, მაგრამ ვერ მოახერხა. ქალაქის მთელი ინფრასტრუქტურა მალაროზეა მიბმული. მალაროს გარდა კი, ჭიათურაში ორი საავადმყოფო, რამდენიმე სკოლა, რესტორანი, დრამატული თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და მხატვრის სახლი ფუნქციონირებს. გამოდის, რომ მერაბ იაკობიძისნაირ ადამიანს არჩევანი, ფაქტობრივად, არ აქვს.

მალაროში მუშაობა მძიმეა იმის გამოც, რომ მანგანუმის წარმოება შრომის მავნე პირობებითა და მაღალი პროფესიული რისკით ხასიათდება. „ჯორჯიან მანგანუმის“ ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მუშები სამუშაო დროის 51,2-79,2%-ის განმავლობაში მავნე ფაქტორე-



ფოტო: შალვა ჯაფარიძე

ბის ზემოქმედების ქვეშ ატარებენ.

შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა ეპიდემიოლოგიური კვლევები, ჭიათურის მალარიოზის სამმართველოს გარდა, კასპის ცემენტის ქარხანასა და „საქართველოს თამბაქოს“ ნარმოებში ჩაატარეს. სპეციალური კითხვარების საშუალებით, სანარმოო ჰიგიენური მდგომარეობა და დასაქმებულების ჯანმრთელობა შეისწავლეს, მათ შორის კი – რეპროდუქციული ჯანმრთელობაც.

აღმოჩნდა, რომ „კასპიცემენტსა“ და „ჭიათურმანგანუმის“ სანარმოებში დასაქმებულ ქალებს მენსტრუალური ფუნქციის დარღვევა ანუხებთ. ხშირია სპონტანური აბორტებისა და მკვდრადშობადობის შემთხვევებიც. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა „კასპიცემენტში“, სადაც 25 წელზე მეტი სტაჟის მქონე ქალებში ყველაზე მაღალი მკვდრადშობადობის მაჩვენებელი დაფიქსირდა. „ჭიათურმანგანუმის“ სანარმოებში კი იგივე პრობლემა 5 წლამდე სტაჟის მქონე ქალებს აქვთ.

შრომის მედიცინის სისტემა საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში დაირღვა. ოთხი წელია, რაც ქვეყანაში ეპიდზედამხედველობის სამსახურიც გაუქმდა, შესაბამისად, აღარ მოქმედებს ბევრი საალრიცხვო ფორმა, რომელიც დასაქმებულთა ჯანმრთელობის დარღვევების ანალიზის ინდიკატორი იყო.

სისტემის მოშლამდე სანარმოებში გამართულად მუშაობდა სამედიცინო პუნქტები, დასაქმებულებს მუდამ უტარებდნენ სამედიცინო შემოწმებებს, სანარმოებში არსებულ მდგომარეობას კი პერიოდულად სანიტარიული და ეპიდზედამხედველობის სამსახური ამოწმებდა.

შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ეს კვლევა ახლა ჩვენთან შრომის მედიცინის

თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებას უნდა დაედოს საფუძვლად.

მოქმედი კანონმდებლობით (შრომის კოდექსის შესაბამისი 35-ე მუხლი), დამსაქმებელი ვალდებულია, მიიღოს ყველა გონივრული ზომა დასაქმებულის ჯანმრთელობის დასაცავად, თუმცა, მექანიზმი, რომელიც გაარკვევდა, რამდენად ასრულებს იგი ამ ვალდებულებას, საქართველოში არ არსებობს. 2007 წლიდან აღარ მოქმედებს პროფესიული დაავადებების გამო პენსიის დანიშვნის წესიც, ამ წესის მიხედვით, პროფესიული უნარის დაკარგვის შემთხვევაში, ადამიანს, პენსიის სახით, სრულად, 100%-ით ენიშნებოდა ხელფასი, რომელსაც მუშაობის დროს იღებდა. იმ შემთხვევაში, როცა შრომითი ტრავმით გამოწვეული ინვალიდობაც დადასტურდებოდა, მაქსიმალური პენსია 120 ლარს შეადგენდა. თუკი, ორივე პრობლემა ერთმანეთს ემთხვეოდა, დაზარალებულს ეძლეოდა უფლება, ამ ორიდან უფრო მაღალი პენსია აერჩია.

2007 წლამდე, ვიდრე ეს წესი მოქმედებდა, ამ ტიპის პენსიას დაზარალებულს ქვეყნის ბიუჯეტი უხდიდა. ახლა სანარმოები კერძო მფლობელობაში გადავიდა და არც ერთი საკანონმდებლო აქტი არ ამბობს, პროფესიული დაავადების გამოვლენის შემთხვევაში, ვინ უნდა იხადოს დაავადებულისთვის დანიშნული პენსია. შესაბამისად, დაზარალებულმა სამართლებრივი მექანიზმებით რომ სცადოს კუთვნილი პენსიის მიღება, ვერაფერს გააწყობს.

კვლევამ დაადგინა კორელაცია შრომით სტაჟსა და შრომის პირობებს შორის: ავადობა სტაჟისა და ასაკის მატებასთან ერთად იზრდება. გამოკვლეულ სანარმოებში, განსაკუთრებით ჭიათურის მალარიოზის სამმართველოსა და „კასპიცემენტში“ (თამბაქოს ნარმოებში შედარებით ახალი დანადგარებია და ვითარებაც უკეთესია),

ავადობის მაღალი დონე აღინიშნა იმ საშუალო ადგილებზე, სადაც, ჰიგიენური თვალსაზრისით, შრომის არადაამაკმაყოფილებელი პირობებია. ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებები, მორალურად მოძველებული, ტექნიკურად გაცვეთილი, არაპროფესიული მანქანა-დანადგარები, საშუალო ადგილების არასწორი ორგანიზება, სავენტილაციო სისტემების არაეფექტური მუშაობა, ზოგან მათი არარსებობაც კი – ეს ის მიზეზებია, რომელიც საშუალო გარემოს რისკის ფაქტორების დასაშვები ნორმებიდან გადახრას განაპირობებს.

ინსტიტუტში აღინიშნავენ, რომ სანარმოებში კვლევის შედეგად მომზადებული რეკომენდაციების მათვალისწინება უკვე დაიწყეს. ჭიათურის მალარიოზის სამმართველოში საშუალო გარემოს მავნე ფაქტორების დონეთა კონტროლს ახორციელებენ, გაამაგრეს და განმინდეს სავენტილაციო სისტემებიც. „კასპიცემენტში“ კი დაიდგა ხმაურის სპეციალური მაყულები, დამონტაჟდა ახალი დანადგარები, გაუქმდა 10-მდე მავნე საშუალო ადგილი.

თუმცა, ყველა ეს ღონისძიება, რომელსაც ქართველი მენარმეები დასაქმებულების ჯანმრთელობის დასაცავად გაატარებენ, შედეგს მომავლისთვის გამოიღებს. მერაბ იაკობიძე უკეთესობას დღეს და ხვალ ვერც საკუთარ ჯანმრთელობას და ვერც ჯიბეს დაატყობს. თუმცა, სანარმოთა მფლობელების აქტიურობა მაინც მნიშვნელოვანია. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, პროფესიული დაავადებებისა და სანარმოო ტრავმების შედეგად ევროპაში ყოველწლიურად 327 ათასი ადამიანი იღუპება. ამავე მიზეზით, ყოველ წელს იკარგება მთლიანი შიდა პროდუქტის 2,4%. საქართველოში მსგავსი გამოთვლები ჯერჯერობით არც ჩაუტარებიათ. ■

# ჩაბბი, ხობოხს ომის სუხოზასი



„ბორჯღალოსნების“ გამარჯვების პოლიტიზირება სახელმწიფო კომპლექსების კომპენსაციაა.

ირაკლი კორძია

იმთავითვე ვამბობ: 20 მარტს „ბორჯღალოსნების“ მიერ რუსი „დათვების“ ძლევამ ჩემში ისეთივე სიხარული გამოიწვია, როგორც – უამრავ ქართველში. ბოლო წლებში ქართულ ფეხბურთზე გულაცრუებულმა სპორტის ეს სახეობა ადვილად შევიყვარე. რომ არა ტრაბზონში გამართული მატჩის ვულგარული პოლიტიზირება, საქართველოს ხელისუფლების მიერ ერთგვარ გროტესკამდე მისული რიტორიკა და ქცევები, გამარჯვებით მიღებულ აღტაცებას ხანგრძლივად შევინარჩუნებდი და დღევანდელი წერილის თემაც სხვა იქნებოდა.

რაგბის ქომაგებმა კარგად იციან, რომ, სპორტული თვალსაზრისით, რუსეთის გუნდთან გამარჯვება „ბორჯღალოსნებისთვის“ სირთულეს არ წარმოადგენდა. ამის საუკეთესო დასტური 28-ქულიანი სხვაობით დამთავრებული თამაშია. საგულისხმოა ისიც, რომ ტრაბზონის სტადიონზე სახელისუფლო ელიტის ისეთი წარმომადგენლები გამოჩნდნენ, რომლებსაც ქართველი მორაგებების სხვა, გაცილებით მნიშვნელოვან თამაშებზე ვერ ნახავდით.

ცხადია, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იყო კონკრეტულ მოპაექრესთან მიღწეული გამარჯვების მაქსიმალურად მაღალ (სახელმწიფოებრივ) ხარისხში აყვანა – სპორტი, როგორც ომის სუროგატი.

„მე თქვენი გამარჯვების ჩემი რეცეპტი გამოვიტანე – ვერც ერთი სხვა სპორტის წარმომადგენელი ისე ვერ მღერის საქართველოს ჰიმნს, როგორც თქვენ. ეს არის პირველი რეცეპტი იმისა, რომ გაქვთ სწრაფვა გამარჯვებისკენ, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა 21 მარტს მორაგებებთან გამართულ შეხვედრაზე, და დასძინა, – ქართველმა გულშემმატკივარმა გუშინდელ მატჩს ღირსების მატჩი უწოდა. მინდა, ამ მატჩის ყველა მონაწილეს ღირსების ორდენები გადავცე“. პრეზიდენტის

სასახლეში მისულ სპორტსმენებს კიდევ ერთი მოულოდნელობა ელოდათ – „ბორჯღალოსნებისთვის“ თბილისში საცხოვრებელი სახლი აშენდება. „თბილისში, კარგ ადგილას გამოიყოფა სპეციალური ფართი და ჩვენი მორაგებებისთვის საცხოვრებელი სახლი აშენდება“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

თავისთავად, სახელმწიფოს მხრიდან სპორტზე ზრუნვა მისასალმებელია. თუმცა, „ბორჯღალოსნების“ მორიგმა წარმატებამ, ქართული რაგბის სიძლიერესთან ერთად, სახელისუფლო აპარატის მთელი რიგი სისუსტეები გამოკვეთა და ხაზი გაუსვა.



ღმთიანი ბაქრაძე, ალექსანდრე ლომია და გრიგოლ ვაშაძე რუსეთ-საქართველოს სარაგბო მატჩზე, ტრაბზონი, 20 მარტი 2010

ფოტო: ნინო ჯანაშია

**რომ არა ტრაბზონში გამართული მატჩის ვულგარული პოლიტიზირება, საქართველოს ხელისუფლების მიერ ერთგვარ გროტესკამდე მისული რიტორიკა და ქცევები, გამარჯვებით მიღებულ აღტაცებას ხანგრძლივად შევინარჩუნებდი და დღევანდელი წერილის თემაც სხვა იქნებოდა.**

დიდი სპორტი, უკვე კარგა ხანია, არ წარმოადგენს სახელმწიფოებრივი შესაძლებლობების საზომს. ის სულ უფრო ხშირად, კაპიტალის, ტექნოლოგიის და ფარმაცევტიკის შეჯიბრს წააგავს. თუ მდიდარი ქვეყნებისთვის სპორტი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად დამატებითი ინსტრუმენტია (ნობელიანტების რაოდენობაში შეჯიბრებისა არ იყოს), ლარიბი და წარუმატებელი ქვეყნისათვის ის ნაციონალური კომპლექსების ერთგვარი კომპენსაცია და ნუგეშია. რინგზე ელეგანტურად მოჩხუბარი კუბელი მოზარდები, ოღრო-ჩოღრო ასფალტზე ფეხბურთის ბურთით მორბენალი ბრაზილიელი ცაბუეკები, რუსი ტანმოვარჯიშე გოგონები, რომლებიც გამარჯვებისთვის მყვანებს არ ზოგავენ, თუ ვირტუოზი ქართველი „ბორჯღალოსნები“ – ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ადამიანისთვის სახელმწიფო კომპლექსების კომპენსაციაა.

ჰოდა, ტავტოლოგიური მსჯელობით თავს არავის შევანყენ და ვალიარებ, რომ „ბორჯღალოსნების“ წყალობით, რაღაც დროით ჩემმა კომპლექსებმაც მიიძინეს, პრეზიდენტთან გამართულმა შეხვედრამ კი მთელი სიცხადით გამახსენა რუსეთთან უკვე მერამდენედ წაგებული ომი. **■**

# ობსერვატორია თბილისის სახეში

უნიკალური არქიტექტურული ღირებულების შენობა აღმაშენებლის რეაბილიტაციის პროექტში ვერ მოხვდა.

## მარკა ქონიაშვილი

ერთ-ერთ ფლიგელში ძველი ხის საწერი მაგიდა დგას. ზედ გაცრეცილი წიგნები და დღიურები აწყვია. თაროზე მზის რადიაციის საზომი შუშის ბურთულა დევს. კუთხეში ბაროგრაფი, მაგნიტური დაკვირვებებისთვის საჭირო ხელსაწყო დგას. შემორჩენილია სეტყვის დასაშლელი, რაკეტის მსგავსი დანადგარიც. აქ თავის დროზე სემინარიდან ახლად გარიცხული სტალინიც მუშაობდა და ყოველდღიურ მეტეოროლოგიურ აღრიცხვებს დღიურში ინიშნავდა.

თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიისგან დღეს მხოლოდ ძველი შენობა დარჩა, რომელიც ისევ იქ, აღმაშენებლის 150-ში დგას. ის ორასი წლის წინ ააშენა გერმანელმა მეცნიერმა არნოლდ მორიცმა. თუმცა, ახალ მაღალსართულიან კორპუსებს შორის მოქცეული უნიკალური ნაგებობის გზიდან დანახვა შეუძლებელია. ობსერვატორიის კოშკიდან, მყინვარწვერის მაგივრად, თბილისის „ცათამბჯენები“ მოჩანს. ასტრონომიული დაკვირვებების ფლიგელს სასურავი აღარ ეხდება. მეტეოროლოგიური დაკვირვებების მოედანზე კი თავდაცვის სამინისტროს მანქანების გასაჩერებელი ადგილია მოწყობილი.

„კუკიის ობსერვატორია მთელ კავკასიას, კასპიისა და შავი ზღვების აკვატორიებს ემსახურებოდა. არქიტექტურული თვალსაზრისითაც, ეს კავკასიაში უნიკალური შენობა იყო, ორიგინალური, აბსოლუტურად თვითმყოფადი კლასიციკლური ნაგებობა, რომლის შუაგულსაც წარმოადგენდა ღერძის ირგვლივ მბრუნავი ხის კოშკი“, – აცხადებს არქიტექტურის ისტორიკოსი მაია მანია.

18 მარტს გოეთეს ინსტიტუტში მისი წიგნის „თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია“ პრეზენტაცია მოეწყო. წიგნი გოეთეს ინსტიტუტის დირექტორის, ვერნერ ვიოლის თაოსნობით დაისტამბა.

მაია მანია ობსერვატორიის ერთ-ერთი დირექტორის, მიხეილ ნოდის შვილიშვილია. ტრადიციულად, ამ დაწესებულების დირექტორები იქვე, ეზოში სპეციალურად მათთვის აშენებულ სახლში ოჯახთან ერთად ცხოვრობდნენ. მაია მანიამაც ბავშვ-



თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია, მარტი 2010

ფოტოსტრუქტურა: თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია

## ობსერვატორია, რომელიც ევროპული ობსერვატორიების პროტოტიპს წარმოადგენს, რეაბილიტაციის შემთხვევაში, მუზეუმად არსებობას მაინც შეძლებს.

ვობა ობსერვატორიის ეზოში გაატარა. სწორედ ბავშვობის მოგონებებმა გადაწყვეტინა, თბილისის ობსერვატორიების ისტორია წლების განმავლობაში ეკვლია და წიგნად გამოეცა.

მაია მანიას თქმით, ობსერვატორია განსაკუთრებით 2002 წლის მიწისძვრამ დააზიანა. დღეს მთელი შენობა დაზარალებულია და ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის დროებით თავშესაფარს წარმოადგენს. 2005 წელს, როცა მეზობლად მდებარე ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის შენობა თავდაცვის სამინისტროს გადასცეს, ქუჩაში დარჩენილი ინსტიტუტის თანამშრომლებმა სამეცნიერო კვლევები აქ განაგრძეს. ამავე მიზეზით, ობსერვატორიის ყოფილ შენობაში არსებობა შეწყვიტა

გეოფიზიკურ მეცნიერებათა მუზეუმმაც, რომელიც 1970-იანი წლებიდან ფუნქციონირებდა.

უნიკალური არქიტექტურისა და ისტორიის მიუხედავად, თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია არ მოხვდა აღმაშენებლის რეაბილიტაციის პროექტში, რომლის ფარგლებშიც 70 ნაგებობის აღდგენა იგეგმება.

„სიღრმეშიც უამრავი კარგი შენობაა, მათ შორისაა ობსერვატორიაც. არ მინდა, გავუსწრო მოვლენებს, მაგრამ იმედი მაქვს, რეაბილიტაციის პროექტში ობსერვატორიასაც ჩაერთავთ. ვეცდებით, რაღაც მაინც გაფუკეთოთ“, – ამბობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის არქიტექტორი გიორგი გოგოლაშვილი.

მაია მანია მიიჩნევს, რომ შენობის რეაბილიტაცია სასურველია, დაუყოვნებლივ დაიწყოს. მჭიდრო განაშენიანებისა და ჰაერის დაბინძურების გამო, დღეს იქ შეუძლებელი იქნება მაგნიტური და მეტეოროლოგიური დაკვირვებების წარმოება. თუმცა ობსერვატორია, რომელიც ევროპული ობსერვატორიების პროტოტიპს წარმოადგენს, რეაბილიტაციის შემთხვევაში, მუზეუმად არსებობას მაინც შეძლებს. ■



# ღაიის ანბალოზაბი ნიანდლის ბაღი

## ღავით ბუხრიკიძე

ვინმეს რომ წარმოედგინა, ან სულაც დაეხატა სიურრეალისტური სცენა – როგორ იპყრობენ საღვადორ დაღის ქანდაკებები ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის რომატიკულ სამოთხეს – ნიანდლის ბაღს, ალბათ ამავე სიურრეალისტურ ჟანრში დაუფიქრებლად გაამწესებდნენ. აღმოჩნდა, რომ ეს თავხედური ფანტაზიის ნაყოფი სულაც არ არის. დიდი „კულტურული მარხვა“ 7 აპრილს, ნიანდაღში ბრწყინვალე სიურრეალისტური ფინალით დაგვირგვინდება...

სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ალექსანდრე ჭავჭავაძის ნიანდაღის სახლ-მუზეუმისა და ცნობილი ავსტრიული გალერეა GMA-ს ერთობლივი ძალისხმევით, პირველად საქართველოში საღვადორ დაღის ქანდაკებებსა და ლითოგრაფიულ ნამუშევრებს ჩამოიტანენ, რაც კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ნამდვილად მოვლენაა... თუ რასაკვირველია, რამდენიმე თვით ადრე ჩამოტანილი პიკასოს ლითოგრაფიებისაგან განსხვავებით (რომელიც ასევე კულტურული პირის ნაწილი იყო), ქანდაკებები ორიგინალები იქნება და არა ასლები.

ერთი თვის განმავლობაში ქართული ლიტერატურული რომანტიზმის ფუძემდებლის ბაღში და თავად მუზეუმის შენობაში დიდი ესპანელი სიურრეალისტი-მხატვრისა და მოქანდაკის 11 ლითოგრაფიული ნამუშევარი და 6 საშუალო ზომის ქანდაკება განთავსდება.

ეს ნამუშევრები დიდი მხატვრისა და არტ-პროვოკატორის შემოქმედების ბოლო პერიოდს მიეკუთვნება. მათ შორის აღსანიშნავია „ამალღებულები ნუთები“, „ბეთაჰოვინი“, „მაგიდა“, „კუბისტური ანგელოზი“, „ვენერა“ და „სიურრეალისტური ანგელოზი“.

# ღიუმა ხავხასიაში

ალექსანდრე ღიუმას საქართველოში მოგზაურობიდან 150 წლის შემდეგ თბილისში მისი წიგნის – „კავკასიის“ ახალი, სრულყოფილი გამოცემა დაიბეჭდა.

## წინო ჩიმაკაძე

„ეს წიგნი ყველა ქართველმა უნდა წაიკითხოს. ბევრ ისეთ რამეს დაინახავენ, რასაც აქამდე ვერ ხედავდნენ“, – ლიტერატორმა და მთარგმნელმა გიორგი ეკიზაშვილმა ალექსანდრე ღიუმას „კავკასიის“ ახალი გამოცემა ფრანგული კულტურის ცენტრში შეკრებილ პუბლიკას ასე წარუდგინა.

„ღიუმამ თავისი ახალი სიტყვა თქვა საქართველოზე, განსხვავებული იმისგან, რასაც მანამდე რუსები ამბობდნენ“, – ასე შეაფასა „კავკასია“ მისი ახალი გამოცემის პრეზენტაციაზე ფრანგული კულტურის ცენტრის დირექტორმა ჟოელ ბასტენერმა.

შესაძლოა, სწორედ ეს სიახლე და რეალობის „განსხვავებული“ აღქმა იყო მიზეზი, რის გამოც, ღიუმას კავკასიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები დიდი ხნის მანძილზე არ უთარგმნიათ ქართულად. საბოლოოდ კი, როცა წიგნი ქართულად 1964 წელს მაინც დაიბეჭდა, თარგმანი სრულყოფილი მაინც არ ყოფილა. ზუსტად ვერავინ ამბობს, ცენზურის გამო მოხდა ეს, თუ სხვა მიზეზით, მაგრამ ფაქტია, რომ თინათინ ქიქოძის მიერ ნათარგმნ „კავკასიას“ გარკვეული ფრაგმენტები აკლდა. გამოცემის მიღმა დარჩა ძირითადად იუმორისტული ამბები, გამოგონილი ისტორიები და კულინარიული რეცეპტები.

„ყველაფერი, რაც ძველ თარგმანს აკლდა და ახალ გამოცემაშია შესული, კიდევ უფრო მეტ ხიბლს მატებს ამ ნაწარმოებს; ღიუმას იუმორი და მსუბუქი სტილი იმდენად სასიამოვნოა, რომ არც მისი გრძელი კულინარიული რეცეპტი გლლის და არც ეს იუმორისტული პასაჟები“, – აღნიშნავს ფრანგული კულტურის ცენტრის მედიათეკის დირექტორი თამარ ხოსრუაშვილი.

ალექსანდრე ღიუმა კავკასიაში მოგზაურობამდე რამდენიმე თვის მანძილზე რუსეთში ცხოვრობდა. მეზობელი ქვეყნების მონახულებაც საბოლოოდ სწორედ იქ გადაწყვიტა. ისტორიულ დოკუმენტებში ვხვდებით ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, თბილისში ჩამოსვლისას მწერალს

თარჯიმნად სპეციალურად შერჩეული ჩინოვნიკი დაუნიშნეს, რომელიც პარალელურად მის საქმიანობას გააკონტროლებდა.

აქ გატარებულ ორ თვეში მწერალმა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეები მოინახულა და ადგილობრივ ადათ-წესებსა და კულტურასაც დეტალურად გაეცნო. როგორც ამბობენ, მან ქართული ჩოხაც მოირგო და ქართველებს მისივე პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე ღვინის სმაშიც კი მოუგო.

საქართველოს გარდა, მწერალი კავკასიის სხვა ქვეყნებსაც სტუმრობდა, მაგრამ წიგნის დიდი ნაწილი სწორედ საქართველოზეა. ღიუმა შთაბეჭდილებებს დღიურში ინიშნავდა და შინ დაბრუნებიდან ერთ თვეში, 1959 წლის აპრილში გამოსცა კიდევც.

წიგნის განახლებული ვერსია ფრანგულიდან გიორგი ეკიზაშვილმა და ია ბერსენაძემ თარგმნეს. თუმცა ტექსტის დიდი ნაწილი ეყრდნობა ორიგინალურ თარგმანს, რომელიც თინათინ ქიქოძეს ეკუთვნის. განახლებულ წიგნში მრავლადაა ილუსტრაციები, რომლებიც ღიუმას თანხლები ფრანგი მხატვრის, ჟან პიერ მუანეს ესკიზების მიხედვითაა შექმნილი.





# ლბეხთაბის დაისი

დავით ბუხრიკიძე

ცნობილი გერმანული საოპერო ქალაქი ბაიროითი თავის დიდ მემკვიდრეს, ვოლფგანგ ვაგნერს გამოეთხოვა, რომელიც 24 მარტს 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. დიდი გერმანელი კომპოზიტორის, რიჰარდ ვაგნერის უკანასკნელი შვილიშვილი 40 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბაიროითის საოპერო ფესტივალს. მისი სიკვდილი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ლეგენდას ვაგნერების ოჯახზე, რომელთა ისტორიამ მეოცე საუკუნეში ლამის სამეფო დინასტიებისათვის დამახასიათებელი შინაარსი შეიძინა.

ლეგენდასა და სინამდვილეს შორის მყიფე ზღვარი, მუდმივი სახელოვნებო ინტრიგები და ყურადღების ცენტრში ყოფნა, მემკვიდრეებს შორის დავა და ლამის პოლიტიკის რანგში აყვანილი სკანდალები... ეს ყველაფერი ვაგნერების ოჯახს დღემდე უცნაურ და აუხსნელ შარავანდედს ანიჭებს; განსაკუთრებით კი იმის შეგრძნება, რომ ყველაფერი, რაც მათ უკავშირდებათ, გერმანიის ისტორიის ნაწილია ან რაღაც ელიტური შოუს გაგრძელებაა.

ისევე, როგორც ისტორიის ნაწილია ვოლფგანგ ვაგნერისა და მისი უფროსი ძმის, ვილანდ ვაგნერის ხშირი ვიზიტები ჰიტლერთან, რის გამოც, ორივეს დიდი უსიამოვნება ჰქონდა. უფრო მეტიც, გაზეთები ომის შემდეგ წერდნენ, რომ ვაგნერები ჰიტლერის მეგობრები იყვნენ და მოფერებით მას „ონკელ ვოლფს“ („ძია მგელს“) უწოდებდნენ. თუმცა კონრად ადენაუერისა და ქრისტიან-დემოკრატების ხელისუფლებაში მოსვლამ მათი იმიჯის გარკვეული რეაბილიტაცია მოახდინა. ბაიროითის ფესტივალს ჯერ ვილანდი (50-70-იანი წლები) და შემდეგ უკვე ვოლფგანგ ვაგნერი ხელმძღვანელობდა.

მოხუცმა ვოლფგანგმა, რომელმაც გარდაცვალებამდე სულ რაღაც ორი წლით ადრე დატოვა დირექტორის პოსტი, ბაიროითის ფესტივალის ხელმძღვანელობა ქალიშვილებს მშვიდად გადააბარა – კატარინა ვაგნერს და ევა ვაგნერ-პასკიეს. ეს ამბავი ჟურნალისტებმა „მეფე ლირის“ სიუჟეტს მიამსგავსეს, თუმცა ლირის ისტორიასთან



ვოლფგანგ ვაგნერი, რიჰარდ ვაგნერის შვილიშვილი

## ვოლფგანგ ვაგნერმა ბაიროითის ფესტივალს ისტორიულ პერიოდში – 70-იანი წლებიდან 2008 წლამდე – მტკიცე ხელი და ზომიერი რევოლუციური ცვლილებები დაატყო.

მსგავსება ამით მთავრდება. შვილებმა არ „განდევნეს“ მოხუცი მამა და არც საოპერო ფესტივალის რადიკალიზაცია მოახდინეს. თუმცა ეს არც იყო საჭირო, რადგან თავის დროზე ამგვარი რევოლუცია 70-იანი წლებში რეჟისორმა პატრიკ შერომ და სახელოვნება კომპოზიტორმა და დირიჟორმა პიერ ბულეზმა „ნიბელუნგების ბექედში“ განახორციელეს.

ვოლფგანგ ვაგნერმა ბაიროითის ფესტივალს ისტორიულ პერიოდში – 70-იანი წლებიდან 2008 წლამდე – მტკიცე ხელი და ზომიერი რევოლუციური ცვლილებები დაატყო. არც ბურჟუაზიული ჩვევები დაივინა – ბილეთების ფასი განუხრელად გაიზარდა, ხოლო წინასწარი გაყიდვა რამდენიმე

წლით ადრეც კი გახდა შესაძლებელი. მაგრამ დადგა დრო, როცა რადიკალმა მემარცხენე რეჟისორებმა „ვაგნერის ბუნაგში“ (ასე უწოდებენ ჟურნალისტები ბაიროითის ფესტივალს) შეაღწიეს. ეს კი ნამდვილი გამოწვევა იყო.

თეატრიდან მისულმა რეჟისორებმა – იურგენ ფლიმმა, კრისტოფ მარტალერმა და ჰარი კუპფერმა სცენაზე რეჟისურის დიქტატურა დაამყარეს და ოპერის პრიმადონები შავ დღეში ჩააგდეს. 2004 წელს კი ბაიროითის ფესტივალმა გადაწყვიტა კინორეჟისორ ვერნერ ჰერცოგის მოწვევა და მან ისეთი სკანდალი გამოაცხო „პარსიფალში“ (ამ რადიკალურ სპექტაკლში ინდიელები და კონკისტადორები ველური დასავლეთის ფონზე ებრძოდნენ ერთმანეთს), რომ შემდეგ იგი აღარასდროს მიუწვევიათ...

ვაგნერის შვილიშვილის სიკვდილმა არა მარტო გარდასული „ღმერთების დაისი“ შეგვახსენა, არამედ თანამედროვე ტექნოლოგიებზეც დაგვაფიქრა, როცა ბაიროითის ფესტივალიდან საოპერო დადგმებს უკვე ინტერნეტ-ტრანსლაციებით გადასცემენ. არადა, რამდენიმე წლით ადრე მათი ტელევიზიით პირდაპირი რეპორტაჟიც კი აკრძალული იყო. ■

# ბისხე შონ, დანხე შონ!



გულზე ხელის დადებით შემიძლია ვთქვა, რომ უკვე რამდენიმე ათეული წელია, საკუთარი ინიციატივით (და არა კამერების და ჟურნალისტების თანდასწრებით) თბილისის სასარგებლოდ დარაზმული თბილისელები არ მინახავს.

კახა თოლორდავა

შაბათობებიო? აშკარად შეშფოთებული ვარ! უფრო მეტიც, ოდნავ – გაბრაზებულიც! მივიკირს, შაბათობები რამ გამახსენა! ნამდვილად ასაკის ბრალი უნდა იყოს; ასაკის და კომუნისტური ნოსტალგიის!

სპორტკომიტეტის შენობის გავლით „ლოკომოტივის“ სტადიონისკენ ვეშვებოდი, როდესაც ჩემგან მარცხნივ გამწვანებულ ტერიტორიაზე ისეთი რაოდენობის ნაგავს მოვკარი თვალი, რომ აღფრთოვანება ვერ დავმალე და შევჩერდი. ნებისმიერი პერსონაჟი ნებისმიერ ამერიკულ ფილმში აი, ასე გამოთქვამდა ასეთ შემთხვევაში განცვიფრებას: Wow (ქართულად – უაუ!) რა გინდა, სულო და გულო, პარკები, ქაღალდები, საჭმლის ნარჩენები, უკაცრავად და, პრეზერვატივები (ისე კი ეს დამრეცი ფერდობი ცოტა უცნაურო ლოკაციაა ამ საქმისთვის!)...

შაბათობებიო? აღშფოთებას ვერ მალავს მომცრო ზომის ჭეშმარიტი თბილისელი ჩემში: რა დროს შაბათობებია, ხალხს ლუკმა-პურის ფული არა აქვს! კეთილი ინებოს ხელისუფლებამ, ან სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ, ან სულაც „ლოკომოტივის“ უფროსობამ, მოვიდნენ და დაასუფთაონ აქაურობა! ისევ ხელისუფლება! ისევ ხელმძღვანელობა! ისევ უფროსობა! კი მაგრამ, – ეპასუხება ის, ვისაც თავი იმ მომცრო თბილისელზე უფრო თბილისელად მიაჩნია, ანუ მე: თუ ეს ასე არ ხდება, მაშინ რა? რა და... – ვერაფერს მპასუხობს და სხვა მხრიდან მიტევს: რა-სისულელებზე-ფიქრობ-და-წერ?-სადაა-ღრმა-და-საქართველოსთვის-გადამწყვეტ-საკითხებზე-პასუხის-გაცემის-მცდელობა?-სადაა-ჭეშმარიტი-გამოძიებითი-ჟურნალისტიკა?-სადაა-გლობალური-მიდგომა? მხოლოდ ახლა ვხვდები შაბათობები რამაც გამახსენა...

ეს ამბავი ნიკუშა შენგელაიამ მიაამბო: მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მიხეილ ჭიაურელი ბერლინში იღებდა ფილმს. იმ დროს იქ ქვა ქვაზე არ იყო დარჩენილი. ერთხელ ქალაქის ქუჩებში ბერლინელების გრძელ ჯაჭვს იღებდნენ. ისინი ერთმანეთს აგურებს აწვდიდნენ. იმ დროს ჯაბახანა, ხმაურიანი კამერებით მუშაობდნენ, მაგრამ გადაღებას რომ მორჩნენ და კამერა გამორთეს, ხმაური არ შემწყდარა. მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ მიხვდნენ, რომ ხმაურს ბერლინელების ლამის კილომეტრიანი ჯაჭვი გამოსცემდა. „ბიტტე შონ“, – ეუბნებოდა აგურის გადამწოდებელი აგურის მიმღებს. „დანკე შონ“, – პასუხობდა აგურის მიმღები, ჯაჭვის შემდგომ რგოლს უბრუნდებოდა და ახლა მას მიმართავდა, – ბიტტე შონ! ამ სიტყვებს რამდენიმე ასეული გერმანელი ერთდროულად წარმოთქვამდა. მათ იცოდნენ, რომ ბერლინი



ფოტო: ლეონარდო პასკალი

მათი დიდი ძალისხმევის გარეშე ფეხზე ვერ დადგებოდა...

– სად ბერლინი ომის შემდეგ და სად თბილისი დღეს? – ისევ ის მომცრო თბილისელი მიტევს, მაგრამ მისი აზრი უკვე აღარ მაინტერესებს, რადგანაც ვიცი, რამდენადაც აბსურდულად უნდა ჟღერდეს, დღევანდელი თბილისის და ომის შემდგომი ბერლინის შედარება შესაძლებელია. ქალაქში წგრევის მასშტაბს არ ვგულისხმობ; ვგულისხმობ ერთმანეთთან საუბრის და შეთანხმების შედეგად ქალაქის, ქუჩის, ეზოს სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებების სრულ გაქრობას. გულზე ხელის დადებით შემიძლია ვთქვა, რომ, უკვე რამდენიმე ათეული წელია, საკუთარი ინიციატივით (და არა კამერების და ჟურნალისტების თანდასწრებით) თბილისის სასარგებლოდ დარაზმული თბილისელები არ მინახავს. ეს დღემდე გოიმურ და კომკავშირულ ინიციატივად აღიქმება. ამის მიზეზი ნაწილობრივ შეიძლება ის იყოს (არ ვიცი, დარწმუნებული არ ვარ), რომ ადრე, საბჭოთა კავშირის დროს მოქალაქეები ლამის ძალით გამოჰყავდათ შაბათობებზე და კოლექტიურ აქტივობებს სახელი აქვთ გატეხილი (თუმცა, სწორედ შაბათობების შედეგია თბილისის შემოგარენში გაშენებული გამწვანებები, არა?). თუ ეს ასეა, ამას ეშვებოდა, მაგრამ თბილისელებთან საუბრების დროს უფრო შემაშფოთებელ დასკვნებს აკეთებ კაცი: ჩვენი აქტივობით თბილისს რა უნდა ვუშველოთ? მოვლენ და ისევ დაყრიან! (ამ სიტყვების შემდეგ ვიცი, რომ ჩემი ერთ-ერთი შემდეგი სტატია შენიშვნის კულტურაზე იქნება... ბერლინელების კი დღესაც მშურს...).

მოკლედ, მიმიხვდით, რაც მანუხებს. ამაზე მეტის წერას აზრი არა აქვს, რადგანაც ისედაც ყველაფერი გასაგები უნდა იყოს. ძალიან მრცხვინია ასეთ ელემენტარულ რამეებზე რომ ვლაპარაკობ 2010 წლის 13 მარტს, მაგრამ...



რადიო „ნაცნობი“ გევატიშებათ  
კლუბი „ნაცნობი“

- ტრადიციული ქართული საზარაულო
- სოცხალი მუსიკა





**WWW.LIBERALI.GE**

